

სამოქალაქო

კაოზისი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე**

2019, №1

**Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)**

2019, №1

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)**

2019, №1

**Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)**

2019, №1

**გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
გიორგი ჭყოიძე**

**ტექნიკური რედაქტორი
გარიგა გალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

**უურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით**

საქითხელი

1. პროცესის ხარჯები 4; 11
2. სასამართლო შეტყობინება და დაბარება
სასამართლო შეტყობინება და დაბარება 24; 30
3. სასამართლო მტკიცებულებები;
მტკიცების ტვირთი;
მტკიცებულებათა დასაშვებობა
გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები
სააპელაციო სასამართლოში 41
4. საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის
სასამართლოში; საქმეების განხილვა პირველი
ინსტანციით
სარჩელის შინაარსი;
აღიარებითი სარჩელი 62; 77; 88; 104; 116; 125; 139; 148
5. სარჩელის უზრუნველყოფა 161; 177

1. პროცესის ხარჯები

პროცესის ხარჯები

განხილვა საქართველოს სახელით

№ას-1022-2018

21 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: 6. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „ბ-მა“ (შემდგომში – „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასა-მართლოში მ. მ-ის (შემდგომში – „მოპასუხე“, „აპელანტი“ ან „კერ-ძო საჩივრის ავტორი“) მიმართ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გა-მომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე.
2. მოპასუხებ სარჩელი ნაწილობრივ ცნო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 მარტის გა-დაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს 2011 წლის 15 დეკემბრის №1126099-1447243 საბანკო კრედიტის ხელშეკრუ-ლებიდან გამომდინარე დაეკისრა დავალიანების გადახდა 3882,62 აშშ დოლარის ოდენობით, საიდანაც ძირითადი თანხაა 2644,95 აშშ დოლარი, პროცენტი – 705,97 აშშ დოლარი, ჯარიმა – 500 აშშ დო-ლარი, დაზღვევა – 31,70 აშშ დოლარი. მოპასუხეს დაეკისრა დავა-ლიანების შესახებ ცნობის გაცემიდან (2017 წლის 13 თებერვლი-დან) 2011 წლის 15 დეკემბრის №1126099-1447243 საბანკო კრე-დიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი თანხაზე, 2644,95 აშშ დოლარზე, ვალდებულების სრულად შესრულებამდე წლიური 16%-ის სარგებლის გადახდა, რაც ყოველთვიურად შეადგენს 35,26 აშშ დოლარს. მოპასუხეს 2012 წლის 9 ნოემბრის №2267282-2220284 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაეკისრა დავალიანების გადახდა 2645,86 აშშ დოლარის ოდენობით, საიდა-ნაც ძირითადი თანხაა 1834,38 აშშ დოლარი, პროცენტი – 489,65 აშშ დოლარი, ჯარიმა – 300 და დაზღვევა – 21,83 აშშ დოლარი. მოპასუხეს დაეკისრა დავალიანების შესახებ ცნობის გაცემიდან (2017 წლის 13 თებერვლიდან) 2012 წლის 9 ნოემბრის №2267282-

2220284 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირ თანხაზე, 1834,38 აშშ დოლარზე, ვალდებულების სრულად შესრულებამდე, წლიური 16% სარგებლის გადახდა, რაც ყოველთვიურად შეადგენს 24,45 აშშ დოლარს. მოპასუხეს 2013 წლის 11 თებერვლის №2267282-2288597 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაეკისრა დავალიანების გადახდა 1585,48 აშშ დოლარის ოდენობით, საიდანაც ძირითადი თანხაა 1166,94 აშშ დოლარი, პროცენტი – 214,04 აშშ დოლარი, ჯარიმა – 200 და დაზღვევა – 4,50 აშშ დოლარი. მოპასუხეს დაეკისრა დავალიანების შესახებ ცნობის გაცემიდან (2017 წლის 13 თებერვლიდან) 2013 წლის 11 თებერვლის №2267282-2288597 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირ თანხაზე, 1166,94 აშშ დოლარზე, ვალდებულების სრულად შესრულებამდე, წლიური 16% სარგებლის გადახდა, რაც ყოველთვიურად შეადგენს 15,55 აშშ დოლარს.

4. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

6. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და დაეგალა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შეფერხილი სააპელაციო საჩივრის წარდგენა იმდენი ასლის დართვით, რამდენი მონაწილეც იყო საქმეში, ამასთან, გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილის და სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის დაზუსტების კვალობაზე, აპელანტს უნდა განესაზღვრა დავის საგნის ზუსტი ღირებულება და უნდა წარედგინა მისი 4 პროცენტის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, უკვე გადახდილი 117 ლარის გათვალისწინებით. ხარვეზის შესავსებად აპელანტს განესაზღვრა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღე. ამავე განჩინებით აპელანტს განემარტა ამ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შედეგები. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა აპელანტმა, რომელმაც მხოლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით დამატებით 34 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარადგინა.

7. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-7 ნაწილით და მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს სასამართლოსათვის ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადის გაგრძელების თხოვნით არ მიუმარ-

თაგს, რის გამოც სააპელაციო პალატა უფლებამოსილი არ იყო თავისი ინიციატივით გაეგრძელებინა ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადა. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტმა ვერ შეძლო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შესავსება, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი იყო.

8. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხებ შეიტანა კერძო საჩივრი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის განსახილველად დაბრუნება.

9. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

9.1. სააპელაციო საჩივრარში დავის საგნის ლირებულებად მითითებული იყო 3897 ლარი. დავის საგნის ლირებულება განისაზღვრა იმის მიხედვით, თუ რა ნაწილში ასაჩივრებდა მხარე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას. აღნიშნულის შესაბამისად შეჯამდა თანხა პირგასამტებლოსა და მიუღებელი შემოსავლის ნაწილში;

9.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ არის უსაფუძვლო, რამდენადაც სააპელაციო საჩივრარში ნათლად ჩანდა თუ რა ნაწილში და რა მოცულობით ასაჩივრებდა აპელანტი გადაწყვეტილებას.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 სექტემბრის განჩინებით მოპასუხის კერძო საჩივრი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

11. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრარი უნდა დაკმაყოფილდეს.

12. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტა-

ნილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

13. საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს ხარვეზის სრულყოფილად გამოუსწორებლობის მოტივით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების კანონიერება წარმოადგენს.

14. საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც სააპელაციო საჩივრს დაურთო სახელმწიფო ბაჟის სახით 117 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივრას დაუდგინდა ხარვეზი, რომლითაც აპელანტს დავვალა განჩინების ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი სააპელაციო საჩივრის წარდგენა იმდენი ასლის დართვით, რამდენი მონაწილეც იყო საქმეში, ამასთან, გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილის და სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის დაზუსტების კვალობაზე, აპელანტს უნდა განესაზღვრა დავის საგნის ზუსტი ღირებულება და უნდა წარედგინა მისი 4 პროცენტის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, უკვე გადახდილი 117 ლარის გათვალისწინებით. ამავე განჩინებით, მხარეს განემარტა დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის უარყოფითი შედეგების თაობაზე.

16. ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დაწესებულ ვადაში აპელანტმა სააპელაციო პალატაში წარადგინა განცხადება, რომელსაც დაურთო სახელმწიფო ბაჟის სახით 34 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივრი დარჩა განუხილველი.

18. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით აღიარებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის საყოველთაო პრინციპი, თუმცა იგი არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება შეზღუდვას. თავის მხრივ, შეზღუდვა ლეგიტიმურია, თუ იგი კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ საფუძველს ემყარება. ამგვარ საფუძველს წარმოადგენს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის პირველი მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები

სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით კი განსაზღვრულია სახელმწიფო ბაჟის გადამხდელი სუბიექტები და გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფო ბაჟის გადამხდელებად ითვლებან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა ინტერესებიდან გამომდინარეც სპეციალურად რწმუნებული დაწესებულებები ასრულებენ იურიდიულ მოქმედებებს და გასცემენ შესაბამის საბუთებს. თავის მხრივ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი წინადადებით განსაზღვრულია, რომ სასამართლო ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს იმ მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა.

19. ამასთან, ცხადია, ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლთან შესაბამისი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „არ არსებობს უფლება უფასო სასამართლო პროცედურებზე“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და იგი შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს; აღნიშნული გამომდინარეობს იმ დასკვნიდან, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება თავისი ბუნებით ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას; რეგულაცია შეიძლება განსხვავდებოდეს დროისა და ადგილის მიხედვით, საზოგადოებისა და ინდივიდების რესურსებისა და საჭიროებების საფუძველზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ შეზღუდვამ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება არ უნდა შეამციროს იმდენად ან იმ ფარგლებით, რომ დაირღვეს ძირითადი უფლების არსი (იხ. Ashingdane v. The United Kingdom, №8225/78, § 57, 28 მაისი, 1985 წელი). სამოქალაქო სამართლნარმოების დაწყებისთვის ხარჯების გადახდის მოთხოვნა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვად და კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფთან შეუსაბამოდ (იხ. Weissman and Others v. Romania, №63945/00, §34, 35, 24 მაისი, 2006 წელი). ასეთი ხარჯების გონივრულობა უნდა შეფასდეს მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის, მომჩივნის უნარი, გადაიხადოს ის და სასამართლო პროცესის ეტაპი, რომელზედაც ვრცელდება ასეთი შეზღუდვა. უფრო მეტიც, შეზღუდვა სასამართლო მიმართვაზე შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ემსახურება კანონიერ მიზანს და არსებობს გონივრული ურთიერთდამოკიდებულება

პროპორციულობის გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის (იხ. საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ, №38736/04, §41, 30 იანვარი, 2008 წელი).

20. საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ სააპელაციო საჩივრიდან ირკვეოდა თუ რა ნაწილში ასაჩივრებდა აპელანტი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას.

21. მიუხედავად იმისა, რომ აპელანტს სააპელაციო საჩივარში სააპელაციო მოთხოვნა არასწორად აქვს ჩამოყალიბებული, ასევე არასწორად აქვს გამოთვლილი საჩივრის ფასი, სააპელაციო საჩივარში (გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობების გრაფა) მოცემული მსჯელობიდან ირკვევა, რომ აპელანტის მოთხოვნაა: 1) სასამართლომ შეამციროს მისთვის პირგასამტებლოს სახით დაკისრებული 1000 აშშ დოლარი 500 აშშ დოლარამდე და 2) არ დაკმაყოფილდეს სარჩელი მიუღებელი შემოსავლისა დაკისრების ნაწილში.

22. ამდენად, სააპელაციო საჩივრით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია მოპასუხისათვის პირგასამტებლოს სახით 500 აშშ დოლარისა და მიუღებელი შემოსავლის სახით დავალიანების შესახებ ცნობის გაცემიდან (2017 წლის 13 თებერვლიდან) 2011 წლის 15 დეკემბრის (№1126099-1447243), 2012 წლის 9 ნოემბრისა (№2267282-2220284) და 2013 წლის 11 თებერვლის (№2267282-2288597) საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ძირ თანხებზე ვალდებულების სრულად შესრულებამდე, წლიური 16% სარგებლის გადახდის დაკისრების ნაწილში, რაც ყოველთვიურად შეადგენს 75.26 აშშ დოლარს (35.26 აშშ დოლარს + 24.45 აშშ დოლარი + 15.55 აშშ დოლარი).

23. აპელანტმა ხარვეზის შესაგებად დაწესებულ ვადაში სასამართლოში წარადგინა სახელმწიფო ბაჟის სახით 34 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, აპელანტის მიერ სააპელაციო სასამართლოში შეტანილი განცხადებიდან ირკვევა, რომ მან სახელმწიფო ბაჟის სახით დამატებით 34 ლარის გადახდა მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში მითითებული ხარვეზის აღმოსაფეხურებულად საჭირო ოდენობის სახელმწიფო ბაჟის გადახდად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, რადგან ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებაში მითითებული არ ყოფილა აპელანტის მიერ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა და აპელანტის თავად უნდა განესაზღვრა იგი, ამ უკანასკნელს, მისი არასწორად განსაზღვრის შემთხვევაში, უნდა მისცემოდა შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, კერძოდ, სასამართლოს, იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო საჩივრიდან ირკვეოდა დავის საგნის

ლირებულება, აპელანტისათვის უნდა განემარტა თუ რა ოდენობის სახელმწიფო ბაჟის გადახდა იყო საჭირო ხარვეზის სრულად შევსებისათვის.

24. როგორც აღინიშნა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია მოპასუხისათვის პირგასამტკებლოს სახით 500 აშშ დოლარისა და მიუღებელი შემოსავლის სახით 2017 წლის 13 თებერვლიდან ყოველთვიურად 75.26 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადიანი გასაცემის ან გადასახდელის შესახებ სარჩელის დავის საგნის ფასი განისაზღვრება არა უმტეს სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით. შესაბამისად, თუკი მიუღებელი შემოსავლის სახით მოპასუხისათვის დაკისრებულ თანხას დავიანგარიშება 2017 წლის 13 თებერვლიდან სააპელაციო საჩივრის შეტანამდე, 2018 წლის 11 მასამდე (სააპელაციო საჩივრის ფოსტით გაგზავნის თარიღი) პერიოდში, ამ ნაწილში დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება 1128.9 აშშ დოლარით (75.26 აშშ დოლარი X 15 თვეზე). ამგვარად, სააპელაციო საჩივრის დავის საგნის ღირებულება არის 1128.9 აშშ დოლარი (1128.9 აშშ დოლარს + 500 აშშ დოლარი), რაც სააპელაციო საჩივრის შეტანისას არსებული ოფიციალური კურსის მიხედვით შეადგენს 3991.62 ლარს.

25. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სააპელაციო საჩივრისათვის შეადგენს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი შეადგენს 159.66 ლარს (3991.62 ლარი X 4%).

26. როგორც აღინიშნა, აპელანტმა სააპელაციო საჩივარს დაურთო სახელმწიფო ბაჟის სახით 117 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხარვეზის შესავსებად დაწესებულ ვადაში კი სასამართლოში დამატებით წარადგინა სახელმწიფო ბაჟის სახით 34 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ანუ საერთო ჯამში აპელანტს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი აქვს 151 ლარი და, საბოლოოდ, 159.66 ლარიდან მას გადასახდელი დარჩია მხოლოდ 8.66 ლარი. ამ პირობებში სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული ზომა – ხარვეზის შეუვსებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება, იყო არაპროპორციული საშუალება, რომელიც არ შეესაბამებოდა დასახულ მიზანს – სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

27. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ვერ შეძლო დაეცვა სა-

მართლიანი ბალანსი, ერთის მხრივ, სასამართლო ხარჯების გადახდის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინტერეს-სა და, მეორეს მხრივ, მომჩივნის ინტერესებს შორის – დაემტკიცებინა თავისი საჩივრის სამართლიანობა სასამართლოს გზით, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და მოპასუხის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის განხილვის სტადიოდან საქმის ხელახლა განსახილველად დაპრუნების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

- მ. მ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 ივნისის განჩინება და საქმე მ. მ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პროცესის ხარჯები

გადაცვალისა საქართველოს სახელით

№ას-923-2018

26 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

- გ. გ-მა, მ. გ-მა და პ. გ-მა (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი

აღძრეს სასამართლოში შპს „ჩ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ ზიანის – 17 987, 38 ლარის, ექსპერტიზის ხარჯის – 500 ლარის, საპროექტო-ხარჯთაღრიცხვის შედგენისთვის გადახდილი 500 ლარისა და ადვოკატის მომსახურებისათვის 300 ლარის გადახდის შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელების განმარტებით, თანასაკუთრებაში გააჩნიათ ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი და მინის ნაკვეთი. 50 მეტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოპასუხე ანარმობს სარკინიგზო გვირაბის მშენებლობას. გვირაბში გამუდმებით მიმდინარეობს ინტენსიური აფეთქებები, რა დროსაც ირლვევა ტექნოლოგიური პირობები. შედეგად სოფელში დაზიანდა უძრავი ქონება, მათ შორის, მოსარჩელების საცხოვრებელი სახლები.

3. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსათვის“ მოსარჩელეთა მიმართვის შედეგად შემოწმდა მათი საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა და დაზიანების გამომწვევი მიზეზები. 2017 წლის 20 ივნისს გაცემული №... დასკვნის მიხედვით, „ზოგადად, ახალი მშენებლობის დაწყებამდე აუცილებელია, მიმდებარედ არსებული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, არსებული დაზიანებების დაფიქსირება და მშენებლობის პროცესში ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგი, რაც აღნიშნულ შემთხვევაში არ ჩატარებულა. ამდენად, შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გვირაბის მშენებლობის დაწყებამდე არ არსებობს. მობინადრების განცხადებით, სოფელში მათი საცხოვრებელი სახლის დაზიანებები გაჩნდა და პროგრესირება დაიწყო სარკინიგზო გვირაბის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დაწყების შემდეგ, კერძოდ, აფეთქებით გამოწვეული გიბრაციული დატვირთვებით, რომელიც მიმდინარეობდა ხანგრძლივად და დიდი სიხშირით, რის გამოც, როგორც მათ საცხოვრებელ სახლში, ასევე, მეზობლად მდებარე შენობებში აღინიშნებოდა საკმაოდ ძლიერი მიწისძვრის მსგავსი ბიძგები.

4. ამდენად, თუ გავითვალისწინებთ მოპასუხის საკუთრებაში არსებული შენობის დაზიანებების და სხვა შენობების დაზიანების ხასიათს და თავისებურებებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფელში მდებარე მოსარჩელის საკუთრებაში არსებული შენობის დაზიანებები ძირითადად გამოწვეულია სარკინიგზო გვირაბის სამშენებლო სამუშაოების წარმოების შედეგად.

5. ამრიგად, სადაც შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, თუმცა ამ ეტაპზე მზიდ კედლებში განვითარებული დაზიანებები საფრთხის შემცველი არ არის და შენობა ვარ-

გისია ექსპლუატაციისათვის, მაგრამ შენობის შემდგომი ხანგრძლივი ექსპლუატაციისათვის აუცილებელია, ჩატარდეს შენობის ტექნიკური მდგომარეობის დეტალური გამოკვლევა და მიღებული შედეგების ანალიზის შემდეგ, აღდგენა-გაძლიერებითი სამუშაოები. ამ მიზნით სპეციალურად დამუშავებული გამაგრების პროექტის მიხედვით“.

6. ინდივიდუალური მენარმის მიერ მომზადებული გამაგრება-შეკეთების სამუშაოების რესურსული ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის მიხედვით, სადაც საცხოვრებელი სახლის დაზიანებით გამოწვეულმა ზიანმა შეადგინა 17 987 ლარი და 38 თეთრი.

მოპასუხის პოზიცია:

7. მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სადაც აფეთქებითი სამუშაოები წარმოებდა დასაშვები ლიმიტის ფარგლებში, რასაც არ შეეძლო მოსარჩელეთა სახლის დაზიანება. მათი სახლი ექსპერტის დასკვნაში ჩამოთვლილ იმ სახლთა სიში ვერ მოხდვა, რომელთაც აფეთქების შედეგად შესაძლებელია რაიმე ზიანი მიდგომდათ.

8. მოპასუხე არ დაეთანხმა ინდივიდუალური მენარმის მიერ შედგენილ მოსარჩელეთა საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, რომლითაც, სხვადასხვა სამუშაოებთან ერთად, გათვალისწინებულია შპალე-რისა და ქალალდის დემონტაჟი შიდა კედლებიდან და ჭერიდან. ასევე არასწორია მითითებული ხარჯთაღრიცხვაც. იგი მეტისმეტად და უსაფუძლოდ გამოიყენება.

9. მოპასუხის განმარტებით, სარჩელიდან ირკვევა, რომ გასულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

10. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის – 17 987, 38 ლარის, ექსპერტიზის ხარჯის – 500 ლარის, საპროექტო-სარჯთაღრიცხვის შედგენისთვის გადახდილი 500 ლარისა და ადვოკატის მომსახურებისათვის 300 ლარის ანაზღაურება, რაც მოპასუხებ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2018 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

ფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის – 11 000 ლარის, ექსპერტიზის ხარჯის – 500 ლარის, საპროექტო-ხარჯთაღრიცხვის შედგენისთვის გადახდილი 500 ლარის, ადვო-კატის მომსახურებისათვის 300 ლარისა და სააპელაციო საჩივარ-ზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანგარიშში 440 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 317-ე მუხლის პირველი ნაწილის, 992-ე მუხლის თანახმად, ვალ-დებულების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველია დელიქტური ვალდებულება, რაც გულისხმობს, რომ პირს ვალდებულება წარმო-ეშიბა ზიანის მიყენების (დელიქტის) შედეგად. განსხვავებით სა-ხელშეკრულებო ვალდებულებისგან, რომელიც წარმოშობა პირის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლო-ბიდან, დელიქტური ვალდებულება არასახელშეკრულებო ვალდე-ბულებათა კატეგორიას მიეკუთვნება და მისი წარმოშობისათვის უნდა არსებობდეს: ზიანი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა და ქმედე-ბას შორის. აღნიშნული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, პირს (ზიანის მიყენებელს) უნდა დაეკისროს, დელიქტური ვალ-დებულებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურება. (იხ.: საქართვე-ლოს უზენაესი სასამართლოს 15.02.2018წ. განჩინებაში მოცემუ-ლი მსჯელობა საქმეზე №ას-72-72-2018) ამდენად, საქმეზე დად-გენილი ფაქტობრივი გარემოებები უნდა შეესაბამებოდეს აღნიშ-ნულ ნორმაში მითითებულ კონსტრუქციას. თუნდაც ერთ-ერთი ელემენტის არასებობა გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთ-ხოვნის უფლებას. შესაბამისად, დელიქტურ ვალდებულებასთან დაკავშირებით სარჩელის აღძვრისას მოსარჩელეს ევალება, საქარ-თველოს სამოქალაქო საპროცესო (შემდგომში – სსკ) 102-ე მუხ-ლით გათვალისწინებული მტკიცების სტანდარტის დაცვით, სათა-ნადო უტყუარი მტკიცებულებების წარდგენის გზით ამტკიცოს, რომ არსებობს სამივე ზემოაღნიშნული წინაპირობა. მოსარჩელის მიერ თავისი პოზიციის დასადასტურებლად კონკრეტული მტკი-ცებულებების წარდგენის შემდეგ სანინააღმდეგო გარემოებების მტკიცება მოპასუხის ვალდებულებაა, რისი შეუსრულებლობაც მხარისათვის არასელსაყრელ მატერიალურ-სამართლებრივ შე-დეგს გამოიწვევს (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 18.10.2017წ. განჩინებაში მოცემული მსჯელობა საქმეზე №ას-1127-1047-2017 და საქმეზე №ას-189-189-2018).

13. სააპელაციო სასამართლომ მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით მიუთითა სსსკ-ის 102-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხა-

რემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. დასახელებული ნორმა წარმოადგენს მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ზოგად, პროცესუალურ სტანდარტს და ადგენს ვალდებულ პირს, რომელმაც მტკიცების საგანში შემავალი ფაქტი სათანადო გარემოებებზე მითითებითა და დასაშვები მტკიცებულებების წარდგენით უნდა დაადასტუროს. სასამართლო განმარტებს, რომ სამოქალაქო სამართლასა და საპროცესო სამართლში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტურის განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანხმად, მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატმ განმარტა, რომ მტკიცებულებათა შეფასებას სასამართლო ახდენს ორი თვალსაზრისით, მათი სარწმუნოობის და არასარწმუნოობის თვალსაზრისით და იმის მიხედვით, თუ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მიმდვნელობის მქონე რომელ ფაქტს ადასტურებს ეს მტკიცებულება. მტკიცებულებათა შეფასება მოსამართლის შინაგანი რწმენით არ ნიშნავს სრულიად უანგარიშგებო დასკვნების გაკეთების უფლებას. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს მოსაზრებაზე, რის გამოც მან ზოგიერთი მტკიცებულება ცნო უტყუარად, ხოლო სხვები სარწმუნოდ. მტკიცებულებათა შეფასება ხორციელდება შემდეგი პრინციპების დაცვით: 1. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით; 2. მტკიცებულებები ფასდება ყოველმხრივ, სრულად (სრული მოცულობით) და მიუკერძოებლად (ობიექტურად); 3. მტკიცებულებათა შეფასებაში სასამართლო თავისუფლება, მისი დამოუკიდებლობა ფაქტისა და უფლების შესახებ საკითხის გადაწყვეტაში უზრუნველყოფილია შემდეგი პრინციპით: არავითარ მტკიცებულებას სასამართლოსათვის არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ნებისმიერი მტკიცებულება სასამართლომ შეიძლება უარყოს და ან პირიქით, მიიღოს, თუ მტკიცებულების ობიექტური შინაარსი შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. საპროცესო კანონმდებლობით თითოეულ მხარეს ევალება წარადგინოს საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ისეთი მტკიცებულებები, რომელიც მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტის შესატყვისად, აძლევს შესაძლებლობას, კონკრეტული გარემოება თუ ფაქტი დაადასტუროს. სასამართლო მტკიცებულებებს ერთობლივად აანალიზებს და მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიღის დასკვნამდე მხარის მოსაზრების დასამტკიცებლად თითოეული ვარგისიანობისა და სამართლებრივი წონადო-

ბის თაობაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საა-ბელაციო სასამართლომ მიიჩინა, რომ ამ კუთხით პირველი ინსტან-ციის სასამართლომ საკმარისად არ გამოიკვლია საქმეში წარმოდ-გენილი მტკიცებულებები, კერძოდ, სსიპ „ლევან სამხარაულის სა-ხელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ 2017 წლის 20 ივნისს გაცემული №... დასკვნა.

14. განსახილევლ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმო-ადგენს მოპასუხისათვის ზიანის სახით 17 987 ლარის და 38 თეთ-რის დაკისრება, რადგან მოპასუხის ქმედებების შედეგად მოსარ-ჩელების სახლი დაზიანდა, შესაბამისად, მოსარჩელების მტკი-ცების საგანმი შემავალ გარემოებებს წარმოადგენდა იმ ფაქტების მტკიცება, რომ დაზიანებული საცხოვრებელი სახლი მათ ეკუთ-ვნოდა; მოქმედებები, რის შედეგადაც ქონება დაზიანდა, მოპასუ-ხემ განახორციელა; ზიანი, რომელიც დადგა, მიზეზობრივ კავშირ-შია მოპასუხის მიერ აფეთქებების წარმოობასთან. მოპასუხე არ და-ეთანხმა სარჩელს და აღნიშნა, რომ კომპანიის პრალეულობა სა-დავო უძრავი ქონების დაზიანებაში არ იკვეთება. მან სადაცოდ გა-ხადა საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნა.

15. სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვე-ტილებით დადგენილ გარემოება, რომ მოსარჩელის კუთვნილი უძ-რავი წივთის დაზიანება ძირითადად გამოწვეულია მოპასუხის მი-ერ სარკინიგზზო გვირაბის მშენებლობის პროცესში განხორციელე-ბული მრავალჯერადი აფეთქებებით წარმოქმნილი დინამიური დატვირთვებით.

16. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარ-ჩელის მიერ წარმოდგენილ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2017 წლის 20 ივ-ნისას დასკვნაზე, კერძოდ: ზოგადად, ახალი მშენებლობის დაწყე-ბამდე აუცილებელია მიმდებარედ არსებული შენობა-ნაგებობე-ბის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, არსებული დაზიანე-ბების დაფიქსირება და მშენებლობის პროცესში ტექნიკური მდგო-მარეობის მონიტორინგი, რაც აღნიშნულ შემთხვევაში არ ჩატარე-ბულა. ამდენად შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ინ-ფორმაცია გვირაბის მშენებლობის დაწყებამდე არ არსებობს ამდენად, თუ გავითვალისწინებთ მოსარჩელის საკუთრებაში არ-სებული შენობის დაზიანებების და, ასევე, სოფელში მდებარე სხვა შენობების დაზიანების ხასიათს და თავისებურებებს, სადაცო და-ზიანებები ძირითადად გამოწვეულია სარკინიგზზო გვირაბის სამ-შენებლო სამუშაოების წარმოების შედეგად.

17. მოპასუხის მიერ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექ-სპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნის საწინააღმდეგოდ წარ-

მოდგენილ იქნა კომპანია „ე-ს“ მიერ გაცემული დასკვნები. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ დასკვნის შინაარსის თანახმად, იგი შეეხება ზოგადად სარკინიგზო გვირაბის მშენებლობისას აფეთქებითი სამუშაოების მონიტორინგს, სამუშაოების წარმოების კონსულტაციას და არ არის მიღებული კონკრეტული უძრავი ნივთის გამოკვლევის შედეგად. მოპასუხის მოსაზრება, რომ დახრილი წერტილი გვირაბის ღერძის უახლოეს წერტილსა და სახლს შორის არის 242 მეტრი, ხოლო პორიზონტალური მანძილი არის 238 მეტრი ზემოქმედების ზონის უახლოესი წერტილიდან სახლამდე“ ვერ აქარწყლებს კონკრეტული სახლის დათვალიერების და დაზიანებების შესწავლის საფუძველზე შედგენილ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ცალსახა დასკვნას, რომ შენობაზე ბზარების განვითარების ხასიათი და გავრცელების არეალი მიუთითებს, რომ დაზიანებები ძირითადად გამოწვეულია სარკინიგზო გვირაბის მშენებლობის პროცესში განხორციელებული მრავალჯერადი აფეთქებებით წარმოქმნილი დინამიური დატვირთვებით. აღნიშნული დასკვნით შეფასდა აფეთქებების ზემოქმედების ზონა და გვირაბის აფეთქებებით გამოწვეული ზიანის რისკი შენობებისათვის. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული დასკვნით კონკრეტული შენობა-ნაგებობება არ გამოკვლეულა, არ შესწავლილა მოსარჩევეთა კუთვნილი შენობა-ნაგებობის მდგომარეობა, არ განხორციელებულა მასზე ფაქტობრივი (და არა თეორიული ან სამეცნიერო) ზემოქმედების დაკვირვება, ზემოქმედების ხანგრძლივობის შესწავლა და ა.შ.

18. სსსკ-ის 172-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვთ წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვალს განჩინებაში მოცემული მსჯელობა საქმეზე №ას-72-72-2018).

19. სააპელაციო სასამართლო მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების კვლევის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება არა მთლიანად, არამედ ხხოლოდ ნაწილობრივ განპირობებულია მოპასუხის მიერ წარმოებული აფეთქებებით, ხოლო აღნიშნული აფეთქებების შედეგად დამდგარი ზიანი უნდა შეფასდეს აქედან

გამომდინარე 11 000 ლარად. იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს დაზიანებული შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გვირაბის მშენებლობის დაწყებამდე, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა არათანაზომიერია მოპასუხის მიერ გამოწვეულ საკარაულო ზიანთან და იგი უნდა შემცირდეს გონივრულ ოდენობამდე.

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხეს დაეკისროს 11 000 ლარის გადახდა. მოსარჩელები ვერ დაამტკიცა, რომ მისთვის მიყენებული ზიანი 17 987,38 ლარი, სრულად მხოლოდ მოპასუხის მიერ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოებისას განხორციელებული აფეთქებებითაა გამოწვეული. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხე მხარის ბრალეულობა მოსარჩელისათვის მიყენებულ ზიანში არის მხოლოდ ნაწილობრივი, როგორც ეს ექსპერტიზის დასკვნაშია ასახული. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასამართლო გადაწყეტილებას იღებს საკუთარი შინაგანი რწმენისა და კანონის შესაბამისად. რადგან განსახილველ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებით არ დასტურდება კონკრეტულად მოპასუხის მიერ ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ზიანს ზუსტი ოდენობა, სასამართლო შინაგანი რწმენის საფუძველზე მიიჩნევს, რომ თანხა უნდა შემცირდეს გონივრულ ოდენობამდე და მოპასუხეს უნდა დაეკისროს 11 000 ლარის ანაზღაურება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დასაბუთებულია და არსებობს მისი ნაწილობრივ დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

21. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დასაბუთებულია პრეტენზია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. სსკ-ის 128-ე მუხლისა და 1008-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ საქმეში არსებული მასალები არ დგინდება ის გარემოება, რომელ წლებში დაზიანდა სახლი. მოპასუხეს არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება, რომ აფეთქებითი სამუშაოები აღარ მიმდინარეობს ან/და რომელ წელს დასრულდა. ამდენად, არ არსებობს არც ხანდაზმულობის ვადის ათვლისა და აღნიშნული საფუძვლით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის წინაპირობა.

22. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელი და სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაემაყოფილდეს. ამასთან, ზემოაღნიშნული მსჯელობა მსგავს საქმეებზე საკასაციო სასამართლოს პრაქტიკასთან სრულ შესაბამისობაშია (იხ. საქართვე-

ლოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის განჩინებაში მოცემული მსჯელობა საქმეზე №ას-72-72-2018).

23. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 53-ე მუხლით და ჩათვალა, რომ მოპასუხეს მოსარჩელეების სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანგარიში – 330 ლარის, ხოლო სააპელაციო საჩივარზე გადახდილი ბაჟის ნაწილში 440 ლარის ანაზღაურება.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

24. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

25. კასატორის მოსაზრებით, გაურკვეველია, რის საფუძვლზე დაკისრა სააპელაციო პალატამ მოპასუხეს თანხის გადახდა.

26. ექსპერტიზის 2017 წლის 20 ივნისის დასკვნა შედგენილია სსსკ-ის 170-ე მუხლის მეორე ნაწილს, სავარაუდო ხასიათისაა, ეფუძნება მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებისა და მობინადრეთა განმარტებას. ექსპერტის მითითებით, სამუშაოების დაწყებამდე მიზანშეწონილი იყო, მიმდებარე შენობების ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგის ჩატარება. მონინააღმდეგე მხარეს არ მოუთხოვია კასატორისაგან ინფორმაცია, ამდენად, გაურკვეველია რატომ დაადგინა ექსპერტმა, რომ ასეთი მონიტორინგი არ განხორციელებულა. ექსპერტს ისიც არ გამოიუკვლევია, რა მანძილზე მდებარეობს მოსარჩელეების სახლი აფეთქებების ტერიტორიიდან, არ შეუმონმებია აფეთქებების სიმძლავრე. ფაქტობრივად, კასატორის დაკვეთით კომპანია „ე-მა“ ანარმოა აფეთქებითი სამუშაოების მონიტორინგი, თუმცა აღნიშნული მასალები სამხარაულის ექსპერტიზას საერთოდ არ გამოიუყენებია.

27. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა მის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნა და ჩათვალა, რომ აღნიშნული დოკუმენტით მოსარჩელეთა სახლის მდგომარეობა და სხვა მზიშვნელოვანი საკითხები არ გამოკვლეულა მაშინ, როცა კასატორის მიერ წარმოდგენილი დასკვნა გამორიცხავს მოპასუხის ბრალეულობას მოსარჩელეთა სახლის დაზიანებაში.

28. სააპელაციო სასამართლომ იგნორირება გაუკეთა მოპასუხის მიერ ასევე მტკიცებულების სახით წარდგენილ ამავე კომპანიის მიერ 2017 წლის 23 სექტემბრის 0717.1.013 დასკვნას, რომლის თანახმად მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი მდებარეობს სადაც სოფელში მშენებარე 9 გვირაბის აღმოსავლეთ პორტალის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს. დახრილი მანძილი გვირაბის ღერძის

უახლოეს წერტილსა და სახლს შორის 242 მეტრია, ხოლო ჰორიზონტალური მანძილი – 238 მეტრი ზემოქმედების ზონის უახლოესი წერტილიდან სახლამდე. სახლი მდებარეობს ზემოქმედების ზონის გარეთ, მის მიმართ არ დაფიქრებულა დასაშვებ ლიმიტზე მაღალი ვიბრაციის მაჩვენებელი, აქედან გამომდინარე, ადაპტირებული სპეციფიკასილა და სტანდარტების გათვალისწინებით მოსარჩელის სახლის დაზიანებები არ არის გამოწვეული მე-9 გვირაბის აღმოსავლეთ პორტალში წარმოებული აფეთქებით სამუშაოების შედეგად. აღნიშნული დასკვნიდან სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა მხოლოდ მანძილის განსაზღვრა და დანარჩენ დებულებებზე საერთოდ არ იმსჯელა. აღნიშნული საკითხის საილუსტრაციოდ კასატორმა წარადგინა და დასკვნას თან დაერთო სადაც ტერიტორიის რუკა.

29. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით მოპასუხეს დააკისრა მოსარჩელეების სასარგებლოდ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი ბაჟის ანგარიშში 440 ლარის ანაზღაურება. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელებს არ გაუსაჩივრებიათ, შესაბამისად, არც სააპელაციო საჩივრის ბაჟი არ გადაუხდიათ და მოსარჩელეთა სასარგებლოდ 440 ლარის დაკისრება საფუძველს მოკლებულა.

30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივნისის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2018 წლის 12 სექტემბრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის სახით მისთვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ 440 ლარის დაკისრების ნაწილში ცნობილ იქნა დასაშვებად, ხოლო დანარჩენ ნაწილში საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამ.

სამოტივაციო ნაწილი:

31. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებულ ნაწილში სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩინა, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გადაწყვეტილება მოპასუხისათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ 440 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, მოსარჩელებს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელ-

მწიფო ბაჟის ნაწილის – 279,49 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

32. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია სააპელაციო პალატის მიერ სასამართლო ხარჯების განაწილების მართლზომიერება.

33. სასამართლო ხარჯების, კერძოდ კი, სახელმწიფო ბაჟის მხარეთა შორის განაწილების კანონიერების შესამოწმებლად, უპირველესად, მნიშვნელოვანია დავის არსებით გარემოებებზე ყურადღების გამახვილება.

34. განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნა შეეხებოდა მოპასუხისათვის ზიანის – 17 987, 38 ლარის, ექსპერტიზის ხარჯის – 500 ლარის, საპროექტო-ხარჯთაღრიცხვის შედგენისთვის გადახდილი 500 ლარისა და ადვოკატის მომსახურებისათვის 300 ლარის გადახდას.

35. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის – 17 987, 38 ლარის, ექსპერტიზის ხარჯის – 500 ლარის, საპროექტო-ხარჯთაღრიცხვის შედგენისთვის გადახდილი 500 ლარის, ასევე, ადვოკატის მომსახურებისათვის 300 ლარის ანაზღაურება, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

36. საქმის მასალებიდან დასტურდება, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის ანგარიშში გადაიხადა 719,50 ლარი, სასარჩელო მოთხოვნის ლირებულების – 17 987,38 ლარის 4%.

37. ობილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის – 11 000 ლარის, ექსპერტიზის ხარჯის – 500 ლარის, საპროექტო-ხარჯთაღრიცხვის შედგენისთვის გადახდილი 500 ლარის, ადვოკატის მომსახურებისათვის 300 ლარისა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანგარიშში 440 ლარის გადახდა.

38. ამდენად, მოსარჩელეთა მოთხოვნა სააპელაციო ეტაპზე დაკმაყოფილდა მხოლოდ 11 000 ლარის ნაწილში, ხოლო 6987,38 ლარის (17 987,38 – 11 000 ლარი) ანაზღაურებაზე ეთქვათ უარი.

39. სსსკ-ის 53-ე მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტილას მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების წესს და პირველი ნაწილის ძალით ადგენს, რომ იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქ-

ნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

40. კანონის მითითებული დანაწესი მიზნად ისახავს ყოველი მხარისათვის სასამართლო ხარჯების ობიექტური ოდენობით გადახდევინებას. დაუშვებელია, სახელმწიფო ბაჟის დაფარვა სრულად დაეკისროს ისეთ მხარეს, რომელმაც, მართალია, გაასაჩივრა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და გადაიხდა შესაბამისი ინსტანციისათვის კანონით დადგენილი სახელმწიფო ბაჟი, თუმცა სასამართლომ სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილა მისი პრეტენზია. ასეთ შემთხვევაში კანონმდებელმა დააწესა მომჩივანი მხარის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების მექანიზმი იმ ოდენობით, რომლითაც დაკმაყოფილდა ზემდგომი ინსტანციისათვის ნარდგენილი პრეტენზია.

41. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული დაცის განხილვის შედეგად სახელმწიფო ბაჟის განაწილება სასამართლოს ვალდებულებაა და მხარის მხრიდან რაიმე დამატებითი პრეტენზის ნარდგენას არ საჭიროებს.

42. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატიორის არგუმენტს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მას არასწორად დაკისრა მოსარჩელეთა სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 440 ლარის გადახდა, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ – 6987,38 ლარის მისთვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში დაკმაყოფილდა, შესაბამისად, აპელანტისათვის სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ანგარიშში დამატებით რაიმე თანხის დაკისრების საჭიროება მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან არ გამომდინარეობს.

43. სსს-ე-ის 393-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

44. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს

გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების წინაპირობა მოპასუხისათვის მოსარჩევეთა სასარგებლოდ 440 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში. აღნიშნულ ნაწილში მიღებულ უნდა იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩევებს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ მოპასუხის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 279,49 ლარის გადახდა, რაც ნარმოადგენს სააპელაციო პალატის მიერ დაკმაყოფილებული სააპელაციო საჩივრის მოცულობის – 6987,38 ლარის 4%-ს. შესაბამისად, სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე აპელანტს უნდა აუნაზღაურდეს, სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად (6987,38 ლარის ნაწილში), სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 279,49 ლარის ოდენობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ჩ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 მაისის გადაწყვეტილების მე-10 პუნქტი შპს „ჩ-ისათვის“ გ., მ. და პ. გ-ების სასარგებლოდ 440 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. გ. გ-ს (პირადი №...), მ. გ-სა (პირადი № 5...) და პ. გ-ს (პირადი № 5...) შპს „ჩ-ის“ (საიდანტიფიკაციო №...) სასარგებლოდ დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 279,49 ლარის გადახდა.

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. სასამართლო შეტყობინება და დაპარება

სასამართლო შეტყობინება და დაპარება

განხილვა საქართველოს სახელით

№ას-404-404-2018

15 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
გ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. მ-ის (შემდეგში: მოსარჩევე) სარჩელი, შპს „ო-ის“ (შემდეგში: მოპასუხე, აპელანტი, საწარმო ან კერძო საჩივრის ავტორი) წინააღმდეგ დაკმაყოფილდა.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 თებერვლის განჩინებით აპელანტის სააპელაციო საჩივრი დარჩა განუხილველი.

3.1. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ 2018 წლის 18 იანვრის განჩინებით აპელანტი დაუდგინდა ხარვეზი, დაევალა, განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში მიეთითებინა, რაში მდგომარეობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობა, ასევე მიეთითებინა, თუ რა ნაწილში არ ეთანხმებოდა იგი გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას. მიეთითებინა იმ გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივრას და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს, აგრეთვე – გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი – 200 ლარი და ნარედგინა სააპელაციო საჩივრის ელ ვერსია, CD დისკის სახით.

4. საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 იანვრის განჩინების ასლი, 2018 წლის 25 იანვარს, ჩაბარდა მოპასუხის წარმომადგენელს – ნ. ა-ს. შესაბამისად, აპელანტისათვის

ხარვეზის შევსების ვადის ათვლა დაიწყო 2018 წლის 26 იანვრიდან და ამოინურა იმავე წლის 1 თებერვალს.

4.1. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია, ხოლო აპელანტის წარმომადგენელმა 2018 წლის 5 თებერვალს მომართა სასამართლოს განცხადებით, სადაც მიუთითა, რომ მისი წინააღმდეგობის მიუხედავად, ფოსტის თანამშრომელმა მაინც დაუტოვა გზავნილი. ამასთან, განმცხადებელმა განმარტა, რომ კონვერტი ვერ გადასცა მოპასუხე საწარმოს დირექტორს, ვინაიდან ეს უკანასკნელი არ იმყოფება საქართველოში, შესაბამისად, წარმომადგენელი ითხოვდა სასამართლოს მიერ კონვერტის დაბრუნებას, რათა მისი შინაარსის არცოდნის გამო, თავიდან ყოფილიყო აცილებული მოსალოდნელი პრობლემები;

4.2. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 64-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის აღმოფხვრისათვის განსაზღვრული ვადის გაგრძელება მიზანშეუწონელია, ვინაიდან აპელანტი საწარმოს თანამშრომელმა სასამართლოს ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ მიმართა (განცხადების თაობაზე ვრცლად იხილეთ წინამდებარე განჩინების 4.1. ქვეპუნქტი).

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 თებერვლის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა მოპასუხებ, მოითხოვა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, და სააპელაციო სასამართლოსათვის სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის ეტაპიდან, საქმის განსახილველად დაბრუნება.

6. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის თაობაზე განჩინება მოპასუხეს გაეგზავნა ამ უკანასენელის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი, ბ-ს ქ. 6, სადაც გარდა მოპასუხისა, განთავსებულია სხვა კომპანიებიც. გზავნილი კურიერმა ჩაბარა ნ. ა-ს, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი არ იყო თანამება გზავნილის ჩაბარებაზე, ვინაიდან მოპასუხე საწარმოსთან არანაირი კავშირი არ აქვს, ამასთან იცოდა, რომ გზავნილის უშუალო ადრესატი უცხოეთში იმყოფებოდა და უცნობი იყო, როდის დაბრუნდებოდა. მიუხედავად აღნიშნულისა, კურიერმა მაინც დატოვა გზავნილი.

7. 6. ა-მა 2018 წლის 5 თებერვალს მიმართა სასამართლოს განცხადებით, წინამდებარე განჩინების 4.1 ქვეპუნქტში მითითებულ გარემოებებზე მიუთითა და მოითხოვა კონვერტის დაბრუნება სასამართლოსათვის.

8. საწარმოს წარმომადგენელმა 2018 წლის 6 თებერვალს მი-

მართა სასამართლოს და ჩაიპარა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის თაობაზე 2018 წლის 18 იანვრის განჩინება, აღნიშნულის საფუძველზე კი, საწარმოს მიერ კანონით დადგენილ ვადაში მოხდა ხარვეზის აღმოფხვრა.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2018 წლის 20 აპრილის განჩინებით მოპასუხის კერძო საჩივარი წარმოებაში მიიღო განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სსსკ-ის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი ან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

11. სსსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად (ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტების ანალიზის შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მას დასაბუთებული საკასაციო შედავება წარმოდგენილი აქვთ.

12. კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის თაობაზე მიღებული განჩინების, კანონით დადგენილი წესით, ადრესატისათვის ჩაბარებულად (იხ. წინამდებარე განჩინების 4.2-4.2 ქვეპუნქტები).

13. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალნარმოების პროცესში მონაწილე პირთა მიმართ სასამართლო დოკუმენტების გაგზავნა ჩაბარების/შეტყობინების წესს განსაზღვრავს სსსკ-ის 70-78 მუხლები.

14. სსსკ-ის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაპარდება ერთ-

ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. სასამართლო უწყებით სასამართლოში იძარებენ აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს. სსსკ-ის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტენატივული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. სსსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩაბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით, იმავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ადრესატის არყოფნის შემთხვევაში სასამართლო უწყების ჩამბარებელმა უწყების მეორე ეგზემპლარზე უნდა აღნიშნოს, სადა არის ნასული ადრესატი და როდის ვარაუდობენ მის დაპრუნებას. სსსკ-ის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილი მიხედვით ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაპბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაპბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს.

15. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ გზავნილი სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის თაობაზე ჩაბარდა აპელანტის (მოპასუხე სანარმოს) უფლებამოსილ პირს. მართალია, სსსკ-ის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილი განსაზღვრავს ფოსტის მეშვეობით გაგზავ-

ნილი კორესპონდენციის არა მხოლოდ უშუალოდ ადრესატის, არა-მედ ორგანიზაციის სხვა პასუხისმგებელ პირთა მიერ ჩაბარების წესს, თუმცა, საგულისხმოა ის გარემოება, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობების თანახმად, ნ. ა-ი არ წარმოადგენს მოპასუხე საწარმოს მენეჯერს; საქმეში არსებული გზავნილის თანახმად, ნ. ა-ი, რომელსაც ჩაბარდა მოპასუხისათვის გადასაცემი სასამართლო (განჩინება) დოკუმენტაცია, დასაქმებულია იმავე მისამართზე განთავსებულ სხვა რამდენიმე კომპანიაში (შპს „გ. 2012“-ში ბუღალტერია, შპს „კ.-2012“-ში და შპს „მ.“-ში მოლარეა).

16. კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოპასუხე საწარმოს გარდა, შპს „გ. 2012“-ის, შპს „კ.-2012“-ისა და შპს „მ.“-ს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ...-ის ქ. № 6 (მდრ. წინამდებარე განჩინების მე-6 პუნქტში მოპასუხე საწარმოს მისამართს). ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს გზავნილის ნ. ა-ისათვის ჩაბარება, სსსკ-ის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით განსაზღვრული დანარესის ფარგლებში (ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაპარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს) ვერ მიიჩნევა აპელანტის უფლებამოსილ პირისათვის ჩაბარებად. ამასთან, გასათვალისწინებელია, თავად ნ. ა-ს მიერ განხორციელებული ქმედება, სასამართლო გზავნილის უკან დაბრუნების თაობაზე, და ის, რომ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ გზავნილი მისი ნების საწინააღმდეგოდ დატოვა კურიერმა მისამართზე, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ამყარებს კერძო საჩივრის ავტორის პრეტეზის საფუძვლიანობას, რომელმაც იმის დასტურიც წარმოადგინა, რომ მოპასუხე საწარმოს დირექტორი არ იმყოფებოდა საქართველოში სააპელაციო სასამართლოდან გამოგზავნილი განჩინების ჩაბარების დროს.

17. საკასაციო სასამართლომ იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ საქმისწარმოების განმავლობაში, ნ. ა-ს, როგორც მოპასუხე საწარმოს თანამშრომელს, არასდროს ჩაბარებია კუთვნილი გზავნილი.

18. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით უზრუნველყოფილია საქმის სამართლიანი განხილვის უფლება, რაც გასაჩივრების უფლებასაც მოიცავს, რომლის წინაპირობაა კანონით დადგენილი წესით მხარისათვის ინფორმაციის მიწოდება, სასამართლოს შესაბამისი აქტის ჩაბარების უზრუნველყოფა, გასაჩივრების ფუნდამენტური უფლების რეალიზაციის მიზნებისათვის.

19. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებითა და კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ წინამდებარე შემთხვევაში საქმის მასალებით დგინდება, რომ 6. ა-ი არ წარმოადგენს ადრესატი კომპანიის თანამშრომელს, შესაბამისად, სასამართლოს მიერ მისთვის ჩაბარებული უწყება ვერ ჩაითვლება ჩაბარებულად, რის გამოც კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „ო-ის“ კერძო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 თებერვლის განჩინებაზე, დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 თებერვლის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შპს „ო-ის“ სააპელაციო საჩივარის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო შეტყობინება და დაპარება

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1107-1027-2017

23 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: მოძრავი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება, საკუთრების უფლების მოსარჩელის სახელზე რეგისტრაცია

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. ი. თ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, მონინააღმდეგე მხარე ან მფლობელი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „S-I-სა“ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – მოპასუხები, სსიპ შემოსავლების სამსახური, ასევე წოდებული, როგორც აპელანტი, კასატორი ან კრედიტორი, ხოლო შპს „S-I“ – თავდაპირველი თანამობასუხე ან მოვალე) მიმართ და მოითხოვა მოვალის სახელზე რეგისტრირებული ავტომანქანა „ოპელ ასტრა G-ს“ (სახელმწიფო ნომერი ... – საიდენტიფიკაციო ნომერი: ..., ძრავის ნომერი: ... (1,6), შემდგომში – დავის საგანი) ყადაღისაგან გათავისუფლება და მოსარჩელის სახელზე რეგისტრაცია.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2014 წლის 10 ივნისს მოსარჩელესა და მოვალეს შორის გაფორმდა ურთიერთშეთანხმება, რომლის შესაბამისადაც მოსარჩელემ თავდაპირველი თანამობასუხისაგან მიიღო საზოგადოების სახელზე რეგისტრირებული სადავო ავტომანქანა ქირით, საბოლოო შესყიდვის უფლებით. ხელშეკრულების საგნის საბოლოო შესყიდვის ფასი განისაზღვრა 3 500 აშშ დოლარით, საიდანაც 1 700 აშშ დოლარი გადახდილია შეთანხმებაზე ხელმოწერის დროს, 620 აშშ დოლარი – 2014 წლის ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში თანხის ანგარიშზე შეტანის გზით, ხოლო დარჩენილი თანხა მოსარჩელემ გადაიხადა 2014 წლის ნოემბერში, შესაბამისად, მას 2014 წლის 10 ივნისს კანონიერ მფლობელობაში გადაეცა დავის საგანი და მას

ფლობდა მანამ, ვიდრე საპატრულო პოლიციამ არ ჩამოართვა იგი. ნივთის ფლობის ფაქტს ადასტურებს მოსარჩელის მიმართ გამოწერილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, რომელთა თარიღები მითითებულია საპატრულო პოლიციის 2016 წლის 7 ნოემბრის წერილში. მოსარჩელის განმარტებით, მას ეჭვი არასოდეს შეჰქარვია იმაში, რომ დავის საგანზე შეეძლო მესამე პირს განეცხადებინა პრეტენზია ან არსებობდა ნივთზე რამე შეზღუდვა, თავდაპირველი თანამოპასუხის მიერ თანხის მიღებისას არასოდეს გაცხადებულა ნივთის ნაკლი, თუმცა საზოგადოების დირექტორი არ გაჰყენა მოსარჩელეს ნივთის გადასაფორმებლად. ნივთის ჩამორთმევისას მოსარჩელეს განემარტა, რომ მოვალეს გააჩნდა ვალდებულება, რეგისტრირებული იყო მოვალეთა რეესტრში და ნივთს ედო ყადალა.

2. მოპასუხების პოზიცია:

2.1. კრედიტორმა სარჩელი არ ცნო და მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხველი შესაგებლით აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი ხელშეკრულება არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის თანახმად, დავის საგანი რეგისტრირებულია მოვალის სახელზე, შესაბამისად, მოვალესა და მოსარჩელეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ბათილია, ამასთანავე, არ არის წარმოდგენილი გამყიდველის ანგარიშზე თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე, მიღება-ჩაბარების აქტი, რაც შეეხება რეგისტრირებულ მონაცემებს, ავტომობილი დატვირთულია გირავნობით. გარდა ამისა, სარჩელი უსაფუძვლოა ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების მოთხოვნის ნაწილშიც, რადგანაც მოვალეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ერიცხება დავალიანება 34 125 ლარის ოდენობით და შემოსავლების სამსახურის მიერ სადავო ნივთზე გავრცელებულია გირავნობა, ხოლო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის კონტექსტში მოსარჩელე ვერ ამტკიცებს ქონებაზე საკუთრების უფლებას;

2.2. მოვალეს სარჩელის წინააღმდეგ შესაგებელი არ წარუდგენია და არც სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2017 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, დავის საგანი გათავისუფლდა ყადაღისაგან და აღირიცხა მოსარჩელის საკუთრებად.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კრედიტორმა, მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი, ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1 აგვისტოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგი გარემოებების გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისა და ამ ნივთის ყადაღისაგან გათავისუფლების კანონიერება. ვიდრე პალატა საკასაციო პრეტენზიათა დასაბუთებულობას შეამოწმებდეს, ყურადღებას საკასაციო სამართალწარმოების რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალზე გაამახვილება:

1.1.1. საკასაციო წესით მართლმსაჯულების განხორციელები-სას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება მოწმდება ორი ძირითადი მიმართულებით, კერძოდ: სასამართლო უპირველესად ამოწმებს, სახეზე ხომ არ არის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, რომლებიც მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლში, ხოლო, ამ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში, შეფასებას ექვემდებარება კასატორის პრეტენზიების დასაბუთებულობა, ამ გარემოებათა ჩამონათვალი კი, რეგლამენტირებულია ამავე კოდექსის 393-ე მუხლში.

1.1.2. განსახილველ შემთხვევაში, პალატა თვლის, რომ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა, კერძოდ, სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას. ამ თვალსაზრისით სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე პრეტენზიას აცხადებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახელზე რეგისტრირებულ ნივთზე და მიიჩნევს, რომ მან ამ საზოგადოებასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოიპოვა ნივთზე საკუთრების უფლება. საკუთრების წარმოშობამდე ნივთზე რეგისტრირებული უფლება არ გაუქმებულა და იგი სსიპ შემოსავლების სამსახურმა არასწორად დააყადალა. როგორც სარჩელით, ისე – მოსამზადებელ სხდომაზე (იხ. 24.03.2017წ. ოქმი, 15:20:01 სთ) მოსარჩელემ დააზუსტა მოპასუხეთა წრე და თანამოპასუხედ მითითებულ იქნა შპს „S-I“, აღნიშნული ქმედება პროცესუალური თვალსაზრისითაც ლოგიურია, რამდენადაც წინამდებარე სარჩელზე ის წარმოადგენს სათანადო მხარეს, როგორც საკუთრების მოპოვების, ისე – ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების ნაწილში (დანვრილებით პალატა იმსჯელებს ქვემოთ). საქმის მასალებით ირკვევა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ მოპასუხე შპს „S-I-სათვის“ ჩაბარების მიზნით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელს გადაეცა საქმის მასალები, თუმცა ამ უკანასკნელისათვის ჩაბარება ვერ იქნა უზრუნველყოფილი და მოსარჩელემ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა საჯარო შეტყობინების განხორციელების თაობაზე. საქალაქო სასამართლო ისე, რომ შეტყობინების სხვა რომელიმე ფორმის გამოყენება არც კი უცდია, ისარგებლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით და 2017 წლის 13 იანვარს გამოიტანა განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ. უწყების ჩაუბარებლობის გამო სასამართლოს ასევე არ უხელმძღვანელია ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით, ისე გაარძელა საქმის განხილვა და კვლავ საჯარო შეტყობინების გზით სცადა მხარის ინფირმირება ერთ-ერთი მორიგი სხდომის თაობაზე, შემაჯამებელი გადაწყვეტილების, თუნდაც ამ წესით ჩაბარების დამადასტურებელი განჩინება კი, საქმის მასალებში არ მოიპოვება. რაც შეეხება სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპს, სა-

აპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ თავდაპირველი თანამოპასუხის ინფორმირება შეტყობინების ორჯერ გაგზავნით სცადა და მას შემდეგ, რაც განმეორებითი გზავნილი არ ჩაბარდა ადრესატს, 2017 წლის 5 ივლისსა და 19 ივლისს გამოიტანა განჩინებები პირის საჯარო შეტყობინების გზით ინფორმირების თაობაზე. შემაჯამებელი განჩინება, მსგავსად პირველი ინსტანციის სასამართლოსა, არც სააპელაციო პალატას უცნობებია მოვალისათვის. რაც შეეხება საკასაციო სამართალნარმოებას, კომპანიის დირექტორმა თავად მომართა სასამართლოს განცხადებით, სადაც აღნიშნა, რომ მას არავითარი შეტყობინება დავის მიმდინარების თაობაზე არ მიუღია, ის იმყოფებოდა საზღვარგარეთ და სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე არ ცხოვრობს, მან დავალიანების ოდენობის შეტყობის მიზნით მიმართა შესაბამის სამსახურს და მას შემდეგ გახდა ცნობილი დავის არსებობა. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ მხარე არ ეთანხმება მოსარჩელის მითითებას ნასყიდობის საფასურის გადახდისა და დავის საგნის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე და პრეტენზიას აცხადებს მასზე.

1.1.3. საკასაციო პალატა ამ ფაქტების მხედველობაში მიღებით იზიარებს განმცხადებლის პოზიციას, რომ ის არ ყოფილა სათანადოდ მიწვეული საქმის განხილვაზე და ყურადღებას კვლავ იმ გარემოებაზე გაამახვილებს, რომ სარჩელის საგანს მოძრავ ნივთზე საკუთრების მოპოვება და ამ ნივთის ყადაღისგან გათავისუფლება წარმოადგენს. ამ დავის მხარედ სწორედ მოვალე გვევლინება, გარდა ამისა, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ მოძრავი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების სარჩელი აღიძვრება კრედიტორისა და მოვალის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, მოვალის მოძიება ვერ მოხერხდა, ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-4 ნაწილი მართალია, სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, გამოიტანოს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ, თუმცა, კანონის აღნიშნული დანაწესი უნდა განიმარტოს პროცესის ძირითად პრინციპებთან ერთიანობაში (სსსკ-ის მე-3-მე-4 მუხლები), რათა დავის სუბიექტებს შორის არ დაირღვეს სამართლიანი ბალანსი და პირს არ წაერთვას შესაძლებლობა, ისარგებლოს სასამართლო ხელმისაწვდომობის ფუნდამენტური უფლებით. საკასაციო სასამართლო მოიმველიებს მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკას: საქმეზე „GAKHARIA v. GEORGIA“ (განაცხადი 30459/13) ევროსასამართლომ პირი არ ჩათვალა ინფორმირებულად იმ პირობებში, როდესაც ის

საქართველოში არ ცხოვრობდა, მას არ ჩაბარდა შეტყობინება, ხოლო საქმის განმხილველმა სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმირების წესი პირის დაპარებულად მიჩნევას გაუთანაბრა და მის მიმართ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ევროპული სამართლომ დარღვეულად მიიჩნია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი და განმარტა შემდეგი: „... მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ელემენტია, მოითხოვს თითოეული მხარისგან ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი საქმე ისეთ პირობებში, რომელიც არ ჩააყენებს მას მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში მის მონინააღმდეგ მხარესთან მიმართებით (იხილეთ „ნიდეროსტ-ჰუბერი შვეიცარიის წინააღმდეგ“, (Niderost-Huber v. Switzerland), 18/02/1997, §23, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა კრებული 1997-I; „კრესი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Kress v. France) [დიდი პალატა], № 39594/98, § 72, ECHR 2001-VI; „ევონი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Yvon v. France), №. 44962/98, § 31, ECHR 2003-V; და „გორაიზი და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ“ (Gorraiz Lizarraga and Others v. Spain), №. 62543/00, § 56, ECHR 2004-III). შემდგომში, სასამართლო ხაზს უსვამს ეროვნული ორგანოების ვალდებულებას – უზრუნველყოს „სამართლიანი განხილვის“ მოთხოვნები თითოეულ საქმეზე (იხილეთ Dombo Beheer B.V. ნიდერლანდების წინააღმდეგ (Dombo Beheer B.V. v. the Netherlands), 27/10/1993, §33, Series A №. 274). კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი არ ითვალისწინებს დოკუმენტების გაგზავნის კონკრეტულ ფორმას (იხილეთ „ბოგონისი რუსეთის წინააღმდეგ“ (Bogonos v. Russia (dec.), № 68798/01, 05/02/2004, და „ორამისი კვიპროსის წინააღმდეგ“ (განჩინება) (Orams v. Cyprus (dec.), № 27841/07, 10/06/2010), თუმცა სამართლიანი სასამართლოს ზოგადი კონცეფცია მოიცავს შეჯიბრებითი სამართლარმოების ფუნდამენტურ პრინციპს (იხილეთ, რუიზ-მატეოსი ესპანეთის წინააღმდეგ (Ruiz-Mateos v. Spain), 23/06/1993, § 63, Series A № 262). ამასთან, სამართლიანი სამართლარმოება მოითხოვს, რომ სამოქალაქო სამართლარმოების ყველა მხარე ინფორმირებული იყოს და შესაძლებლობა ჰქონდეს, გამოიტქვას მოსაზრება წარდგენილ დასკვნებსა და მტკიცებულებებზე, რათა გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (იხილეთ „ლობო მაჩადო პორტუგალიის წინააღმდეგ“ (Lobo Machado v. Portugal), 20/02/1996, §31, ანგარიშები 1996-I]. უპირველეს ყველისა, აღნიშნული საკითხი გულისხმობს იმას, რომ პირი ინფორმირებული უნდა იყოს მის წინააღმდეგ მიმდინარე სამარ-

თალნარმოების შესახებ (იხილეთ „დილიპაკი და კარაკაია თურქეთის წინააღმდეგ“ (*Dilipak and Karakaya v. Turkey*), № 7942/05 და 24838/05, §77, 04/03/2014). თუ სასამართლო დოკუმენტები – მათ შორის სასამართლო სხდომის უწყებები არ ჩაჰდარდა მხარეს პირადად, მაშინ განმცხადებელს შეიძლება, ხელი შეეშალოს საკუთარი თავის დაცვის განხორციელებაში სამართალნარმოების პროცესში (იხილეთ „ოზგურ-კარადუმანი გერმანიის წინააღმდეგ“ (განჩინება) (*Ozgur-Karaduman v. Germany* (dec.), no. 4769/02, 26/06/2007; „ვებერი გერმანიის წინააღმდეგ“ (განჩინება), (*Weber v. Germany* (dec.), no. 30203/03, 02/10/2007; და „ზადოვნიკი სლოვენიის წინააღმდეგ“, (*Zavodnik v. Slovenia*), no. 53723/13, § 70, 21/05/2015). კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და სამუალებას აძლევს სახელმწიფოებს, მოაწყობ მათი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს სწრაფ და ეფექტურ სამართალნარმოებებს, მათ შორის, დაუსწრებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის კუთხით (იხილეთ „აჯდაჯიჩი სლოვენიის წინააღმდეგ“ (*Azdzajic v. Slovenia*), no. 71872/12, §49, 08/10/2015, და „განკინი და სხვები რუსთის წინააღმდეგ“ (*Gankin and Others v. Russia*), nos. 2430/06, 1454/08, 11670/10 და 12938/12, § 26, 31/05/2016), თუმცა აღნიშნული არ შეიძლება განხორციელდეს სხვა პროცედურული გარანტიების, განსაკუთრებით მხარეთა თანასწორობის პრინციპის ხარჯზე. საქმეში – „დილიპაკი და კარაკაია“ (*Dilipak and Karakaya*) მან გადაწყვიტა სისხლის სამართლის საკითხებისადმი მისი მიდგომის სულისკვეთება გადმოეტანა და დაუსწრებელი სისხლის სამართალნარმოების პროცესში განვითარებული პრინციპები მიესადაგებინა სამოქალაქო სამართალნარმოების მიმართაც. შესაბამისად, აღნიშნულ საქმეში, სასამართლო დაეყრდნო მის პროცედურულ სამართალს, რომლის მიხედვითაც სამართლიანობის უარყოფა დგინდება, როცა პროცესზე დაუსწრებლად მსჯავრდებულ პირს არ აქვს სამუალება, მიიღოს ბრალდების არსის ცხადი განმარტება იმ გარემოებებში, როცა არ არის დადგენილი მის მიერ სასამართლოში გამოცხადების უფლებასა და საკუთარი თავის დაცვის უფლებაზე უარის თქმა (იხილეთ „კოლოზა იტალიის წინააღმდეგ“ (*Colozza v. Italy*), 12/02/1985, §29, Series A no. 89; „ეინორნი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (განჩინება), (*Einhorn v. France*) (dec.), no. 71555/01, §33, ECHR 2001-XI; „კრომბახი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (*Krombach v. France*) no. 29731/96, §85, ECHR 2001-II; და „სეჯდოვიჩი იტალიის წინააღმდეგ“ (*Sejdovic v. Italy*) [დიდი პალატა], no. 56581/00, §82, ECHR 2006-II], ან, როცა იგი მიზნად ისახავს მართლმსაჯულებისგან თავის დაღწევას (იხილეთ „მედენიკა შვეიცარიის წინააღმდეგ“ (*Medenica v. Switzerland*), no. 20491/92, §55, ECHR 2001-VI). ამასთან, კონვენციის მე-6 მუხლის არც ფორმა-

ლური და არც შინაარსობრივი მხარე ხელს არ უშლის პირს საკუთარი თავისუფალი წებით გამოხატულად ან ნაგულისხმევად უარი თქვას სამართლიანი სასამართლოს გარანტიებზე (იხილეთ „ჰერმი იტალიის წინააღმდეგ“ (Hermi v. Italy) [დიდი პალატა], no. 18114/02, §73, ECHR 2006-XII), თუმცა, ასეთი უარი დადგენილი უნდა იყოს ცალსახად და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი მნიშვნელობის შესაბამისი მინიმალური გარანტიებით (იხილეთ „პოტრიმოლი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Poitrimol v. France) 23/11/1993, §31, Series A no. 277-A), და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რაიმე მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს (იხილეთ, „სეჯდოვიჩი“ (Sejdovic) §86, და „დილიპაკი და კარაკაია“ (Dilipak and Karakaya), §79, აგრეთვე, „ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Natsvlishvili and Togonidze v. Georgia), no. 9043/05, §91, ECHR 2014 (ამონარიდები)). სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ მისი ამოცანა არ არის განიხილოს შესაბამისი კანონმდებლობა და პრაქტიკა აბსტრაქტულად, არამედ, განსაზღვროს მათი გამოყენების ფორმა ან განმცხადებლისადმი მათი გავლენა არღვევდა თუ არა კონვენციას (იხილეთ „პადოვანი იტალიის წინააღმდეგ“ (Padovani v. Italy), 26/02/1993, §24, Series A no. 257-B“).

1.1.4. მოხმობილი განმარტებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხე, რომლის უფლებებსაც ეხებოდა გადაწყვეტილება, არ იყო სათანადოდ მიწვეული საქმის განხილვაზე, ამასთანავე, ქვემდგომ სასამართლოებს არ გამოუყენებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით გარანტირებული ყველა საპროცესო საშუალება მხარის ინფორმირებისათვის, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების უპირობო საფუძველია.

1.2. რაც შეეხება კასატორის პრეტრინგის, პალატა არ იზიარებს მათ და განმარტავს, რომ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მოძრავი ნივთის შეძენის წესებს არეგულირებს სამოქალაქო კოდექსი და არა საჯარო სფეროს მიკუთვნებული რომელიმე კანონი ან კანონქვემდებარე აქტი (მათ შორის კასატორის მიერ მოხმობილი „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონი). საკასაციო სასამართლომ ავტოსატრანსპორტო საშუალების ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრის მიზნით არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ამგვარი ურთიერთობის გადასაწყვეტად უნდა შემონმდეს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის წინაპირობები, რომლითაც დადგენილია, რომ საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. ნორმის მე-2 ნაწილით კანონმდებელი ამომწურავად ადგენს შემთხვევებს,

საკუთრების გადაცემის იურიდიული შედეგის დადგომისათვის თუ რა განიხილება ნივთის გადაცემად, ასეთად კი, მიჩნეულია შემდეგი: შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად; მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება. საკუთრების უფლების ნარმოშობის საფუძვლები ამომზურავადა დადგენილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომელიც ერთმანეთისაგან განსხვავებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის სამართლებრივ რეჟიმს. ამავე კოდექსის 186-ე-197-ე მუხლებით განსაზღვრულია რა მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საფუძვლები, ეს წესები თანაბრად ვრცელდება ყველა მოძრავ ნივთზე და იგი არ ადგენს მოძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად სავალდებულო რეგისტრაციას (მრავალთა შორის იხ. სუსგ-ებები: №ას-914-954-2011, 27 ოქტომბერი 2011 წელი; №ას-658-625-2014, 5 დეკემბერი, 2014 წელი). გარდა ამისა, საკასაციო პალატის მიერ დადგენილია ერთგვაროვანი პრაქტიკა ასევე მოძრავი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ სარჩელებზე და ამ დავებში სასამართლოს მიღება შემდეგია: „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის ანალიზი ცხადყოფს, რომ ყადაღა შეიძლება დაედოს მხოლოდ მოვალის კუთვნილ მოძრავ ქონებას. ამავე კანონის 32-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დანახესი იცავს იმ პირთა უფლებებს, რომელთა საკუთრების ობიექტი გარკვეული ცდომილების შედეგად მიიჩნევა მოვალის ქონებად (აღსრულების საგნად). ასეთ ვითარებაში აღსრულების საგანზე უფლების მქონე მესამე პირი სარგებლობს უფლებამოსილებით, აღძრას სასამართლოში სარჩელი მოვალისა და კრედიტორის წინააღმდეგ და მოითხოვოს ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება. სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ივარულდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი ვლინდება საჯარო რეესტრიდან. საკუთრების პრეზუმაცია არ გამოიყენება არც ძველი მფლობელის მიმართ, თუ მან ეს ნივთი დაკარგა, მოპარეს ან სხვაგვარად გავიდა იგი მისი მფლობელობიდან. საკუთრების პრეზუმაცია მოქმედებს ძველი მფლობელის სასარგებლოდ მხოლოდ მისი მფლობელობის პერიოდში. აღნიშული მუხლით გათვალისწინებული ვარაუდი (პრეზუმაცია) ასახავს იმ შემთხვევებს, როდესაც ბრუნვის მონაწილეთათვის უცნობია მფლობელობის უკან არსებული უფლება, ხშირ შემთხვევაში უცნობია მფლობელის უფლე-

ბეჭი, მაგრამ სამართლებრივი წესრიგი მოითხოვს, დავეყურდნოთ მფლობელის კეთილსინდისიერებას და იგი, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, ნივთის მესაკუთრედ მივიჩნიოთ (მრავალთა შორის იხ. მაგ: სუსგ №ას-1777-1755-2011, 4 ივნისი, 2012 წელი).

1.3. წინამდებარე საქმის განხილვისას, კანონით გათვალისწინებული ზემოხსნებული პრეზუმეციები მოსარჩელის სასარგებლოდ შეიძლება დაშვებულ იქნას შპს „S-I-S“ შესაგებლის ფარგლებში, რამდენადაც ერთი მხრივ, ის სადაცოდ ხდის მოსარჩელის საკუთრების უფლების წარმოშობას დავის საგანზე, ხოლო, მეორე მხრივ, საქმეში წარმოდგენილია პირობადებული საკუთრების უფლებით გაფორმებული ურთიერთშეთანხმება (სკ-ის 188-ე მუხლი), რომლის თანახმადაც თანხის სრულად გადახდის შემდგომ წარმოეშობა საკუთრება მოსარჩელეს ქონებაზე. შეთანხმება ითვალისწინებს საფასურის ნაწილ-ნაწილ გადახდას, მათ შორის – ერთი ნაწილის ჩარიცხვას ანგარიშზე და თავად მოსარჩელეც მიუთითებს ამგვარ გარემოებებზე, თუმცა, საქმეში წარმოდგენილი არ არის განკუთვნადი მტკიცებულებები (ამ ფაქტის მტკიცება სასკ-ის 102-ე და სკ-ის 429-ე მუხლების საფუძველზე, ეკისრება მოსარჩელეს), სარჩელზე დართული რამდენიმე საბანკო ქვითრის შინაარსიდან კი, ირკვევა, რომ თანხის მიმღები არის ლ. ჯ-ი, ხოლო დანიშნულებაში ზოგ შემთხვევაში მითითებულია „შეტანა სესხის დასაფარად“, ხოლო ზოგ შემთხვევაში – „შეტანა მიმღინარე ანგარიშზე“.

1.4. საკასაციო პალატა ასევე უარყოფს კასატორის შედავებას, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმებულია მოვალის მთელ ქონებაზე გირავნობის რეგისტრაციის შემდეგ, რადგანაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის მე-5 ნაწილი საგადასახადო გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზაციას არ კრძალავს, შესაბამისად, თუკი დადგინდა ქონების განკარგვის ნამდვილობა, კრედიტორის ეს არგუმენტი სარჩელის შემაფერხებელი ვერ გახდება.

1.5. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად (საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა), საკასაციო პალატა აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს უბრუნებს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად, რომელმაც მხარეთა შედაგების ფარგლებში უნდა დაადგინოს დავის ფაქტობრივი გარემოებები და მხოლოდ ამის შემდგომ განსაზღვროს უფლების საკითხი.

2. პროცესის ხარჯები:

2.1. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, პალატა მას მათ შორის იმ ნაწილში აუქმებს, რომლითაც მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა, თუმცა, სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის იმ არგუმენტს, რომ მას არ შეიძლებოდა მოგებული მხარის სასარგებლოდ პროცესის ხარჯის ანაზღაურება დაკისრებოდა, რადგანაც იგი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, ანგარიშსწორებისგან მხოლოდ ბიუჯეტის მიმართაა გათავისუფლებული, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება, მის წინააღმდეგ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, ბუნებრივია არ გაათავისუფლებს მოგებული მხარისათვის ხარჯების გადახდისაგან.

2.2. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, ასევე უნდა იხელმძღვანელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე მუხლებით და მხარეთა შორის გაანაზღაუროს სასამართლო ხარჯი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1 აგვისტოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**3. სასამართლო მტკიცებულებები; მტკიცების
ტვირთი;**
მტკიცებულებათა დასაშვებობა

**გადაცევატილების შემოხების ფარგლებისა და სამართლის
სასამართლოში**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ას-1378-1298-2017

15 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული უძ-
რავი ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

1. 6. დ-ძეს (შემდეგში – პირველი იპოთეკარი, პირველი მოსარ-
ჩელე), რ. გ-ძეს (შემდეგში – მეორე იპოთეკარი, მეორე მოსარჩე-
ლე, მეორე კასატორი), ე. პ-სა (შემდეგში – მესამე იპოთეკარი, ქო-
ნების მეორე მესაკუთრე და გ. ო-ძეს (შემდეგში – მსესხებელი),
პირადი მოვალე, ქონების თავდაპირველი მესაკუთრე, მეორე მო-
პასუხე, გამყიდველი გამოსყიდვის უფლებით) შორის, 2010 წლის
27 ოქტომბერს, გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკ-
რულება გამოსყიდვის უფლებით.

1.1. ხელშეკრულების თანახმად, ნასყიდობის საგანს წარმოად-
გენდა უძრავი ქონება, მდებარე ქ. ბათუმი,, ფართი: 182,19 კვ.მ.
ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 65000 აშშ დოლა-
რით.

1.1.1. ხელშეკრულებაში მითითებულ იქნა, რომ გამყიდველს ქო-
ნების გამოსყიდვა შეეძლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული
ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნული თანხიდან 15 000 აშშ დო-
ლარი ეკუთვნოდა პირველ იპოთეკარს (მოსარჩელეს), 20 000 აშშ
დოლარი – მეორე იპოთეკარს (მოსარჩელეს).

1.2. გამყიდველს ქონება არ გამოუსყიდია, რის გამოც აღნიშნუ-
ლი უძრავი ქონების სრულუფლებიან მესაკუთრებად ერთი წლის

შემდეგ საჯარო რეესტრში აღირიცხა წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში დასახელებული სამივე იპოთეკარი, რომლებმაც ბინა გაჰყვეს ორ ნაწილად: უძრავი ქონება საკადასტრო კოდებით – ... და ...

1.3. მსესხებლის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებით, ამ უკანასკნელის სარჩელი ნინილობრივ დაქმაყოფილდა, კერძოდ: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით (რომელიც კანონიერ ძალაშია შესული) მხარეთა შორის 2010 წლის 27 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი და გაუქმდა სამი იპოთეკარის საერთო საკუთრება სადაც უძრავ ქონებაზე და ნივთი მსესხებლის, იგივე გამოსყიდვის უფლების მქონე გამყიდველის საკუთრებად აღირიცხა.

1.3.1. ზემოხსენებული გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეებს შორის 2010 წლის 27 ოქტომბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით რეალურად არ იყო ორიგინტირებული ნასყიდობის სამართლებრივი შედეგების დადგომაზე, არამედ ხელშეკრულების გაფორმების მიზანი იყო მსესხებლის მიერ გამსესხებლისგან აღებული სესხისათვის გარანტიის შექმნა.

1.3.2. ამავე გადაწყვეტილებით, ერთი მხრივ, გ.ო-ძესა (მყიდვები გამოსყიდვის უფლებით) და, მეორე მხრივ, სამ იპოთეკარს შორის დადებული სესხის – 65 000 აშშ დოლარის უზრუნველსაყოფად, უძრავი ქონება დაიტვირთა იპოთეკით და იპოთეკარებად აღირიცხნენ გამსესხებლები. შესაბამისი ცვლილებები შევიდა საჯარო რეესტრის ჩანაწერებში.

2. მესამე იპოთეკარის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, 2012 წლის 27 ოქტომბრის სასესხო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს 2013 წლის 18 სექტემბრის განკარგულებით, უძრავი ქონება გატანილ იქნა აუქციონზე. უძრავი ქონება შეიძინა მესამე იპოთეკარმა, შედეგად – დაიკმაყოფილა თავისი მოთხოვნა, ხოლო პირველი იპოთეკარისა და მეორე იპოთეკარის მოთხოვნები, შესაბამისად, 15 000 აშშ დოლარზე და 20 000 აშშ დოლარზე არ დაემაყოფილებულა. აუქციონის შედეგად, მესამე იპოთეკარი საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ორ დამოუკიდებელ საკადასტრო ერთეულად რეგისტრირებული უძრავი ქონების (იხ. წინამდებარე განჩინების 1.2 ქვეპუნქტი) მესაკუთრედ, ხოლო დანარჩენი იპოთეკარები კი დარეგისტრირდნენ ამავე ქონების იპოთეკარებად.

3. მესამე იპოთეკარმა, ან უკვე როგორც მესაკუთრემ, 2013

წლის 31 ოქტომბერს, ზ/აღნიშნული უძრავი ქონება (საკადასტრო კოდებით №... და №...), გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებებით მიჰყიდა ა. ა-ძეს (შემდეგში – ქონების მყიდველი ან მესამე მესაკუთრე) 40 000 აშშ დოლარად, რომელმაც 10 000 აშშ დოლარი გადაიხადა ხელშეკრულებებზე ხელმოწერისთანავე, ხოლო დარჩენილი 30 000 აშშ დოლარი, უნდა გადაეხადა 2014 წლის 19 აპრილამდე. ქონება აღრიცხა ა. ა-ძის, როგორც მესამე მესაკუთრის საკუთრებად, ხოლო მასზე არსებული სანივთო უფლებები უცვლელი დარჩა.

3.1. ამავე ხელშეკრულებით მყიდველმა (მესამე მესაკუთრემ) დაადასტურა, რომ მისთვის ცნობილი იყო, საცხოვრებელ ბინებზე რეგისტრირებული იპოთეკისა და მისი საერთო ღირებულების შესახებ, ის იღებდა ვალდებულებას, რომ იპოთეკარებს თავად გადაუხდიდა იპოთეკის თანხას – 35 000 (15 000+20 000) აშშ დოლარს, თუმცა, მესამე მესაკუთრეს არ შეუსრულებია 2013 წლის 31 ოქტომბრის გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულება და პირველ და მეორე იპოთეკარებისათვის (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) ზემოხსენებული თანხა არ გადაუხდია.

3.2. ქონების მესამე მესაკუთრეს (იხ. მე-3 პუნქტი), მესამე იპოთეკარს (რომელიც მეორე მესკუთრე იყო და გაყიდა ბინა – იხ. მე-2 პუნქტი) და ლ. პ-ს (შემდეგში – ქონების ბოლო მესაკუთრე, პირველი მოპასუხე, აპელანტი, პირველი კასატორი) შორის, 2016 წლის 21 მარტს (საქმის სასამართლოს მიერ მომზადების ეტაპზე), დაიდო შეთანხმება და 2013 წლის 31 ოქტომბრის გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება. შეთანხმების თანახმად, უძრავი ქონების „მყიდველად“, მესამე მესაკუთრის (ა. ა-ძის) ნაცვლად, დაფიქსირდა პირველი მოპასუხე (ლ. პ-ი), რომელზედაც გადავიდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შეთანხმების თანახმად, ორივე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდებით – №... და №...), გაიყიდა 40 000 აშშ დოლარად, საიდანაც 5 000-5 000 აშშ დოლარს, თითოეული ბინისათვის ქონების ბოლო მესაკუთრე გადაუხდიდა ქონების გამყიდველს (ა. ა-ძეს), შეთანხმების ხელმოწერისთანავე, ხოლო დარჩენილ 15 000 – 15 000 აშშ დოლარს (სულ 30 000 აშშ დოლარს) ქონების შემძენი გადაუხდიდა (ლ. პ.) მესამე იპოთეკარს (ლ. პ-ს) 2016 წლის 21 სექტემბრამდე. სხვა პირობები ხელშეკრულებაში არ შეცვლილა.

4. სარჩელის მოთხოვნა და საფუძვლები

4.1. პირველმა და მეორე იპოთეკარებმა 2015 წლის 30 დეკემბერს სარჩელი აღძრეს მოპასუხების – მსესხებლის (გ. ო-ძისა) და ქონების მესამე მესაკუთრის (ა. ა-ძის) ნინააღმდეგ, მოითხოვეს

პირველი იპოთეკარის სასარგებლოდ მოპასუხეებისთვის სოლიდარულად 15 000 აშშ დოლარის, ხოლო მეორე იპოთეკარის სასარგებლოდ – 20 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება; აგრეთვე, მოპასუხეებისათვის დაკისრებული თანხის ამოღების მიზნით იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების (იხ. წინამდებარე განჩინების 1.2. ქვეპუნქტი) იძულებით აუქციონზე რეალიზაცია.

4.2. მოსარჩელეებმა მიუთითეს წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში აღნერილ ფაქტობრივ გარემოებებზე და განმარტეს, რომ აუქციონის წესით ქონების საკუთრებაში შესყიდვის წინ, თანამდებობის შეთანხმდნენ, რომ მესამე იპოთეკარი (ე. პ.) უძრავი ქონების შეძენის შემდეგ, გაყიდდა მას და თავ-თავიანთ წილს გადაუხდიდა დანარჩენ იპოთეკარებს. მესამე იპოთეკარმა 2013 წლის 31 ოქტომბერს ქონება გაყიდა წინამდებარე განჩინების მე-3 პუნქტში მითითებულ სუბიექტზე, რომელმაც ხელშეკრულებით აიღო ვალდებულება დაეკმაყოფილებინა დანარჩენი იპოთეკარები, თუმცა, ამ უკანასკნელსაც არ შეუსრულებია პირობა, რის გამოც მოსარჩელეები იძულებულნი გახდნენ თავიანთი კანონიერი ინტერესების დასაცავად მიემართათ სასამართლოსთვის.

4.3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის საოქმო განჩინებით, წინამდებარე განჩინების 3.4. ქვეპუნქტში მითითებული შეთანხმებისა და ქონების მესამე მესაკუთრის განცხადების საფუძველზე, ამ უკანასკნელის ნაცვლად საქმეში უფლებამონაცვლედ ჩაერთო იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების ბოლო მესაკუთრე – ლ. პ. (იხ. წინამდებარე განჩინების 3.2. ქვეპუნქტი).

5. მოპასუხეების შესაგებელი

5.1. პირველმა მოპასუხემ (ქონების ბოლო მესაკუთრემ ლ. პ-მა) სარჩელი არ ცნო და მოითხოვა სასარჩელო მოთხოვნის უარყოფა მისი ხანდაზმულობის გამო, ხოლო მეორე მოპასუხეს (გ. ო-ძეს) სასამართლოში შესაგებელი არ წარუდგენია და არც სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადებულა.

6. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

6.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით, იპოთეკარების სარჩელი დაკმაყოფილდა:

6.1.1. მოსარჩელეების სასარგებლოდ, მოპასუხეებს დაკისრათ 15 000 აშშ დოლარის (პირველი იპოთეკარის სასარგებლოდ) და 20 000 აშშ დოლარის (მეორე იპოთეკარის სასარგებლოდ) გადახდა.

6.1.2. დაკისრებული თანხის ამოღების უზრუნველსაყოფად სასამართლომ დაადგინა პირველი მოპასუხის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების – 87,44 კვმ საცხოვ-

რებელი ფართის, მდებარე ქ. ბათუმი, (საკადასტრო კოდით №...) და იმავე მისამართზე მდებარე 94,75 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდით №...) იძულებით აუქციონზე რეალიზაცია.

6.2. სასამართლომ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, გამოიკვლია და დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებანი და დავის მოსანესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 128-ე, 129-ე, 130-ე, 316-ე-317-ე, 623-ე-624-ე, 361-ე, 427-ე, 286-ე, 289-ე, 301-ე და 306⁵-ე მუხლები.

6.2.1. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მესამე იპოთეკარი 2013 წლის 18 სექტემბრის აუქციონზე სადავო უძრავი ქონების შეძენის შემდეგ, 2013 წლის 27 სექტემბერს, საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ზ/აღნიშნული უძრავი ქონებების მესაკუთრედ. ამ უკანასკნელმა დაიკავა რა ძველი მესაკუთრის ადგილი, იგი გახდა საკუთრების გადასვლის მომენტისათვის ამ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მესამე იპოთეკარის მიერ აუქციონის წესით ქონების შესყიდვას წინ უსწრებდა თანაიპოთეკარებს შორის შეთანხმება იმის თაობაზე, რომ მესამე იპოთეკარი უძრავი ქონების შეძენის შემდეგ, გაყიდდა მას და თავთავიათ წილს გადაუხდიდა დანარჩენ იპოთეკარებს. აღნიშნული შეთანხმების შესრულების მიზნით, 2013 წლის 31 ოქტომბერს, მესამე იპოთეკარმა (მეორე მესაკუთრემ) ორივე უძრავი ქონება გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებებით მიჰყიდა ა. ა-ძეს (ქონების მესამე მესაკუთრეს). ამ უკანასკნელმა აიღო ვალდებულება, რომ პირველ და მეორე იპოთეკარებს თავად გადაუხდიდა იპოთეკის თანხას – სულ 35 000 აშშ დოლარს, რაც არ შეუსრულებია. 2016 წლის 21 მარტის შეთანხმებით, ნასყიდობის ხელშეკრულებაში შესული ცვლილებების საფუძველზე, ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები გადავიდა პირველ მოპასუხეზე (ქონების ბოლო მესაკუთრეზე), რომელმაც წინა მესაკუთრის მსგავსად, ივალდებულა, რომ იპოთეკარებს გადაუხდიდა სესხის თანხას. სასამართლოს დასკვნით, ვინაიდან ეს ვალდებულება არ შესრულებულა, სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხებისთვის სესხის თანხის სოლიდარულად დაკისრებისა და ამ დავალიანების დაფარვის მიზნით პირველი მოპასუხის საკუთრებაში რიცხული, სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული, უძრავი ქონებების იძულებითი რეალიზაციის თაობაზე საფუძვლიანი იყო და დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა.

6.2.2. სასამართლომ არ გაიზიარა პირველი მოპასუხის მტკიცება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. სა-

სამართლომ მიუთითა, რომ მართალია, ქუთაისის სააპელაციო სა-სამართლოს 2013 წლის 7 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით თვალომაქცურად იქნა ცნობილი 2010 წლის 27 ოქტომბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, თუმცა, მო-ცემულ შემთხვევაში, მოსარჩელებს მოთხოვნის უფლება წარმო-ეშვათ არ 2010 წლის 27 ოქტომბრიდან, როცა ბათილი გარიგება დაიდო, არამედ – სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძა-ლაში შესვლისა და იპოთეკის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, ვინაიდან ამ დრომდე, საჯარო რეეს-ტრის ჩანაწერებში მოსარჩელეები იყვნენ აღრიცხული სადაცო უძ-რავი ქონების მესაკუთრეებად, შესაბამისად, მათ არ ჰქონდათ მოთხოვნის არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძვე-ლი. აქედან გამომდინარე, იმ პერიოდიდან უნდა მოხდეს ხანდაზ-მულობის სამწლიანი ვადის ათვლა, როცა ისინი საჯარო რეესტრში ნივთზე იპოთეკარებად დარეგისტრირდნენ. სასამართლოს შეფა-სებით, ვინაიდან სარჩელი სასამართლოში წარდგენილია 2015 წლის 30 დეკემბერს, მოთხოვნა, სსკ-ის 129-ე-130-ე მუხლებიდან გამომ-დინარე, არ არის ხანდაზმული (იხ. ბათუმის საქალაქო სასამარ-თლოს გადაწყვეტილება).

7. პირველი მოპასუხის სააპელაციო საჩივარი

7.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპე-ლაციო წესით გაასაჩივრა პირველმა მოპასუხემ (ქონების ბოლო მესაკუთრემ), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტი-ლების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნო-ბით:

7.1.1. სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა, რომ 2010 წლის 27 ოქტომბერს, მხარეებს შორის თვალომაქცური გარი-გება დაიდო, რომელიც სინამდვილეში სესხისა და იპოთეკის ხელ-შეკრულება იყო, გაფორმებული ერთი წლის ვადით. მართალია, სა-სამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, ქონება კვლავ აღი-რიცხა თავდაპირველი მესაკუთრის (გ. ო-ძის – მსესხებლის) სა-ხელზე საკუთრების უფლებით, თუმცა, მოსარჩელეთათვის იმთა-ვითვე ცნობილი იყო, რომ მათ დადეს სწორედ სესხისა და იპოთე-კის ხელშეკრულება, შესაბამისად, ამ სახის მოთხოვნებზე ვრცელ-დება 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ თვალომაქცური/მოჩ-ვენებითი გარიგების დადებისას გარიგების ორივე მხარე მოქმე-დებს შეთანხმებულად. ამდენად, მოსარჩელეებისთვის თავიდან-ვე ცნობილი იყო ამ გარიგების უკანონობა და შესაძლო ბათილობა, რაც ნიშნავს, რომ მოსარჩელეთათვის იმთავითვე ცნობილი იყო,

თუ რა სახის ვალდებულებით ურთიერთობაში შევიდნენ ისინი მხარესთან. შესაბამისად, კრედიტორის მხრიდან ამ ხელშეკრულებით წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება 2010 წლის 28 ოქტომბრიდან, ხოლო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დინება წყდება სასამართლოს მიერ აღნიშნული საქმის წარმოების დასრულებამდე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2013 წლის 7 თებერვალს გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული. სწორედ ამ თარიღის დადგომიდან განახლდა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დინება და სარჩელის წარდგენის დროისთვის გასული იყო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. აღნიშნული გარემოება მოთხოვნის გაქარნებას იწვევს.

7.2. მეორე მოპასუხეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და დასკვნები

8.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებით პირველი მოპასუხის (ლ. პ-ის) სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ: გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება პირველი მოპასუხისათვის, რომელიც ქონების ბოლო მესაკუთრეა (იხ. 3.2 ქვეპუნქტი), პირველი იპოთეკარის სასარგებლოდ 15 000 აშშ დოლარის დაკისრების, მეორე იპოთეკარის სასარგებლოდ – 20 000 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრების შესახებ, ასევე, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციისა და პირველი მოპასუხისათვის საპროცესო ხარჯების დაკისრების ნაწილში;

8.1.1. პირველი და მეორე იპოთეკარების სასარჩელო მოთხოვნა გ. ო-თან სოლიდარულად, პირველი მოპასუხისათვის პირველი იპოთეკარის სასარგებლოდ 15 000 აშშ დოლარის და მეორე იპოთეკარის სასარგებლოდ – 15 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა;

8.1.2. პირველი და მეორე იპოთეკარების სასარჩელო მოთხოვნა იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გ. ო-სთვის პირველი იპოთეკარის სასარგებლოდ დაკისრებული 15 000 აშშ დოლარის და მეორე იპოთეკარის სასარგებლოდ – 20 000 აშშ დოლარის ამოლების უზრუნველსაყოფად, დადგინდა იპოთეკით დატვირთული პირველი მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონების, მდებარე ქ. ბათუმში, ... (ს/კ ... და ს/კ ...) რეალიზაცია;

8.1.3. პირველ იპოთეკარს პირველი მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა საპროცესო ხარჯის ნაწილის – 729,33 ლარის გადახდა, ხოლო მეორე იპოთეკარს 972, 52 ლარის გადახდა.

8.2. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემობები, ასევე, მათი სამართლებრივი შეფასება (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ, 390.3-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) და დამატებით განმარტა:

8.2.1. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ თავდაპირველად ქონების მეორე მესაკუთრემ (ე. პ-მა), ხოლო შემდეგ ქონების შემძენმა (მესამე მესაკუთრემ – ა. ა-ძემ) და აპელანტმა, როგორც ქონების ბოლო მესაკუთრემ (ლ. პ-მა) იკისრეს ვალდებულება, გაესტუმრებინათ პირველი და მეორე იპოთეკარების სესხი. სასამართლოს შეფასებით, ა. ა-ძესა და ე. პ-ს შორის გაფორმებულ 2013 წლის 31 ოქტომბრის ხელშეკრულებაში, 2016 წლის 21 მარტს შევიდა ცვლილება იმგვარად, რომ ქონების ბოლო მყიდველმა (აპელანტმა ლ. პ-მა), აიღო ვალდებულება, ნასყიდობის საგნის საფასური გადაეხადა ე. პ-ისათვის, როგორც ქონების გამყიდველისათვის, ხოლო ქონების შემძენს (ლ. პ-ს) არ აუღია ვალდებულება გ. ო-ზის მიერ სესხად აღებულ თანხები გადაეხადა პირველი და მეორე იპოთეკარებისათვის. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ აპელანტს (ქონების ბოლო მესაკუთრეს – ლ. პ-ს) მოსარჩელების (პირველი და მეორე იპოთეკარებს) წინაშე შეუსრულებელი ვალდებულება გააჩნდა. სადაც არ იყო ის, რომ ძირითად მოვალეს/მსესხებელს (გ. ო-ძეს) პირველი და მეორე იპოთეკარების (მოსარჩელების) ვალი გასტუმრებული არ ჰქონდა, სასამართლოს შეფასებით, ამ უკანასკნელთ მოთხოვნის უფლება გააჩნდათ მხოლოდ ძირითადი მოვალის – მსესხებლის, ანუ მეორე მოპასუხის (გ. ო-ძეს) მიმართ, მაგრამ ვინაიდან სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული იყო აპელანტის (ლ. პ-ის, რომელიც ქონების ამჟამინდელი მესაკუთრეა) საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება, (მდებარე ქ. ბათუმი, ... ს/კ 24... და ს/კ ...), სსკ-ის 301.1 და 302-ე მუხლებიდან გამომდინარე, თანხის ამოღების მიზნით, უნდა დადგენილიყო იპოთეკის საგნის აუქციონის წესით რეალიზაცია.

8.2.2. სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული არ იყო (იხ. სააპელაციო სასამართლოს

გადაწყვეტილება).

9. პირველი მოპასუხის და მეორე მოსარჩელის საკასაციო საჩივარი

9.1. პირველმა მოპასუხემ (პირველმა კასატორმა – ლ. პ-მა) და მეორე მოსარჩელემ (მეორე კასატორმა – რ. გ-ძემ) საკასაციო წე-სით გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

9.2. პირველმა კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგ საკასაციო პრეტენზიებზე შითითებით:

9.2.1. სასამართლომ არაწორად განმარტა სსკ-ის 128-ე მუხლი და არასწორად მიუთითა, რომ მოთხოვნის უფლება პირველ და მე-ორე იპოთეკარებს ნარმოებვათ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. პირველი კასატორის განმარტებით, ხანდაზმულობის ვადის დენა ინ-ყება იმ დღიდან, როცა ნარმოშობა მოთხოვნის უფლება, მოთხოვნის ნარმოშობის მომენტად ითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო, ან უნდა შეეტყო მოთხოვნის ნარმოშობის შესახებ. დადგენილია, რომ მხარეებმა ნინასწარი შეცნობით დადეს თვალთმაქცური გა-რიგება, მათ იცოდნენ რა სამართლებრივი შედეგის მიღება სურ-დათ ამ გარიგებით, ამდენად, სასამართლოს დასკვნა, რომ თით-ქოს მოსარჩელებისთვის 2013 წლის 7 თებერვლამდე უცნობი იყო მათი უფლებების შესახებ, არ გამომდინარეობს საქმის მასალები-დან (კასატორი უთითებს სუსგ-ზე №375-352-2015);

9.2.2. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზ-მულობის დენის დაწყების ობიექტური და სუბიექტური მომენტე-ბის თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი მას უნდა დაეკისროს (კასატორის უთითებს სუსგ-ზე №856-806-2014).

9.2.3. სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ მსესხებლის ქონება, რომელიც აუცილებელი მესამე იპოთეკარის (ე. პ-ის) მოთხოვნით გაიყიდა, მანვე შეიძინა, ამიტომ პირველ და მე-ორე იპოთეკარებთან არსებული სასესხო ვალდებულების დაფარვა უნდა მოხდეს არა ამ ქონების რეალიზაციით, რომელიც შემდეგ კვლავ სხვა პირზე გასხვისდა, არამედ ვალდებულება უნდა შეას-რულოს მესამე იპოთეკარმა, რადგან სამივე იპოთეკარი მსესხებ-ლის ქონებაზე პირველი რიგის იპოთეკარები და სოლიდარული კრე-დიტორები იყვნენ. ქონების რეალიზაციის შემდეგ კი მათ მოთხოვ-ნა ნარმოებვათ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიმართ, რომელმაც დანარჩენებს არ გადასცა აუქციონზე ქონების რეალი-ზაციის შედეგად მიღებული თანხა და იპოთეკარების მოთხოვნის ადრესატი არ არის პირველი კასატორი (ლ. პ-ი), რომელიც ქონების

ამჟამინდელი მესაკუთრეა.

9.3. მეორე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგ საკასაციო პრეტენზიებზე დაყრდნობით:

9.3.1. სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის უარყოფის მიზნით მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ არ არსებობდა შესაბამისი მტკიცებულება იმისა, რომ 2013 წლის 31 ოქტომბრის ხელშეკრულება შეიცავდა დათქმას, რომ ქონების ბოლო მყიდველმა – პირველმა კასატორმა სხვა იპოთეკარებისთვის სესხის გასტუმრების ვალდებულება აიღო. საქალაქო სასამართლოსაგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2013 წლის 31 ოქტომბრის ხელშეკრულებით ეს პირობა გაცხადებული იქნა წინა მესაკუთრის, და არა კრედიტორების წინაშე, რაც, სასამართლოს შეფასებითვე, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს კრედიტორის მიერ მოთხოვნის წარდგენას. მეორე კასატორის მტკიცებით, პირველი კასატორი (ქონების ამჟამინდელი მესაკუთრე) სააპელაციო საჩივარში სადაცოს არ ხდიდა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ქონების შემსყიდველი (მესამე იპოთეკარი – ე. პ-ი) და ქონების მეორე მესაკუთრე (გ. ო-ძე) შეთანხმდნენ სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალის არსებობაზე; მისი სააპელაციო საჩივარი მხოლოდ ხანდაზმულობის საკითხს ეფუძნებოდა, სასამართლომ კი ისე დაადგინა ზემოხსნებული ფაქტობრივი გარემოება, რომ აღნიშნული აპელანტს სადაცოდ არ გაუხდია, რითაც სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 377-ე მუხლი, შეჯიბრებითობის პრინციპი და მხარეთა თანასწორობა (იხ. საკასაციო საჩივარი).

9.3.2. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა და დაუსაბუთებლად არ იხელმძღვანელა სსკ-ის 292-ე მუხლით, რომლის თანახმად, „1. უძრავი ნივთის მესაკუთრე უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი, როცა მოთხოვნის შესრულების ვადა უკვე დადგა, ან როცა პირადი მოვალე უფლებამოსილია შეასრულოს შესაბამისი მოქმედება. 2. თუ მესაკუთრე არ არის პირადი მოვალე, მოთხოვნა გადადის მასზე მაშინ, როცა მესაკუთრე კრედიტორს დააკმაყოფილებს“. განსახილველ შემთხვევაში ქონების მეორე მესაკუთრემ (გ. ო-ძემ) გამოიყენა ეს უფლება და აიღო ვალდებულება კრედიტორების დაკმაყოფილებისა, რომელიც შემდეგ უცვლელად გადავიდა ნივთის ბოლო მყიდველზე – პირველ კასატორზე (პირველ მოპასუხეზე – ლ. პ-ზე). აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირველი მოპასუხის სამართლებრივი პასუხისმგებლობისიგან გათავისუფლების შესახებ დაუსაბუთებელია (იხ. საკასა-

ციონ საჩივარი).

10. საკასაციონ სამართალწარმოების ეტაპი

10.1. საკასაციონ სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 დეკემბრისა და 2018 წლის 18 მარტის განჩინებებით, საკასაციონ განაცხადები წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

სამოტივაციონ ნაწილი:

საკასაციონ სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა განააღმინდებისა და საკასაციონ საჩივრის დასაშვებობის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიღა დასკვნამდე, რომ როგორც პირველი, ისე მეორე კასატორების საკასაციონ განაცხადები არ აკმაყოფილებენ სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ ისინი დაუშვებელია შემდეგი არგუმენტაციით:

11. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციონ საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციონ საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე საკარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციონ სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციონ სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციონ სასამართლოს გადაწყვეტილება ენინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციონ სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშვნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციონ საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

12. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციონ სასა-

მართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება, მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რაც საშუალებას მისცემდა სასამართლოს, არსებითად განსახილველად დაეშვა საკასაციო განაცხადი.

13. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოხსენებული საფუძვლით.

14. საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან (იხ. ქვემოთ პუნქტები).

15. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81; Hirvisaari v. Finland, §32).

16. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსსკ-ის 102-ე მუხლზე, რომლის თანახმად, „1. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. 2. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით“ და განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკვლეული და დაგენილია ყველა ის მტკიცებულება და ფაქტობრივი გარემოება, რომელიც საჭიროა საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე საკასაციო

საჩივრის დასაშვებობის წინაპირობების შესამონმებლად.

17. საკასაციო სასამართლომ განიხილა ორივე მხარის საკასა-ციო შედავების როგორც მატერიალური, ასევე სამართლებრივი სა-ფუძვლები, განმარტავს, რომ არ იზიარებს არც ერთ მათგანს შემ-დეგ გარემოებათა გამო:

17.1. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს პირველი კასატო-რის პრეტენზიას (იხ. წინამდებარე განჩინების 9.2. ქვეპუნქტი), რო-მელიც ხანდაზმულობის საფუძვლით სარჩელის უარყოფას ეხება. სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსე-ბობს სასარჩელო მოთხოვნის გამომრიცხავი (მოთხოვნის განხორ-ციელების შემაფერხებელი გარემოების) – ხანდაზმულობის დამა-დასტურებელი სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები: სა-კასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ „სარჩე-ლისაგან თავის დაცვის ერთ-ერთი ფორმაა მოთხოვნის ხანდაზმუ-ლობაზე მითითება. ამგვარი მითითების მიმართ კი, გარკვეული შეზღუდვები მოქმედებს. სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავისი ინიციატივით გამოიკვლიოს ხანდაზმულობის საკითხი. ამის შესახებ დაინტერესებულმა პირმა უნდა მიუთითოს. აღნიშნული შეზღუდვა გამოიმდინარებობს მხარეთა შეჯიბრებითობის პრიცი-პიდან: თუ ერთ მხარეს ენიჭება დარღვეული უფლების სასამარ-თლო წესით დაცვის შესაძლებლობა, შეორე მხარე უფლებამოსი-ლია, გამოიყენოს ნებისმიერი სამართლებრივი მექანიზმი მოწინა-აღმდეგე მხარის პოზიციის გასაქარწყლებლად, ხოლო სასამარ-თლოს მხრიდან ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით, ილახება მხა-რის უფლება, გარდა ამისა, ხანდაზმულობა განიხილება, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოება“ (იხ. სუსგ №ას-1350-1275-2012). რაც შეეხება ხანდაზმულობის, როგორც საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის ქქონე ფაქტობრივი გარემოების დადგენას, საკა-საციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „მოთ-ხოვნის უფლების წარმოშობის გამოსარკვევად, ყურადღება უნდა მიეცეს ორ ელემენტს, რომლებსაც უკავშირდება მოთხოვნის წარ-მოშობის დრო: პირმა შეიტყო უფლების დარღვევის შესახებ და/ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. პირველ შემთხვევა-ში, არსებობს ფაქტები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ მისი უფლების დარღვევის ცოდნაზე, ხოლო, მეორე შემთხვევაში, არ არსებობს ის ფაქტები, რომლებიც პირდაპირ უთითებს მისი უფ-ლების დარღვევის შესახებ ცოდნაზე, მაგრამ არსებობს გარემო-ბები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ პირს უნდა შეეტყო უფ-ლების დარღვევის შესახებ, მაგრამ, თავისი დაუდევრობის გამო ვერ შეიტყო“ (იხ. სუსგ №ას-344-329-2016).

17.2. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს პირველი კასატო-

რის მტკიცებას, რომ მოსარჩელეებს (განსახილველ შემთხვევაში საკასაციო განაცხადი მხოლოდ ერთმა მოსარჩელემ წარმოადგინა) მოთხოვნის უფლება წარმოეშვათ 2011 წლის 27 ოქტომბრიდან, ანუ იმ დროიდან, როცა მსესხებელს ბათილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე გამოსყიდვის ვადა ამოენურა და არა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისა და იპოთეკის ხელშეკრულების საჯარო რეეტრში რეგისტრაციის მომენტიდან. საკასაციო სასამართლო სასარჩელო უფლების წარმოშობის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური გარემოებების დადგენისა და კვლევის მიზნით მიუთითებს საქმეში დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებზე და განმარტავს, რომ მანამ, სანამ მოსარჩელეები მსესხებლის ქონების თანამესაკუთრეებად იყვნენ რეგისტრირებული, მათ სასარჩელო მოთხოვნის დაყენების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდათ, ხოლო მას შემდეგ, რაც მსესხებლის სასარჩელო განცხადების საფუძველზე კვლავ ეს უკანასკნელი აღირიცხა ქონების მესაკუთრედ, ხოლო გამსესხებლები (მოსარჩელეები) ამ ქონებაზე თანაიპოთეკარებად დარეგისტრიდნენ, მათ წარმოეშვათ უფლება, რომ სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე პირადი მოვალის კუთვნილი, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია მოეთხოვათ. ამდენად, იმ სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც მხარეთა მიერ არც ერთ ეტაპზე არაა შედავებული, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიას სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლასთან მიმართებით. განსახილველ შემთხვევაში საქალაქო სასამართლომ სწორად განმარტა (და სააპელაციო სასამართლომაც მართებულად გაიზიარა) ის გარემოება, რომ სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სახელშეკრულებო მოთხოვნებისთვის დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა 2013 წლის 7 თებერვლიდან დაიწყო (იხ. სუსტ-ები: №ას-988-1021-2011; №ას-1205-1132-2015; №ას-1199-1159-2016; №ას-408-408-2018; №ას-313-313-2018).

17.3. პირველი კასატორის შედავების თაობაზე მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით, რომლის არამართებულობის დადასტურების მიზნითაც იგი კონკრეტულ საქმესაც (სასამართლო პრაქტიკას) იშველიერს, საკასაციო სასამართლო ვერც ამ პრეტენზიას მიიჩნევს დასაბუთებულად შემდეგ გარემოებათა გამო: ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს შეეხება, საკასაციო სასამართლომ განმარტა: „სასამართლოს ვალდებულებაა, სწორი მიმართულება მისცეს მტკიცებით საქმიანობას, რაც გულისხმობს იმას, რომ მან საქმისათვის

მნიშვნელოვანი ფაქტების განსაზღვრის შემდეგ სადაც და უდავო ფაქტები უნდა გამიჯნოს ერთმანეთისგან. სადაც ფაქტები მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს წარმოადგენს და მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესიც სწორედ აქ ვლინდება. სასამართლომ, როგორც საპროცესო საქმიანობის სუბიექტმა, მტკიცების ტვირთი იმგვარად უნდა გაანაწილოს, რომ საფრთხე არ შეექმნას მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი უფლების რეალიზაციას, მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი პროცესუალური წესი მოცემულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მითითებული ნორმა საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლთან კავშირში იმ დასკვნის საფუძველს ქმნის, რომ მხარეს, რომელიც სასამართლოს მიმართავს კონკრეტული მოთხოვნით, ანგა – როგორც ამ მოთხოვნის საფუძვლად არსებული ფაქტების მითითების, ასევე, მათი დამტკიცების, ანუ მტკიცებულებების წარდენის ტვირთი. როგორც წესი, ფაქტის მითითებისა და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით ერთ მხარეს მხოლოდ ფაქტის მითითების ტვირთი ეკისრებოდეს, ხოლო მეორე მხარეს, საწინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი (სუსგ-ები ქას-1485-1401-201; ქას-1042-962-2017)“. მტკიცების ტვირთის სამართლიანი განაწილების პრინციპი მოიცავს ისეთ ვითარებასაც, როდესაც მოპასუხე მხარის მიერ წარდგენილი მოთხოვნის გამომრიცხველი თეორიული შესაგებლის საწინააღმდეგოს დამტკიცება მოსარჩელეს შესაძლოა პრაქტიკულად დაევალოს. რიგ შემთხვევებში ამგვარი მიღებომა იმითაა განპირობებული, თუ ვის უფრო მეტად ხელენიფება საქმის ამ კონკრეტული გარემოების დადასტურება, ანუ ობიექტურად (ან/და სუბიექტურად), ვის უფრო მეტად შეუძლია დაამტკიცოს სადაც გარემოება. მტკიცების ტვირთის სწორედ ამგვარ განაწილებაზეა მითითებული იმ გადაწყვეტილებაში, რომელსაც პირველი კასატორი თავის საკასაციო საჩივარში მიუთითებს, კერძოდ: „მხედველობაშია მისაღები, თუ ხანდაზმულობის დენის დაწყების მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს. ამასთან იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის დენის დაწყების ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაინტერის ხანდაზმულობის ვადის ათვლა“ (სუსგ ქას-856-806-

2015);

17.4. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის განმხილულმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სწორედ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობის შესაბამისად იხელმძღვანელებს და არ დაურღვევიათ მხარეთა თანასწორუფლებიანბა მტკიცების ტყირთის სამართლიანი განაწილების კუთხით. საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელემ, სასარჩელო განცხადებით (მასზე თანდარული დოკუმენტაციითა და მისგან გამომდინარე სამართლებრივი მოთხოვნებით), გააქარნებულა მოპასუხის შესაგებელი მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებით და მატერიალურ მტკიცებულებებზე მითითებით დაასაბუთა უფლების (სასარჩელო მოთხოვნის) კანონით დადგენილ ვადაში განხორციელების ფაქტი (იხ. სასარჩელო განცხადება თანდართულ დოკუმენტაციისთან ერთად, ასევე – საპაერელ სიტყვა). რაც შეეხება საკასაციო საჩივარში მითითებულ მეორე გადაწყვეტილებას – №ას-375-352-2014, აღნიშნულ საქმეში თვისიობრივად სხვა შინაარსის დავა განხილული – კერძოდ, ამ დავაში სასამართლომ ბათილად ცნო ის მინდობილობა და ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც არაუფლებამოსილი პირის მიერ იყო დადებული. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ, სამოქალაქო პასუხისმგებლობა არაკეთილსინდისიერ მყიდველებთან ერთად, ბაჟეს ნაწილში სოლიდარულად დაკაიისრა ნოტარიუსს, რომელმაც მინდობილობა ისე დაამოწმა, რომ სათანადოდ არ გამოიკვლია წარმოდგენილი პირის ვინაობა. განსახილველ შემთხვევაში პასუხისმგებლობის ფარგლები და საფუძვლები სესხისა და იპოთეკის სახელშეკრულებო ნორმებიდან გამომდინარეობს და არა იმ სამართლებრივი ნორმებიდან, რომლებმაც ნოტარიუსისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება განაპირობა, რის გამოც კასატორის მითითება საკასაციო სასამართლოს დასახელებულ განჩინებაზე, როგორც განსხვავებულ სასამართლო პრაქტიკაზე, გაზიარებული ვერ იქნება.

17.5. პირველი კასატორის მტკიცების თაობაზე, რომ ვინაიდან იპოთეკით დატვირთული ქონება აუქციონზე ერთ-ერთმა იპოთეკარმა შეიძინა, ხოლო რადგან სამივე იპოთეკარი მსესხებლის ქონებაზე პირველი რიგის იპოთეკარები და სოლიდარული კრედიტორები იყვნენ, უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის შემდეგ, ამ ქონების შემძენი (მესამე) იპოთეკარის მიერ უნდა დაკმაყოფილდეს დანარჩენი იპოთეკარების მოთხოვნები და არა იმ ქონების რეალიზაციით, რომელიც გასხვისდა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 306⁵-ე მუხლის მე-6 ნაწილი განსაზღვრავს, თუ როგორ ხდება ახალი მესაკუთრე იმ უფლებრივი ტყირთის მატარებელი, რომელიც ძველ მესაკუთრეს ნივთთან მიმართებაში გააჩ-

ნდა: „აუქციონზე გაყიდული უძრავი ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტისათვის ამ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე“ . ამდენად, მოხმობილი ნორმა ცხად-ჰყოფს, რომ ნებისმიერი მესაკუთრე, რომელიც უფლებრივი ტვირთის მატარებელ ნივთს შეიძენს, ჩაენაცვლება რა ნინა მესაკუთრეს, თავად გახდება ამ ნივთთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილე, მით უფრო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ქონების ბოლო მესაკუთრე ინფორმირებული იყო ნივთზე არსებული უფლებრივი დატვირთვის შესახებ.

18. მეორე კასატორის შედავებასთან დაკავშირებით (იხ. ამ განჩინების 9.3. ქვეპუნქტი) იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ თვითნებურად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომელიც პელანტის მიერ შედავებული არ ყოფილა, რითაც სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 377-ე მუხლი, საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა:

18.1. სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას, სასამართლო იკვლევს, თუ რამდენად ვლინდება სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ის ერთობლიობა, რომლებიც სასარჩელო მოთხოვნის ან მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლის წარმატებას განაპირობებს. სასამართლო ვალდებულია, განსაზღვროს მოთხოვნის ფარგლები (ისე რომ არ გასცდეს მას), მოძებნოს დავის მომზესრიგებელი შესატყვისი სამართლის ნორმა (სპეციალური ან ზოგადი წესი) და დაადგინოს იმ გარემოებათა არსებობა/არარსებობა (ფაქტობრივი გარემოებები), რომლებიც ამ ნორმის გამოყენებისთვის აუცილებელ წინაპირობებს წარმოადგენენ; „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი შიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღნერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორცილდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღნერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რო-

შემდეგ სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წარამდლვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსგ-ები: №ას-15-29-1443-2012, №ას-973-1208-04; №ას-664-635-2016).

18.2. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ეფუძნება არა კონკრეტული გარემოებების კვლევას, არამედ საქმეზე დადგენილად მიჩნეული და შეუდავებელი ფაქტობრივი გარემოების – საკუთრების გადაცემის ხელშეკრულებების შინაარსს, მის სამართლებრივ შეფასებას და შესაბამისი იურიდიული შედეგების განსაზღვრას. აღნიშნული ქმედებით სასამართლო არათუ არ გასცდა ინსტანციური განხილვის კანონისმიერი (პროცესუალური) ბოჭვის ფარგლებს, არამედ პირიქით – სწორედ სსსკ-ის 377-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად განახორციელა მართლმსაჯულება.

18.2.1. რაც შეეხება თავად იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის სამართლებრივი შეფასებაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოს მიერ ნაწილობრივ შეცვლის ძირითადი საფუძველი გახდა, სსკ-ის სამოქალაქო კოდექსს 306⁵-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „საკუთრების გადასვლის შედეგად უქმდება ყველა იპოთეკა და სანივთო უფლება, რომლებითაც დატვირთული იყო უძრავი ნივთი და რომლებიც რეგისტრირებულია აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის იპოთეკის შემდეგ. ადრე რეგისტრირებული უფლებები ნივთზე უცვლელი რჩება“. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „აუქციონზე გაყიდული უძრავი ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებს ძევლი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტისათვის ამ ნივთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე“, ე.ი. ამ ნორმის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც იპოთეკით დატვირთული ნივთი გაიყიდა ჯერ მესამე იპოთეკარზე (ე. პ-ზე), შემდეგ ა. ა-ზე, ბოლოს კი პირველ კასატორზე (ლ. პ-ზე), საკუთრების უფლების ყოველი გადასვლისას ნივთს უცვლელად გადაჰყვა ნივთზე იპოთეკარებად რეგისტრირებული მოსარჩელების სანივთო უფლება. ბოლო მესაკუთრეც რომელიც პირველი კასატორია ამ დავაში), სსკ-ის 306⁵-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, გახდა იმ სამართალურ-თაერთობის (სასესხო ხელშეკრულების) მონაწილე, რომელშიც მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით იყო დატვირთული მის მიერ შეძენილი ქონება. ამდენად, პირველი კასატორი, მართლია, არ არის იპოთეკარების პირადი მოვალე, მაგრამ ის, როგორც იპოთეკით დატვირთული ნივთის მესაკუთრე, მონაწილე გახდა აღ-

ნიშნული სამართლურთიერთობისა, ანუ სხვაგვარადაც რომ ვთქვათ, სამართლებრივი ურთიერთობა არის იმგვარი, რომ პირველი მოპასუხის მიერ აღებული სესხის სანაცვლოდ დატვირთულია ქონება, რომლის მესაკუთრეც არაა კრედიტორის პირადი მოვალე.

19. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ ხელშეკრულებების შინაარსზეც, რომელთა საფუძველზეც ქონება, რომელიც პირადი მოვალის (მსესხებლის – გ. ო-ძის) საკუთრება იყო, სხვათა საკუთრებაში გადავიდა: დადგენილია, რომ 2013 წლის 18 სექტემბერს იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის შედეგად ნივთის მესაკუთრე გახდა მესამე იპოთეკარი (ე. პ-ი) და იგი დარეგისტრირდა ნივთის მესაკუთრედ, ხოლო დანარჩენი ორი იპოთეკარი დარეგისტრირდნენ ქონების იპოთეკარებად. როგორც მოსარჩევები მიუთითებენ, მათ ქონების შემძენთან (მესამე იპოთეკართან) დადგეს სიტყვიერი შეთანხმება, რომ ეს უკანასკნელი დაფარავდა მსესხებლის დავალინებას დანარჩენი იპოთეკარების, ანუ მათ წინაშე. აღნიშნულ დათქმას (თუნდაც იგი დადასტურებული ყოფილიყო მოდავე მხარეების მიერ) სამართლებრივი საფუძველი (სსკ-ის 306⁵.6 მუხლი) გამოეცალა მას შემდეგ, რაც ქონების შემძენმა იპოთეკარმა, რომელმაც ვერ შეასრულა შეთანხმება, 2013 წლის 31 ოქტომბერს ნივთი გაასხვისა მესამე მესაკუთრეზე – ა. ა-ძეზე. ეს ხელშეკრულება შეიცავს დათქმას, რომ ქონების მესამე მესაკუთრემ აიღო ვალდებულება, უძრავი ქონების იპოთეკარებისათვის სესხი გაესტუმრებინა, თუმცა, როგორც ხელშეკრულებიდან ირკვევა, ეს პირობა დადგებულ იქნა წინა მესაკუთრესთან, ანუ უძრავი ქონების შემძენ მესამე იპოთეკართან და არა უშუალოდ კრედიტორებთან – პირველ და მეორე იპოთეკარებთან, შესაბამისად, არ არსებობს იმის საფუძველი, რომ კრედიტორებმა (პირველმა და მეორე იპოთეკარებმა) ქონების ბოლო მესაკუთრეს, როგორც პირად მოვალეს, ისე წარუდგინონ სასარჩელო მოთხოვნა. ამავე განჩინების 18.1 ქვეპუნქტში ასახული მსჯელობიდან გამომდინარე, ვინაიდან პირველი კასატორი (ლ. პ.) წარმოადგენს იმ საგნის მესაკუთრეს, რომლითაც მოთხოვნაა უზრუნველყოფილი, თანაიპოთეკარებს აქვთ უფლება, რომ უძრავი ქონების მესაკუთრე დაასახელონ სასარჩელო წარმობაში მოპასუხე მხარედ. რაც შეეხება მეორე შეთანხმებას, რომელიც 2016 წლის 21 მარტს დაიდო, მისი შინაარსიდან დგინდება, რომ ნივთის ბოლო მყიდველმა – პირველმა კასატორმა აიღო ვალდებულება, რომ ნასყიდობის საგნის საფასური (20 000 აშშ დოლარი) გადაეხადა წინა მესაკუთრისათვის (უძრავი ქონების შემძენი მესამე იპოთეკარისათვის – ე. პ-თვის), ხოლო ხელშეკრულების ყველა დანარჩენი პირობა უცვლელი დარჩა.

20. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ შემთხვევა-შიც კი, თუ ვივარაუდებთ, რომ უცვლელი დარჩა პირობის იპოთეკა-რების დაკმაყოფილებისა (თუმცა ამ პირობის შესახებ, როგორც ზემოთ აღინიშნა, თავად იპოთეკარებისთვის უცნობი იყო), დადგენილია, რომ კრედიტორის წინაშე არსებულ ვალდებულებათა შესრულებას ადგილი არ ჰქონია (სსკ-ის 292-ე მუხლის შემადგენლობა), შესაბამისად, ვალდებულება არ შეწყვეტილა და არსებობს. კრედიტორების წინაშე ვალდებულება არ შეუსრულებათავად პირად მოვალეს – მეორე მოპასუხეს (გ. ო-ძეს), რაც, სსკ-ის 427-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტის და ნივთის იპოთეკისგან გათავისუფლების საფუძველი გახდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, როცა დასტურდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება, კრედიტორს ენიჭება უფლებამოსილება, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება პირადი მოვალისგან, ხოლო ვინაიდან საქმე შექება უზრუნველყოფილი სასესხო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, კრედიტორი უფლებამოსილია, კანონით დაცულ უფლებათა რეალიზაციის მიზნით მოითხოვოს პირველი კასატორის (უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის/არაპირადი მოვალის) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების რეალიზაცია.

21. საკასაციო შედავება იმაზე, რომ ქონების მესამე მესაკუთრემ (ა. ა-ძემ) სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის არსებობა აღიარა პირველი კასატორის – ქონების შემძენი იპოთეკარის წინაშე და ამ უკანასკნელს ეს გარემოება სადავოდ არ გაუხდია, დაუსაბუთებელია და საკასაციო სასამართლო ზემოხსენებული მსჯელობის კონტექსტში დამატებით აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში (თუნდაც დგინდებოდეს ვალის აღიარების ნამდვილობისთვის აუცილებელი ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები), აღნიშნულ გარემოებას მეორე კასატორის სასარჩელო მოთხოვნის დადასტურებასთან სამართლებრივი კავშირი არ გააჩნია იმ მიზეზის გამო, რომ ამ ხელშეკრულების (ე.წ. ვალის აღიარების დოკუმენტის) მონაწილე მხარეს პირველი კასატორი არ წარმოადგენს, ამგვარი აღიარება ლ. პ-ს მოსარჩელის (რ. გ-ძის) წინაშე არ გაუცხადებია. ამდენად, ამ გარემოებას სამართლებრივი კავშირი არ გააჩნია კრედიტორის (მეორე კასატორის) მოთხოვნასთან – პირად მოვალესთან (გ. ო-თან) ერთად სოლიდარული პასუხისმგებლობა დაეკისროს ქონების მესაკუთრესაც (ლ. პ-საც). ქონების მესაკუთრის პასუხისმგებლობა კრედიტორებთან შემოიფარგლება მხოლოდ იმ უფლებრივი ტეორიის მქონე საკუთრებით, რომელიც მან შეიძინა და ამ ქონების მესაკუთრე არ წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს პირად მოვალესთან ერთად. ამ მსჯელობის შესაბა-

მისად, საკასაციო შედავებაც დაუსაბუთებელია ამ არგუმენტზე მითითებით.

22. ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორებს არ წარმოუდგენათ არც ერთი არგუმენტი, დასაბუთებული შედავება, თუ რა საფუძვლით უნდა იქნეს ცნობილი დასაშვებად მათი საკასაციო განაცხადები. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დასაბუთებულია და კანონიერი, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრების არსებითად განსახილველად დასაშვებად ცნობის პროცესუალურსამართლებრივი საფუძველი.

23. სსსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი, პირს დაუბრუნდება, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3 მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. პ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. რ. გ-ძის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

3. რ. გ-ძეს (პ/ნ ...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე, მის მიერ, გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 2500 ლარის (საგადახდო დავალება №1, გადახდის თარიღი 2017 წლის 18 დეკემბერი), 70% – 1750 ლარი;

4. ლ. პ-ს (პ/ნ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე, ე.პ-ის (პ/ნ) მიერ, გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 1750 ლარის(საგადახდო დავალება №1, გადახდის თარიღი 2018 წლის 26 იანვარი) და 2585 ლარის (საგადახდო დავალება №1, გადახდის თარიღი 2018 წლის 6 მარტი), ჯამში 4335 ლარის, 70% – 3034,5 ლარი;

5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**4. საქმეების ნარმოება პირველი ინსტანციის
სასამართლოში;
საქმეების განხილვა პირველი ინსტანციის**

სარჩელის შინაარსი

აღიარებითისარჩელი

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ას-955-2018

16 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების განსაზღვრა

აღნერილობითი ნაწილი:

1. 6. ც-მა (შემდეგში: მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე ან მოვალე) სარჩელი აღძრა შპს „ფ. ფ-ის“ (შემდეგში: მოპასუხე ან კასატორი ან კრედიტორი) მიმართ ფულადი ვალდებულების 798 ლარით განსაზღვრის მოთხოვნით, საიდანაც 700 ლარი ძირითადი თანხაა, ხოლო 98 ლარი საკომისოა.

2. მოპასუხემ წარმოადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესა-
გებელი და განმარტა, რომ მოსარჩელემ დაარღვია ვალდებულება
და მისი დავალიანება შეადგენდა 4386 ლარს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2017 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით სასარჩელო
მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად და მოსარჩელის ფულადი ვალ-
დებულება მოპასუხის მიმართ განისაზღვრა 798 ლარით.

4. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოვა-
ლისათვის რიცხული დავალიანებიდან 5906 ლარიდან სესხის ძირი-
თადი თანხა 600 ლარს შეადგენდა, სარგებელი – 98 ლარს, ხოლო
პირგასამტებლო – 5206.

5. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოპა-
სუხემ, რომელმაც მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილ-
ში გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელის ფულადი ვალდე-
ბულების 3050 ლარით განსაზღვრა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 10 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

7. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 20 თებერვალს მხარეებს შორის 30 დღის ვადით დაიდო სესხის №797081 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მსესხებელზე გაიცა 700 ლარის ოდენობით კრედიტი, 30 დღეში 98 ლარი სარგებლით.

8. უდავოდ იქნა მიჩნეული, რომ 2017 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით მოსარჩელის დავალიანება შეადგენდა 5906 ლარს, საიდანაც სესხის ძირითადი ნაწილია 600 ლარი, სარგებელი 98 ლარი, ხოლო პირგასამტკებლო შეადგენს – 5208 ლარს.

9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტკებლო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. პირგასამტკებლო წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის მიხედვითაც, მოვალე ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის ან ვალდებულების სხვა სახის დარღვევისათვის იხდის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ფულად თანხას. სსკ-ის 418-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, შეთანხმება პირგასამტკებლოზე მოითხოვს წერილობით ფორმას.

10. განსახილველ შემთხვევაში, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებს შორის შეთანხმება პირგასამტკებლოზე არ არსებობდა.

11. აპელანტის ვებგვერდზე განთავსებული „სესხის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები“ 8.4. პუნქტის თანახმად, სესხის გადახდის ვადის ვადაგადაცილების შემთხვევაში, გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებელს დაარიცხოს პირგასამტკებლო, რომლის ოდენობაც არ უნდა აღემატებოდეს სსკ-ს 625-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილ მაქსიმალურ იდენტობას. რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეთა შორის პირგასამტკებლოს ოდენობა შეთანხმებულია იმ ნებისმიერ ოდენობაზე, რომელიც სცილდება სსკ-ის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულ ზღვარს.

12. სასამართლომ მიიჩნია, რომ ვებგვერდზე განთავსებული „სესხის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები“ პირგასამტკებლოსთან დაკავშირებით შეიცავს ბუნდოვან დებულებას, კერძოდ, განსაზღვრული არ არის პირგასამტკებლოს კონკრეტული ოდენობა.

13. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ

მიიჩნია რომ სახეზე არ არის პირგასამტებლოზე კანონით დადგენილი სპეციალური ფორმით შეთანხმება, რაც გამორიცხავს ვადის დარღვევისთვის პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლებას.

14. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელის ფულადი ვალდებულება მოპასუხის მიმართ შემცირდა და მოსარჩელის მიერ პირგასამტებლოს სახით გადასახდელი თანხა განისაზღვრა მხოლოდ 100 ლარით. პირგასამტებლოს გონივრულ ნიშნულამდე დაყვანის შედეგად მოსარჩელის ფულადი ვალდებულება 2016 წლის 20 თებერვლის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სულ განისაზღვრა 798 ლარით.

15. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 100 ლარის ოდენობით პირგასამტებლოს განსაზღვრის ნანილში სააპელაციო საჩივრით არ გაუსაჩივრებია, არამედ გადაწყვეტილება სადაცოდ გახსადა პირგასამტებლოს შემცირების ნანილში, სააპელაციო პალატა მოკლებული იყო შესაძლებლობას აპელანტის საუარესოდ შეგძრუნებინა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

16. სსსკ-ის 180-ე მუხლის დანაწესის მიხედვით, რომლის თანახმადაც, აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით: а) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა მიღებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შერის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.

17. აპელანტის ვებგვერდზე განთავსებული „სესხის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების“ 4.6. პუნქტის თანახმად, მსესხებლის მიერ გადახდილი თანხით პირველ რიგში იფარება პირგასამტებლო, შემდეგ დარიცხული პროცენტი (საკომისიო), ასანაზღაურებელი ხარჯები და ბოლოს სესხის თანხა.

18. მოსარჩელეს აპელანტმა მოკლე ტექსტური შეტყობინებით აცნობა, რომ მას უფიქსირდება სესხის ვადაგადაცილება, რის გამოც, დაერიცხა ჯარიმა და 08.06.2017 წლის მდგომარეობით გადასახდელი თანხა შეადგენს 4298 ლარს. შეტყობინებით აპელანტმა მოსარჩელეს მოსთხოვა ზემოაღნიშნული დავალიანების დაფარვა.

19. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის იურიდიული ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ

მან დაფაროს სესხის დავალიანება მხარეთა შორის არსებული ხელ-შეკრულების ფარგლებში და არ მოხდეს მის მიერ გადახდილი თან-ხით პირველ რიგში, პირგასამტებლოს დაფარვა იმ პირობებში, რო-დესაც მხარეთა შორის პირგასამტებლოზე შეთანხმება არ არსე-ბობს.

20. ამდენად, სააპელაციო პალატას მიაჩინია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე იყო მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინ-ტერესი. შესაბამისად, ამ კუთხით, სააპელაციო საჩივარი არ შეი-ცავდა დასაბუთებულ შედავებას.

21. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სა-კასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა გასაჩივრე-ბული განჩინების გაუქმება და მოსარჩელის ვალდებულების 3050 ლარით განსაზღვრა.

22. კასატორის პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 10 მაისის განჩინებაში სასამართლო უთითებს, რომ მოპასუ-ხის ვეგბერძოზე განთავსებული სესხის ხელშეკრულების სტან-დარტული პირობები პირგასამტებლოსთან დაკავშირებით შეიცავს ბუნდოვან დებულებას, კერძოდ განსაზღვრული არ არის პირგა-სამტებლოს კონკრეტული ოდენობა, რაც კასატორის მოსაზრებით, სინამდვილეს არ შეესაბამება.

23. კასატორი განმარტავს რომ სესხის ხელშეკრულების 8.4 პუნ-ქტში, საპანკო დაწესებულებებისა და ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ნათლად არის მითითებული პირგასამტებლოს ოდენობა პროცენტებში, აღნიშნული პუნქტი ფორმულირებულია შემდეგ-ნაირად: მსესხებლის მიერ სესხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებელს დაა-რიცხოს პირგასამტებლო დაგვინებული თანხის 1% ყოველ გადა-გადაცილებულ დღეზე. სასამართლოს მიერ მითითებული პირგა-სამტებლოს დეფინიცია მოპასუხის მიერ სესხის ხელშეკრულება-ში შეიცვალა და ვებ-გვერდზე აიტვირთა შეცვლილი სახით ანუ, ახა-ლი სესხის პირობებით სესხის ხელშეკრულება მხოლოდ 2017 წლი-დან, რაც განაპირობა საქართველოს 2016 წლის 29 დეკემბრის №239 კანონმა, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 13 იანვარს. შესაბა-მისად, სესხის ხელშეკრულებაში პირგასამტებლოს შეცვლილი დე-ფინიცია ფიზიკურად ვერ იქნებოდა.

24. კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს პოზიციას იმათან დაკავშირებით, რომ მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არ არ-სებობს შეთანხმება პირგასამტებლოზე. ის, რომ მხარეთა შორის დაიდო გარიგება, თავად მოსარჩელეც ადასტურებს სარჩელში, სა-დაც აღნიშნავს, რომ 2016 წლის 20 თებერვალს შორის გაფორმდა

სესხის ხელშეკრულება, 30 დღის ვადით, რომლის თანახმადაც გაიცა სესხი – 700 ლარი და სესხის ხელშეკრულების საკომისიო განისაზღვრა 98 ლარის ოდენობით.

25. სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. სსკ-ის 319-ე მუხლი წარმოადგენს სახელშეკრულები ურთიერთობების ზოგად განმარტებას: კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. ამავე კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. მოპასუხე არის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის საგანს წარმოადგენს ონლაინ სესხების გაცემა. კომპანიის ვებ გვერდზე სსკ-ის 329-ე მუხლის მიხედვით გაკეთებულია მოწვევა ოფერტზე, კერძოდ კი წინადადება სესხის გაცემის თაობაზე, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი. ვებ გვერდზე განთავსებული სესხის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ვრცელდება ყველა მსესხებულზე და წარმოადგენს სესხის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და სესხის სპეციალურ პირობებთან ერთად წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას.

26. ვებ. გვერდზე განთავსებული სესხის ხელშეკრულების სტანდარული პირობების ტერმინთა განმარტებაში მითითებულია, რომ სესხის ხელშეკრულება არის: გამსესხებელსა და მსესხებელს შორის ელექტრონული ან სტანდარტული ფორმით დადებული ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სტანდარტულ პირობებს, ასევე გამსესხებლის ვებგვერდზე განთავსებულ სახელშეკრულებო პირობებს, სესხის ხელშეკრულების პირობებს და რომლის დადებაზე ნების გამოვლენაც მსესხებლის მიერ, მისი შინაარსის გაცნობის შემდგომ, ხდება ელექტრონულად ან მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით (სმსის საშუალებით), (რაც ავტომატურად უთანაბრდება მსესხებლის ხელმოწერას და მსესხებელი იბოჭება მის მიერ ამ ფორმით გამოვლენილი ნებით). აქვე არის აღნიშვნა შემდეგზე:

27. განმცხადებლის რეგისტრაცია – გამსესხებლის ვებგვერდზე, ვებგვერდის, ტელეფონის ან/და სწრაფი გადახდის აპარატის მეშვეობით პოტენციური მსესხებლის მიერ გამსესხებლის მხრიდან შემუშავებული ანკეტის შევსება, რომელიც მიზნად ისახავს სესხის აღებას.

28. სესხის განაცხადი – გამსესხებლის მიერ საკუთარ ვებგვერდზე განთავსებული ფორმა, რომელიც, სხვა მონაცემებთან ერთად, შეიცავს მითითებას სესხის ოდენობისა და ვადის შესახებ და რომლის ელექტრონულად შევსება (გაგზავნა) შესაძლებელია მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ, ვებგვერდის, სწრაფი გადახდის პარატების, ტელეფონის ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინების (სმს) საშუალებით და მისი შევსება და დადასტურება წარმოადგენს მსესხებლის მიერ გამსესხებლისათვის გაკეთებულ ოფერტს წინამდებარე ხელშეკრულების დადებაზე.

29. ოფერტი – მსესხებლის მიერ სესხის განაცხადის შევსება, რითაც დასტურდება მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულების გაცნობის და გამსესხებლის მიერ შეთავაზებულ პირობებზე დათანხმების ფაქტი.

30. როგორც ვებ-გვერდზე, ასევე ხელშეკრულების მე-3 მუხლში აღნერილია სესხის განაცხადისა და სესხის გაცემის პროცედურები, რომლის თანახმადაც, სესხის მისაღებად მსესხებელი გამსესხებლის ვებგვერდზე გადის რეგისტრაციას (რეგისტრაციის გავლისას მსესხებლის მიერ სახელშეკრულებო პირობების მიღება და მათზე დათანხმება ხდება ვებგვერდზე ველის „გავეცანი და ვეთანხმები სესხის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს“ მონიშვნით) და ვებგვერდის რეგისტრაციის შემდგომ ვებგვერდის გამოყენებით ავსებს სესხის განაცხადს, რომელშიც მითითებულია სასურველი სესხის ოდენობა და ვადა. სესხის განაცხადის შევსებით და ველი „ვადასტურებ, რომ გავეცანი სესხის ხელშეკრულებას და ვეთანხმები მას“ მონიშვნით მსესხებელი ადასტურებს, რომ გაეცნო წინამდებარე ხელშეკრულებისა (სესხის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებსა) და გამსესხებლის ვებგვერდზე განთავსებულ სესხის ხელშეკრულების პირობებს, ეს პირობები მისთვის მისაღებია და იგი ავლენს სესხის ხელშეკრულების დადების ნებას ამ პირობებით (აკეთებს ოფერტს). სასესხო განაცხადის შევსების შემდგომ ხდება იდენტიფიკაცია (მსესხებლისა და მისი ანგარიშ-სწორების ანგარიშის იდენტიფიცირების მიზნით მსესხებელი ახდენს გამსესხებლის ანგარიშზე სიმბოლური თანხის (1 თეთრი) გადარიცხვას ან ხდება გამსესხებლის მიერ ინფორმაციის სხვა საშუალებით გადამოწმება). იდენტიფიკაციის დასრულების შემდგომ გამსესხებელი იღებს გადაწყვეტილებას სესხის გაცემის თაობაზე. გამსესხებელი უფლებამოსილია, უარი თქვას სესხის გაცემაზე და აცნობოს ამის შესახებ მსესხებელს. გამსესხებელი არ არის ვალდებული დასაბუთოს სესხის გაცემაზე უარის მიზეზ(ები). გამსესხებელი, სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მსესხებლის პერსონალურ კაბინეტში შეტყობინების ზონაში შეტ-

ყობინების სახით აგზავნის ინფორმაციას სესხის არსებითი პირობების შესახებ და ახდენს სესხის თანხის მსესხებლის ანგარიშზე გადარიცხვას. გადარიცხვის მომენტიდან სესხი გაცემულად ითვლება.

31. იმავდროულად, კასატორს მიაჩნია, რომ სახეზე არ არის არცერთი წინაპირობა რაც უნდა უძღვოდეს აღიარებით სარჩელს.

32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით კი, აღიარებითი სარჩელის აღვრა დაუშვებელია, თუ მხარეს მიკუთვნებითი სარჩელის აღვრა შეუძლია. ზოგადად, სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი დასაბუთებულობის, საკითხის შემოწმება სამართლის საკითხია და აქედან გამომდინარე, სასამართლომ პროცესის მონანილე მხარის პრეტენზის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს მისი დასაშვებობა საქმისნარმოების ნებისმიერ ეტაპზე. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადაცობის აღმოფხვრა. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ სარჩელის სახეებად დაყოფას (მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი) პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია და უზრუნველყოფს პირის კანონით დაცული უფლებისა და ინტერესების სასამართლო წესით დაცვას. როგორც წესი, მოსარჩელის ინტერესი განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის მიღწევას უკავშირდება (მაგ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ქონების დაბრუნება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ზიანის ანაზღაურება და ა.შ.), რომელიც მხოლოდ მიკუთვნებითი სარჩელით მიიღწევა და ასეთ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის აღვრა დაუშვებელია, რადგანაც, პროცესის ეკონომიკის პრინციპიდან გამომდინარე, დარღვეული უფლების აღდგენასა და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას პირმა ერთი და არა რამდენიმე სარჩელის აღვრის გზით უნდა მიაღწიოს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებას მოსარჩელისათვის მისთვის სასარგებლო შედეგი უნდა მოჰქონდეს და მიკუთვნებითი სარჩელის აღვრის საჭიროება აღარ უნდა არსებობდეს. სსსკ-ის 180-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმასაზღვრელი შემდეგი კრიტერიუმები: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მო-

სარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დამაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა... (შდრ. სუსგ №ას-838-802-2014, 19.03.2015წ., №ას-932-872-2017, 17.10.2017წ.).

33. მოცემულ შემთხვევაში, მთავარი კრიტერიუმი არ არსებობს – მოსარჩელეს არ ედავებიან უფლებაში ანუ მოსარჩელე მხარის უფლების დარღვევის მოცემულობა არ გვაქვს სახეზე. მოსარჩელემ თავისი პოზიცია პირგასამტებლოს შესაბამისობასთან დაკავშირებით უნდა დააყენოს მას შემდეგ, რაც მოპასუხე (კასატორი) წარადგენს სასარჩელო მოთხოვნას მის მიმართ პირგასამტებლოს კონკრეტული ოდენობის დაკისრების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში არანაირი უფლების დარღვევა და უფლებაში შედავება არ არსებობს. სარჩელის დაყენების და პირგასამტებლოს დაკისრების მოთხოვნაც ცხადია არ ქმნის მისი უფლების დარღვევის წინაპირობას, რადგან პირგასამტებლოს ოდენობა განსაზღვრული არის მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, თუმცა რადგან მოსარჩელე მხარემ ჩათვალა, რომ მხარეთა შორის განსაზღვრული პირგასამტებლოს ოდენობა არაგონივრული და შეუსაბამოდ მაღალია ეს პოზიცია მან უნდა წარადგინოს სასამართლოს წინაშე მხოლოდ მას შედეგ, რაც კრედიტორი მოითხოვს ვალდებულების შესრულებას და ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული პირგასამტებლოს დაკისრებას. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს პირველი და სავალდებულო კრიტერიუმი, რომელიც დაადგინა და განსაზღვრა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, ეს არის – მოსარჩელის უფლებაში შედავება. არანაირ უფლებაში მას არ ედავებიან; პირიქით, მან დაარღვია ხელშეკრულებით წაეირი ვალდებულება. ასევე არ არსებობს აღიარებითი სარჩელის აღძვრისათვის აუცილებელი მეორე კრიტერიუმი – დავის არსებობა, რაც უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; არანაირი დავა არ არსებობს, კასატორის მიერ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, სარჩელის აღძვრის შემდგომ მოპასუხეს მიეცემა შესაძლებლობა მიუთითოს პოზიცია პირგასამტებლოს შესაბამისობასთან დაკავშირებით. ასევე, არ არის სახეზე აღიარებითი სარჩელის მესამე კრიტერიუმი – აღიარებითი სარჩელით დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებად მიჩნევის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2018 წლის 09 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2018 წლის 07 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საპროცესოსა-მართლებრივი საფუძვლით.

35. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გა-საჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასა-ციო საჩივრის საფუძვლები და მიმჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკამაყოფილდეს ნაწილობრივ და სარჩელი უნდა დარჩეს გა-ნუსილველად შემდეგი გარემოებების გამო:

36. საკასაციო პალატა პირველ რიგში, განმარტავს, რომ საპრო-ცესო სამართლებრივი დოქტრინა სარჩელს განსაზღვრავს, რო-გორც დაინტერესებული პირის მიმართვას სასამართლოსადმი დარ-ღვეული ან სადაცვო უფლების დაცვის მოთხოვნით [სსსკ-ის მე-2 და მე-3 მუხლები]. განასხვავებენ სარჩელების კლასიფიკაციას, რო-გორც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ისე, მატერია-ლური კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე (შდრ: სუსგ №ას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი).

37. სარჩელის კლასიფიკაცია შესაძლებელია მოსარჩელის მოთხოვნათა მიხედვით. დოქტრინაში განვითარებული შეხედულების თანახმად, მატერიალურ სამართალში სარჩელის ძირითად სახეე-ბად გვევლინება სანივთოსამართლებრივი სარჩელები, როგორე-ბიცაა სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩელები. სავინდიკაციო სარჩელი არის არამფლობელი მესაკუთრის ან სხვა კანონიერი მფლობელის სარჩელი უკანონო მფლობელის წინააღმდეგ ინდივი-დუალური წიმნით განსაზღვრული და ნატურით არსებული ნივთის დაბრუნების თაობაზე. ნეგატორული სარჩელი მიმართულია უფ-ლების ისეთი დარღვევის წინააღმდეგ, რაც არ არის დაკავშირებუ-ლი წივთის მფლობელობის დაკარგვასთან, მაგრამ ხელშემშლელია ნივთით სარგებლობისა .და განკარგვისთვის, ე.ი. პირი მოკლებუ-ლია ამ უფლებამოსილებათა განხორციელების შესაძლებლობას, რადგან სხვა პირი თავისი მოქმედებით ხელს უშლის მათ რეალი-ზებას; ვალდებულებითი-სახელშეკრულებო და არასახელშეკრუ-ლებო (დელიქტური, კონდიქციური) სარჩელები. თითოეული მათ-განი მიმართულია უფლებამოსული პირისთვის ქონების დაბრუნე-ბისეკ და უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღ-დგენისკენ. მაგალითად, დელიქტური სარჩელი მიმართულია არა-სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურებისკენ. ასეთია ის ზიანი, რო-

მელიც მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, როდესაც მხარეები არ იმყოფებიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში. ვინდი-კაციისგან განსხვავებით, რომლის საგანია მხოლოდ ნატურით არ-სებული ნივთი, დელიქტური სარჩელით შესაძლოა, ზოანის ანაზ-ლაურება როგორც ნატურით, ისე ფულადი სახით, როცა ნატურით რესტრიტუცია შეუძლებელია. კონდიქციური სარჩელები, რომლი-თაც ხდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სხვისი ქონებრი-ვი სიკეთის ხარჯზე, პირის არამართლზომიერი თუ მართლზომიე-რი მოქმედების ან დაუძლეველი ძალის შედეგად მიღებულის (შე-ძენილი ან დაზოგილი) უკან დაბრუნება, რითაც მიიღწევა ქონებ-რივი მიმოქცევის წონასწორობის აღდგენა დაზარალებულის ქო-ნებრივი სფეროს აღდგენით (იხ., ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარე-ბითი სამართალმცოდნების შესავალი კერძო სამართლის სფერო-ში, ტ.II, გამოცემის მეცნიერული რედაქცია და ბოლოთქმა თ. ნინი-ძის, თარგმანი ე. სუმბათაშვილის, თბ., 2001, 228). სამოქალაქო საპ-როცესო კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე კი, სარჩელის კალასიფიცირება შესაძლებელია მიეკუთვნებითი ანუ აღსრულები-თი სარჩელების, გარდაქმნითი და აღიარებითი ანუ დადგენითი სარ-ჩელების სახით (იხ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტა-რები, ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., თბ., 2007, 310).

38. წინამდებარე სარჩელით მოსარჩელემ მოითხოვა მოვალის ფულადი ვალდებულება კრედიტორის მიმართ განსაზღვრულიყო 798 ლარი, საიდანაც 700 ლარი იყო ძირითადი თანხა, ხოლო 98 ლა-რი საკომისიო (იხ., სასარჩელო მოთხოვნა). მოთხოვნის სამართლებ-რივ საფუძვლად მოსარჩელე მიუთითებს სსკ-ის 418-ე მუხლს და მიაჩნია, რომ სესხის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირო-ბა პირგასამტებლოს შესახებ არ უნდა ჩაითვალოს წერილობითი ფორმით დადგებულად და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ფორმა-დაუცველობის გამო (მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები). საკასაციო პალატა ზემოთმითითებული მსჯელობიდან და მოთ-ხოვნის შინაარსიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ აღძრულია აღიარებითი სარჩე-ლი.

39. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იურიდიული ინტერესი აღიარებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თუ მოსარჩელეს არ აქვს ასეთი სარჩელის აღძვრის ინტერესი. ამიტომ, სსსკ-ის 178-ე მუხ-ლის „თ“ ქვეპუნქტი ავალდებულებს მოსარჩელეს მიუთითოს მის მიერ აღძრულ აღიარებით სარჩელში ასეთ იურიდიულ ინტერესზე. თუმცა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იურიდიული ინტერესი არის არა სარჩელის შინაარსის საკითხი, არამედ, ამ სარჩელის აღ-

ქვრის, მისი განსახილველად მიღების წინაპირობა.

40. აღიარებითი სარჩელები ყოველთვის გულისხმობენ მოდავე მხარეებს. ამიტომ, ასეთ სარჩელებში ყოველთვის გვყავს ორი მოდავე მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე, რითაც იგი განსხვავდება უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტის დადგენისაგან (მაგ, მამობის დადგენა, სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის ან შვილად აყვანის ფაქტების დადგენა – 312-ე მუხლის „გ“ პუნქტი).

41. გარდა იმისა, რომ აღიარებითი სარჩელის მიღებისათვის საჭიროა ყველა ის დადებითი თუ უარყოფითი წინაპირობები, რომელიც მითითებულია 178-ე მუხლში, აღიარებით სარჩელს წაეყენება კიდევ ერთი დამატებითი წინაპირობა – იურიდიული ინტერესი. აქედან გამომდინარე, თუ არსებობს სარჩელის აღძვრის ყველა წინაპირობა, რომელიც გათვალისწინებულია 178-ე მუხლით, მაგრამ არ არსებობს იურიდიული ინტერესი, მოსარჩელეს უარი უნდა ეთვისა აღიარებითი სარჩელის მიღებაზე და განხილვაზე. განსხვავებით მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელებისა, რომელიც მიმართულია დარღვეული უფლების დაცვისაკენ, აღიარებითი სარჩელების დროს მოსარჩელის უფლება ჯერ კიდევ არაა დარღვეული, მაგრამ არსებობს მისი მომავალში დარღვევის საშიშროება, რადგან ვიღაცა ედავება მას ამ უფლებაში.

42. აქედან გამომდინარე, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის, რომელიც წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის წინაპირობას, საჭიროა, რომ: а) მოსარჩელეს ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაგმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა; დ) აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ უკვე შესაძლებელია სარჩელი თვით ვალდებულების შესრულების თაობაზე, ე.ი. თუ შესაძლებელია აღიძრას მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02.03.2017წ; შეადარეთ ასევე, სუსგ-ებს: №1089-1009-2017, 05.12.2017წ; №ას-437-409-17 29.09.17, №ას-916-857-17 12.09.17, №ას-302-285-17, 16.06.17, №ას-244-232-17 19.05.17 №ას-937-887-2015, 10.11.2015წ.; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-869-819-

2015, 11.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2056.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; №ას-323-308-2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.6.2016წ; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ; საქმე №ას-595-554-2017, 15 დეკემბერი, 2017 წელი).

43. გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოში აღძრულია ალიარებითი მოთხოვნა, რომელიც მხარეთა შორის ფულადი ვალდებულების – კრედიტორული დავალიანების შემცირებისკენაა მიმართული, იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რაც მოსარჩელეს/მოვალეს სურს რომ მიიღოს, უნდა არსებობდეს დავავალდებულების შესრულებაზე – თანხის, სახელდობრ, პირგასამტებლოს გადახდევინებაზე, რომლის სამართლებრივი საფუძველი შესაძლებელია ყოფილიყო სსკ-ის 50-ე, 327-ე, 623-ე, 417-ე, 418-ე, 361-ე მუხლები.

44. სახელშეკრულებო სარჩელის აღძვრის შემთხვევაში კი, მოვალე/მოპასუხე (განსახილველი სარჩელით მოსარჩელე) ისარგებლებდა წარედგინა ყველა ის მატერიალურსამართლებრივი შესაგებელი (სსკ-ის 201-ე მუხლი), რომლებიც დაკავშირებულია პირგასამატებლოს მოთხოვნის წარმოუშობლობასთან (სსკ-ის 50-ე, 59, 69.2, 418-ე და ა.შ., ნაწილობრივ გამორიცხვასთან (სსკ-ის 420-ე მუხლი) და ა.შ. მანამდე კი, მიიჩნევა, რომ არ არსებობს დავაუფლებაზე. სწორედ ამიტომ, ვიდრე საკასაციო პალატა საკასაციო პრეტენზიათა დასაბუთებულობას შეამონებდეს, პირველ რიგში, შესამონებელია ალიარებითი სარჩელის დასაშვებობა (იხ., №ას-121-117-2016, 17 მარტი, 2016 წელი).

45. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო დაესაბუთებინა ალიარებითი მოთხოვნის მიმართ მისი ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა, როგორც აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღებისა და განხილვის აუცილებელი წინაპირობა [სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი]. აღსანიშნავია, რომ თუკი მოსარჩელის მიზანს, სარჩელის აღძვრის ინტერესს თეორიულად წარმოადგენს მოსარჩელის გათავისუფლება დარიცხული პირგასამტებლოს თანხის გადახდის ვალდებულებისაგან, რადგან მას ხელი ეშლება ვალდებულება შეწყვიტოს კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით (სსკ-ის 427-ე მუხლი), ვინაიდან შიშობს, რომ მის მიერ განხორციელებული ფულადი შენატანით ხელშეკრულების სტანდარტული პირობის შესაბამისად, პირველ რიგში, დაიფარება პირგასამტებლო (იხ., ხელშეკრულებიდან გადახდის პირობები პ-4.6), საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული არ აკმაყოფილებს მართლზომიერი იურიდი-

ული ინტერესის ნორმატიულ პირობას, რადგან მოვალის მოლოდინი, რომ შესრულება ჩაითვალება პირგასამტეხლოს ანგარიში (იხ., ხელშეკრულებიდან გადახდის პირობები პ-4.6), რაც ხელს შეუძლის მისი უფლების სამომავლოდ რეალიზაციას [სსკ-ის 361-ე მუხლის დისპოზიცია: ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას], შესაძლოა გამოირიცხოს ძირითადი თანხის ნაწილში გადახდითა და იმაზე მითითებით, რომ მოვალე არ ეთანხმება პირგასამტეხლოს დარიცხვას.

46. იმავდროულად, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპულ კონვენციაზე, რომლის მე-6 მუხლით რეგულირებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის აღნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრატიკის თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და თავის თავში არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტა-საც მოიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვაზე ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება (შდრ. სუსგ წეს-302-285-2017, 16.06.2017). ნიშანდობლივია, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადაწყვეტილების მიღება არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების აღსრულების გარეშე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აღინიშნა გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობა. გადაწყვეტილებაში „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას ეხება, განიმარტა, რომ გადაწყვეტილებია აღსრულების უფლება, „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილია მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის (Apostol v. Georgia; §37; ასევე იხ. Hornsby v. Greece, §40). ამასთან, საქმეზე შპს „იზა და მაკრახიძე“ საქართველოს წინააღმდეგ ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ „სამართლანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ ხელშემკრელი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნების-

მიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრეცედენტთა შორის იხ. Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40) (ციტ: სუსგ №ას-964-899-2017, 23 თებერვალი, 2018 წელი, პ-15.4.3).

47. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა წარმოადგინა ნაწილობრივ დასაშვები საკასაციო პრეტეზზია (შედაგება) (პპ: 31, 32). არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების (რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება) გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეყუნტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც სარჩელი განუხილველად უნდა დარჩენილყო საქმისნარმოების პირველივე ეტაპზე. შესაბამისად, მიღებული განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

48. იმავდროულად, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაპრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩატარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უპრუნდება მის მიერ შეტანილი დოკუმენტები. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტის საქმისნარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). მთავარი სხდომის დანიშნვამდე სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი, ხოლო საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი მოსარჩელეს არ დაუბრუნდება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოხმობილი ნორმა მითითებითი ხასიათისაა და მასში ამავე კოდექსის 275-ე მუხლის ნინაპირობების შემოწმებაზე საუბარი, თუმცა, ეს უკანასკნელი ნორმაც არ შეიცავს სარჩელის განუხილველად დატოვების ამომწურავ ჩამონათვალს, რის გამოც, დასაშვებია საპროცესო ანალოგიის პრინციპის გამოყენება (სსსკ-ის მე-7 მუხლი) იმ შემთხვევისათვის, როდესაც სახეზე გვაქვს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა (იხ. სუსგ №ას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი; №ას-

551-522-2015, 14 აგვისტო, 2015 წელი). მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც აღიარებითი სარჩელი არ აქმაყოფილებს სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნა-ნილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, იგი განუხილველად უნდა იქნას დატოვებული.

49. დაბატებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კრედიტო-რის (მოპასუხის) მიერ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, მსესხე-ბელს (მოსარჩელეს) შეუძლია ისარგებლოს წინამდებარე განჩინების პ-44 განვითარებული მსჯელობით, ხოლო ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით დავალანების მოვალისათვის დაკისრების შემთხვევაში, მოვალეს (მოსარჩელეს) შეუძლია უფლების სასარჩელო წესით დაცვა პირგასამტკებლოს ნაწილში, სა-აღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

50. კასატორს უკან დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს :

1. შპს „ფ. ფ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-რივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-ქო საქმეთა პალატის 2018 წლის 10 მაისის განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება;

3. 6. ც-ის სარჩელი დარჩეს განუხილველად;

4. კასატორს შპს „ფ. ფ-ის“ უკან დაუბრუნდეს 2018 წლის 25 ივნისს საგადასახადო დავალება №757 გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (300 ლარი) 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარი-შის №..., სახაზინო კოდი

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საპოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩევლის შინაარსი

აღიარებითი სარჩევი

განხილვა
საქართველოს სახელით

№ას-50-50-2018

29 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა,
სესხის და იპოთეკის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის
აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ნოტარიუს ც. დ-ის სანოტარო ბიუროში თ. ს-სა (შემდეგში:
მსესხებელი, გამყიდველი, მოსარჩევე, აპელანტი ან კასატორი)
და ე. მ-ს (შემდეგში: გამსესხებელი) შორის, 2013 წლის 17 ივნისს,
სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც მსეს-
ხებელმა გამსესხებლისაგან 40 000 აშშ დოლარი ისესხა, ყოველ-
თვიურად 3.5%-ის დარიცხვით. სესხის ხელშეკრულება სამი თვის
ვადით გაფორმდა, სესხის ძირითადი თანხა 2013 წლის 17 სექტემ-
ბერს უნდა დაბრუნებულიყო. აღნიშნული სესხის უზრუნველა-
ყოფად იპოთეკით დაიტვირთა მოსარჩევის საკუთრებაში რიცხუ-
ლი უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისში, მ-ის ქ. №31, ბ. №3, ს/კ:
№0... (შემდეგში: უძრავი ქონება; იხ. ხელშეკრულება).

2. ზემოხსენებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით ნა-
კისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 30.09.2013 წელს
ნოტარიუსმა №131030776 სააღსრულებო ფურცელი გასცა, რაც
მსესხებელმა გაასაჩივრა, სასამართლოს გადაწყვეტილებით კი
ვალდებულების მოცულობა შემცირდა და უძრავი ქონება იძულე-
ბით აღსასრულებლად მიექცა, უძრავ ქონებაზე 22.06.2015 წელს
გამოცხადდა საჯარო აუქციონი.

3. აუქციონზე ქონების რეალიზაციისათვის თავის არიდების
მიზნით მსესხებელი დაუკავშირდა ს. ხ-სა და ს. ზ-ეს, რომლებმაც
მას 45 890.16 აშშ დოლარი გადასცეს, რაც საჭირო იყო სააღსრუ-
ლებო ფურცლით გათვალისწინებული დავალიანების დასაფარად.

მოსარჩელემ სააღსრულებო ბიუროში დავალიანების გადახდის და-მადასტურებელი ქვითარი წარადგინა და იძულებითი აუქციონის შეწყვეტა მოითხოვა, რის შედეგადაც სააღსრულებო წარმოება შეწყდა.

4. მოსარჩელესა და 6. უ-ეს (შემდეგში: მოპასუხე ან მყიდველი) შორის, 2015 წლის 30 ივნისს, ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც გამყიდველმა მოპასუხეს უძრავი ქონება საკუთრებაში გადასცა, ნასყიდობის ფასი 65 000 აშშ დოლარით განისაზღვრა.

5. სარჩელის საფუძვლები

5.1. გამყიდველმა 2015 წლის 15 ივლისს სარჩელი აღძრა მყიდველის წინააღმდეგ, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მხარებს შორის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადებულად აღიარება მოითხოვა შემდეგი პირობებით: ხელშეკრულების დადების თარიღი – 30.06.2015 წელი; ხელშეკრულების მონაწილე მხარები – მსესხებელი – მოსარჩელე, გამსესხებლებად – მოპასუხე; სესხის ოდენობა – 45 890.16 აშშ დოლარი; ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 1 თვე და 15 დღე; შეთანხმებული პროცენტის ოდენობა – თვეში 5%; მოთხოვნის უზრუნველყოფა – კრედიტორის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, იპოთეკის საგნის რეალიზაცია, რომლის რეკვიზიტები იხ. ამ განჩინების პირველ პუნქტში.

5.2. მოსარჩელემ წინამდებარე განჩინების 1-4 პუნქტებში და-სახელებულ გარემოებებზე მიუთითა და დამატებით განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ აუქციონის შეწყვეტის შესახებ შეიტყო ს. ხ-სა და ს. ზ-ეს ხელშეკრულების პირობების შესათანხმებლად გაჰყვა (იხ. ამ განჩინების მესამე პუნქტი). მიუხედავად ზემოაღნიშნული მოლაპარაკებისა, 2015 წლის 30 ივნისს, მოსარჩელე იძულებით მიიყვანეს ნოტარიუსი ი. ხ-ის სანოტარო ბიუროში, ფაქტობრივად თავისუფლების აღკვეთის, სიტყვიერი შეურაცხყოფისა და მუქარის შემდეგ ის იძულებული გახდა, ხელი მოეწერა ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის, რომლის საფუძველზეც მსესხებელმა, როგორც მესაკუთრემ, მოპასუხეს უძრავი ქონება 65 000 აშშ დოლარად მიჰყიდა.

5.3. მოსარჩელის განმარტებით, ნასყიდობის გარიგების გაფორმებისათვის გამყიდველს წება არ გამოუხატავს, მას თავისუფლება აღუკვეთეს, ტელეფონი ჩამოართვეს და საშუალებას არ აძლევდნენ მის წარმომადგენელს დაკავშირებოდა, მუქარისა და ზეწლის შედეგად იგი აიძულეს ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის ხელი მოეწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ეუბნებოდნენ, რომ სახლში არ გაუშვებდნენ. აღსანიშნავია, რომ სანოტარო ბიუროში

ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დროს მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ ხელშეკრულება მოპასუხის სახელზე ფორმდებოდა, რომელიც არც გამსესხებელია და არც არასდროს უნახავს. შესაბამისად, წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე მოითხოვს 2015 წლის 30 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და მის ნაცვლად, მხარეთა შორის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების არსებობის დადგენას.

6. მოპასუხის შესაგებელი

6.1. მოპასუხემ მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ხელშეკრულება ნამდვილია. ამასთან, მოსარჩელეს არ აქვს რაიმე მტკიცებულება, რომელიც ირიბად მაინც მიანიშნებდა, რომ მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობა არსებობდა. ნასყიდობის ხელშეკრულება ნოტარიუსის თანადასწრებით გაფორმდა, შესაბამისად, გამყიდველს სრულად ესმოდა ის სამართლებრივი შედეგი, რასაც ნასყიდობის ურთიერთობა წარმოშობდა.

6.2. მოპასუხემ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების გაფორმებისას არც რაიმე სახის გარიგების დაფარვას, არც მოტყუებასა და არც მუქარას ადგილი არ ჰქონდა, მხარეებმა ნება გააზრებულად გამოავლინეს, ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და მოსარჩელის ნება ნამდვილად მოიცავდა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დაკვნები

7.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7.2. სასამართლომ იხელდდავანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 50-ე, 61-ე, 85-ე-86-ე, 477-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ მოტყუება არის ვითარება, როცა ერთი მხარე მეორეს აწვდის არასწორ ინფორმაციას მისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების მნიშვნელოვანი ელემენტების თაობაზე, ან წინასწარ განზრახ დუმს მათ შესახებ. შესაბამისად, მოტყუებად ითვლება შეცდომის განზრახი, შეგნებული გამოწვევა. მოტყუებას საფუძვლად უდევს პირის შეგნებული მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ნების გამომვლენის შეყვანას შეცდომაში, ანუ პირი ზემოქმედებს ამ უკანასკნელის ნებაზე და აღნიშნული ზემოქმედების შედევგად მიიღწევა მომტყუებლის მიერ ის შედეგები, რომელიც სურდა მას და რომელზეც შეძლო მეორე მხარის დაყოლიება. შესაბამისად, პირი აღნიშნული ზემოქმედების საფუძვლზე თანახმა დადოს გარიგება; რაც შეეხება იძულებასა და მუქარას, აღნიშნულში მოიაზრება ზენოლისა თუ სხვა არამართლზო-

მიერი და ნების საწინააღმდებო ფაქტორების არსებობა, რასაც, როგორც საქმის გარემოებებით დგინდება, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია;

7.3. სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის იძულებისა და მუქარის ფაქტი, გარდა ამ უკანასკნელის ზეპირსიტყვიერი განმარტებისა, ვერ დადასტურდა რაიმე სახის მტკიცებულებით. საქმის მასალებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ არ არსებობდა ალნიშნული საფუძვლით მოპასუხესთან 2015 წლის 30 ივნისს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი, რაც, შესაბამისად, მეორე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის წინაპირობაა.

8. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

8.1. მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგ არგუმენტებზე მითითებით მოითხოვა:

8.2. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მოპასუხისა ან მესამე პირის მხრიდან გამყიდველის მოტყუებას, მის იძულებასა და მუქარას ადგილი არ ჰქონია; ამასთან, სასამართლო მიუთითებს, რომ იძულების ფაქტის დადასტურება არ არის შესაძლებელი მხოლოდ მოსარჩელის ახსნა-განმარტებით. ალსანიშნავია, რომ იძულებასა და მუქარაში მოიაზრება ზენოლა თუ სხვა არამართლზომიერი და ნების საწინააღმდეგო ფაქტორების არსებობა, რაც სასამართლო სხდომაზე დადასტურდა როგორც მოსარჩელის ახსნა-განმარტებებით, ასევე – სხვა მტკიცებულებებით, მათ შორის, მობილური ტელეფონიდან ამობეჭდილი მოკლე ტექსტური შეტყობინებების შინაარსით, რითაც დასტურდებოდა, რომ ხელშეკრულების გაფორმებისას გამყიდველს წაართვეს მობილური ტელეფონი და არ მისცეს საშუალება თავისი ადვოკატისათვის დაერევა;

8.3. აპელანტის მტკიცებით, ჩვენების მიცემისას ნოტარიუსმა ხაზი გაუსვა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის გამყიდველის შემფთხოთებულ და ანერვიულებულ მდგომარეობაში ყოფნის ფაქტი. ამასთან, სასამართლო ალნიშნავს, რომ მოსარჩელეს ჰყავდა ადვოკატი და იგი რეგულარულად იღებდა რჩევებს ნაცნობი იურისტებისაგან. ალნიშნული პირები მოწმის სახით დაიკითხენ სასამართლო სხდომაზე და მათ დადასტურეს, რომ მოსარჩელეს ბინის გასხვისება არ სურდა და იგი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებას აპირებდა;

8.4. სასამართლომ, ასევე, არ შეაფასა ექსპერტის დასკვნა, რომ-ლითაც დასტურდებოდა, რომ გამყიდველს უძრავი ქონება არ გა-უსხვისებია. მსესხებელმა მტკიცებულების სახით წარადგინა ლე-ვან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვ-ნული ბიუროს (შემდეგში: ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) დას-კვნა, რომლითაც გაშიფრულია აუდიო – ჩანაწერი; ეს უკანასკნე-ლი კი ცალსახად ადასტურებს, რომ მოსარჩელეს უძრავი ქონება არ გაუყიდია და მას ნასყიდობის საფასური 65 000 (სამოცდახუთი ათასი) აშშ დოლარი არ მიუღია. მან სესხის სახით მიიღო 45 890.16 აშშ დოლარი თვენახევრით, რის შემდეგაც თანხა უნდა დაებრუნე-ბინა პროცენტთან ერთად. აპელანტის მტკიცებით, ექსპერტიზის დასკვნაში ცალსახად ჩანს, რომ ე.ნ. მყიდველი თანახმაა, რომ თუ მოსარჩელე 10 დღეში დაუბრუნებს 55 000 აშშ დოლარს, ასეთ შემ-თვევაში მოპასუხე მას ბინას უკან დაუბრუნებდა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის ამის შესახებ მსჯელობა, ამ მტკიცებულებაზე – აუდიოჩანაწერის შინაარსზე არ არის ყურადღება გამახვილებული. საქალაქო სასა-მართლო გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ აპელანტმა ის გარი-გება გააფორმა, რისი დადებაც მას სურდა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დას-კვნები

9.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2017 წლის 15 ნოემბრის განჩინებით, სააპელაციო სა-ჩივარი არ დაკამაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

9.2. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სა-სამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები, სამართლებრივი შეფასე-ბები და დასკვნები და მიუთითა მათზე (საქართველოს სამოქალა-ქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 390.3 მუხლის „გ“ ქვე-პუნქტი).

10. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

10.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო წესით გასაჩივრებით აპელანტმა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტი-ლების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

10.2. კასატორმა საკასაციო საჩივარში ის პრეტენზიები გაიმე-ორა, რაც სარჩელსა და სააპელაციო საჩივარშია ასახული (იხ. წი-ნამდებარე განჩინების 5.1-5.3 და 8.2-8.4 ქვეპუნქტები).

11. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

11.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2018 წლის 26 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედ-

ვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

11.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატის 2017 წლის 18 მაისის განჩინებით გამყიდველის სა-
კასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი, სსსკ-ის 391-ე მუხ-
ლის მე-5 ნაზილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიღებულ იქნა
არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო
საჩივარი, საქმის მასალები და მიზნევს, რომ საკასაციო საჩივარი
ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და როგორც გასაჩივრებული
განჩინება, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტი-
ლება უნდა გაუქმდეს და სარჩელი, როგორც დაუშვებელი, განუ-
ხილველად უნდა დარჩეს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

12. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი
დასაბუთებულობის, საკითხის შემოწმება სამართლის საკითხია და
აქედან გამომდინარე, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის
პრეტენზიის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით
უნდა შეამონმოს სარჩელის დასაშვებობა საქმისწარმოების ნების-
მიერ ეტაპზე. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი
მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინ-
ტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით
მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინე-
ბის ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღი-
არება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფ-
ლების მიყუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა.
ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარ-
ღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება
დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც,
ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდე-
ბენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი
სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურ-
თიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იუ-
რიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებე-
ლია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა. სა-
კასაციო სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა: „...გარიგებების
ბათილობა ფაქტობრივ წინაპირობად უნდა იქნეს მიზნეული და არა
დამოუკიდებელ მოთხოვნად. შესაბამისად, გადაწყვეტილების სა-
რეზოლუციო ნაწილში სწორედ აღსრულებითი სარჩელის განხილ-
ვის შედეგი და არა კონკრეტულ გარიგებათა ბათილად ცნობა მიე-
თითება, რადგან თავისთავად გარიგების ბათილად ცნობა არ ინ-

ვევს რაიმე იურიდიულ შედეგს, თუკი წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით აღიარებითი სარჩელი არ იხილება“ (იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების /საქმე №ას-664-635-2016/ დასკვნები 231-ე-233-ე პუნქტებში და დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის /საქმე №ას-121-117-2016/ განჩინების დასკვნები 55-ე-56-ე პუნქტებში, საქმე №ას 121-117-2016; შეადარეთ ასევე, სუსგ-ებს: №ას-937-887-2015, 10.11.2015.; № ას-17-14-2015, 01.07.2015.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015.; №ას-773-730-2015, 08.09.2015.; №ას-181-174-2016, 06.05.2016.; №ას-323-308-2016, 03.06.2016.; №ას-407-390-2016, 10.06.2016.; №ას-375-359-2016, 17.06.2016.).

13. აღსანიშნავია, რომ სარჩელის ინსტიტუტის საპროცესო კლასიფიკაცია შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ანალიზით და დოქტრინაში განვითარებული შეხედულებით. სარჩელთა ძირითად სახეებად გვევლინება მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი სარჩელები. პირველი ორი ჯგუფის სარჩელების ძირითადი მახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ამ ტიპის სარჩელებზე მიღებული გადაწყვეტილება რეალური, აღსრულებადი გადაწყვეტილებაა და ამიტომ მათ აღსრულებად სარჩელადაც მოიხსენიებენ. რაც შეეხება აღიარებით სარჩელს, ის ასევე დარღვეული, თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საპროცესო საშუალებაა, თუმცა, აღიარებითი სარჩელის მიმართ საკანონმდებლო დათქმები განსხვავებულია.

14. იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის სუბიექტური ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძრით. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას უნდა ემსახურებოდეს აღიარებითი სარჩელი. სსსკ-ის 180-ე მუხლი ადგენს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, კერძოდ: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ სამიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.

15. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნო-

ბა მოსარჩელის დარღვეული უფლების აღდგენის წინაპირობა ვერ გახდება, ვინაიდან, სარჩელით არ არის მოთხოვნილი რაიმეს მიკუთვნება ან შესრულება, ხოლო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია (სსკ-ის 248-ე მუხლი). სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელი იყო. მაგალითისათვის, მოსარჩელეს შეეძლო გარიგების ბათილობის სამართლებრივი შედეგი – კონდიქციური მოთხოვნა (სსკ-ის 976-ე მუხლის 1 „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 979-ე მუხლის პირველი ნაწილი) წაეყინებინა მოპასუხისათვის. თუმცა, სხვა საკითხია რამდენად წარმატებული იქნებოდა სარჩელი, რადგანაც ის დაკამაყოფილებადი იქნებოდა მითითებული ნორმებით გათვალისწინებული ფაქტობრივი წინაპირობების (სამართლებრივი წინაპირობების) კანონით დადგენილი თანმიმდევრობით განხორციელებისა (შესრულების) და მოთხოვნის გამომრიცხავი, შემწყვეტი ან მისი განხორციელების ხელისშემშლელი გარემოებების არარსებობის შემთხვევაში.

16. საკასაციო სასამართლო სსკ-ის 477.1 მუხლზე [ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი] დაყრდნობით განმარტავს, რომ მაშინ როდესაც მოსარჩელემ და მოპასუხებ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმეს გამყიდველმა მყიდველს ქონებაზე საკუთრების უფლება გადასცა. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, უძრავი ქონება მყიდველის პირდაპირ მფლობელობაში არ გადასულა, თუმცა, ეს არ გულისხმობს იმას, რომ 2015 წლის 30 ივნისის შემდეგ (ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება) უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება მყიდველზე არ გადასულა. იმას, რომ მყიდველმა საჯარო რეესტრში უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დარეგისტრირება ვერ მოასწრო, რადგან მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის სახით ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შეჩერება მოითხოვა, უძრავ ქონებაზე გამყიდველის (კასატორის) საკუთრების უფლების დაბრუნება არ გამოუწვევია.

17. საკასაციო სასამართლომ განმარტა: „უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ფორმას განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი, რომლის მიხედვით, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლს, ეს ნორმა წერილობით ფორმასთან

ერთად განამტკიცებს უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის აუცილებელ წინაპირობასა და საკუთრების გადასვლის მომენტს – რეგისტრაციას საჯარო რეესტრში. უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტს ის და-ნიშნულება გააჩნია, რომ შემძენი მესამე პირების წინაშე მესაკუთრის სტატუსით აღიჭურვება, ვინაიდან უძრავი ქონების შემძენის საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაციამდე, ერთადერთ მე-საკუთრედ ითვლება გამსხვისებლი (სკ-ის 312-ე მუხლი). როგორც აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი განსაზღვრავს უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის ვალდებულებითსამართლებ-რივი ხელშეკრულების ფორმას, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ფორმის დაცვით დადგებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებულია თუ არა იგი საჯარო რეეს-ტრში, წარმოშობს ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმებით გათვალისწინებულ მხარეთა უფლება-მოვალეობებს. ზემოაღნიშნული-დან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია არის არა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელ-შეკრულების ფორმა, არამედ უძრავ ნივთზე საკუთრების გადას-ვლის აუცილებელი წინაპირობა, შესაბამისად, მისი დაუცველობა იწვევს არა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, არა-მედ იმას, რომ შემძენი არ მიიჩნევა შეძენილი უძრავი ქონებს მე-საკუთრედ და კარგავს ამ ქონების კეთილსინდისიერ შემძენთან შედავების უფლებას (სკ-ის 185-ე მუხლი)“ – იხ. სუსგ №ას-523-496-2014, 30.04.15ნ; შდრ. სუსგ №ას-875-817-2017, 21.03.2018ე.

18. საკასაციო სასამართლო, განსაზილველი საკითხის სიცხა-დის მიზნით მოიშველიებს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლე-ბათა დაცვის“ ევროპულ კონვენციას, რომლის მე-6 მუხლით აღია-რებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის აღ-ნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და თავის თავში არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამარ-თლიან გადაწყვეტასაც მიიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმა-ზე, რომ მართლმასჯულების განხორციელება არ უნდა ატარებ-დეს ფორმალურ ხასიათს, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვაზეა ორიენ-ტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომ-ნურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა არ მოჰყვე-ბა შედეგად.

19. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლე-ბათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი

ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81); Boldea v. Romania, par. 30). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დეტალურად აღარ იმსჯელებს განსახილველი საკასაციო საჩივრის იმ პრეტენზიებზე, რომელთაც საქმის გადაწყვეტილობის არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნიათ.

20. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პროცესუალური საკითხები, რომლებიც სსს-ით დადგენილი წესებითაა მოწესრიგებული საგალდებულოა, როგორც მხარეებისათვის, ასევე სასამართლოსათვის. შესაბამისად, საპროცესო საკითხები (მათ შორის სარჩელის განუხილველად დატოვება) ყველა შემთხვევაში უნდა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოწესრიგების საფუძველზე.

21. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი განუხილველად უნდა დარჩენილიყო საქმისწარმოების პირველივე ეტაპზე. შესაბამისად, არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების (რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება) გაუქმების სსს-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც მიღებული განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძლიანობის შემონბება შეუძლებელია.

22. ამასთან, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან, საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სსს-ის 399-ე, 372-ე მუხლებითა და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი დოკუმენტები. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის ნარმობაზი მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმისწარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამავე კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები).

23. საკასაციო სასამართლო სსს-ის 1991-ე მუხლზე დაყრდნობით გააუქმებს საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებულ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას, სარჩელის განუხილველად

დატოვების გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 187.2, 408.3 და 1991-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ო. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 ნოემბრის განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება
3. ო. ს-ის სარჩელი დარჩეს განუხილველად;
4. გაუქმდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 2 ივნისის განჩინება, სარჩელის აღდერამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომლითაც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა თ. ს-ის (3/6 3-) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, მ-ის ქუჩა №31, ბ №3, საკადასტრო კოდი №0... რეგისტრაცია (30.06.2015 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების (რ/ 150691347)) 6. უ-ის (3/6 3...) სახელზე სასამართლო დავის საბოლოო დასრულებამდე.
5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის შინაარსი

აღიარებითი სარჩელი

გადაცევეფილება საქართველოს სახელით

№ას-609-609-2018

12 სექტემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ჰ. ქათამაძე

დავის საგანი: სამეცვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა საერთო კრების ოქმების ბათილად ცნობა, სავარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

1. სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის და 20 ივლისის №288 და №571 დადგენილებების მოთხოვნათა შესაბამისად, სახელმწიფო საწარმო სამშენებლო-სამრეწველო კომერციული ფირმა „ქ-ი“ გარდაიქმნა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1996 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილებით დარეგისტრირდა, როგორც სააქციო საზოგადოება „ტ. ქ-ი“ (შემდეგში: „სააქციო საზოგადოება“ ან „სს“ ან „პირველი მოპასუხე საზოგადოება“ ან „პელანტი“).

2. სს-ში გაერთიანებულია 97407 ცალი აქციის მფლობელი 582 აქციონერი. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 აშშ დოლარს. შესაბამისად, სს-ის სანესდებო კაპიტალი შეადგენს 97407 აშშ დოლარს (სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორის“ მიერ წარმოებული რეესტრის მონაცემები).

3. სს-ის აქციონერთა შორის ირიცხებიან ა. ა-ე (შემდეგში – მოსარჩელე ან მონინააღმდეგ მხარე) და სხვები. მათ შორის, აქციები ნაწილდება შემდეგნაირად: მოსარჩელის საკუთრებად რეგისტრირებულია 4760 ცალი აქცია, მისი წილი საზოგადოების აქციათა საერთო რაოდენობაში შეადგენს 4,88671%-ს; კ. ბ-ის საკუთრებად რეგისტრირებულია – 4760 ცალი აქცია (4,88671%); თ. ს-ის საკუთ-

რებად რეგისტრირებულია – 4760 ცალი აქცია (4,88671%); გ. ჭ-ის საკუთრებად რეგისტრირებულია – 4760 ცალი აქცია (4,88671%); ზ. ლ-ის საკუთრებად რეგისტრირებულია – 4760 ცალი აქცია (4,88671 %); გ. ნ-ის საკუთრებად რეგისტრირებულია – 4749 ცალი აქცია (4,87542%); უ. გ-ის საკუთრებად რეგისტრირებულია – 4749 ცალი აქცია (4,87542%); ე. ნ-ის საკუთრებად რეგისტრირებულია – 4749 ცალი აქცია (4,87542%); ზ. რ-ის საკუთრებად რეგისტრირებულია – 4727 ცალი აქცია (4,85283%); გ. კ-ის საკუთრებად რეგისტრირებულია – 4536 ცალი აქცია (4,65675%). მ. ნ-ის საკუთრებად რეგისტრირებულია – 3775 ცალი აქცია (3,87549%); ზ. გ-ის (შემდეგში: სს-ის დირექტორი) საკუთრებად რეგისტრირებულია 1485 ცალი აქცია (1,52453%).

4. 2014 წლის 27 ივნისს ჩატარდა სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა. სხდომის დღის წესრიგად განისაზღვრა: ა) სს-ის საბჭოს თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის არჩევა; ბ) აქციონერთა საერთო კრების სააღრიცხვო დღის დადგენა. კრება ჩატარდა, რომელზედაც სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ე. ნ-ე. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ კი – უ. გ-ი; საერთო კრების სააღრიცხვო დღედ დადგინდა 2014 წლის 10 ივლისი.

5. 2014 წლის 07 ივლისს, სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, სს-ის დირექტორის სახელით გამოქვეყნდა განცხადება, 2014 წლის 2 აგვისტოს 16:00 საათზე აქციონერთა საერთო კრების გამართვის თაობაზე, შესაბამისი დღის წესრიგით. შესაბამისად, 2014 წლის 02 აგვისტოს ჩატარდა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით: 2013 წლის განეული სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის ანგარიშის დამტკიცება; სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობის წევრების არჩევა; სხვა შესაძლო საკითხები.

6. ჩატარებულ კრებაზე დამტკიცდა 2013 წლის განეული სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის დირექტორის ანგარიში. დადგინდა, რომ სამეთვალყურეო საბჭოში ერთი წლის ვადით, ანაზღაურების გარეშე, აირჩია სს-ის დირექტორი, ზ-ლ-ე, გ. ნ-ე, ე. ნ-ე, ბ. გ-ი და მ. ჩ-ი. იმავე დღეს, 2014 წლის 02 აგვისტოს, გაიმართა ახლადარჩეული სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა სხდომა დღის წესრიგით: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევა. სხდომას ესწრებოდნენ წევრები: ე. ნ-ე, ბ. გ-ი, ზ. ლ-ე, სს-ის დირექტორი, მ. ჩ-ი და გ. ნ-ე. სხდომაზე ერთხმად დაადგინდა, რომ პირველი მოპასუხის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ – ე. ნ-ე.

7. ჩატრებულ კრებათა ოქმების საფუძველზე სამენარმეო რე-

ესტრში განხორციელდა ცვლილებები.

8. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სს-სა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა: а) სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 27 ივნისის ოქმის ბათილად ცნობა; ბ) სს-ის აქციონერთა საერთო კრების 2014 წლის 02 აგვისტოს №1 ოქმის ბათილად ცნობა; გ) სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 02 აგვისტოს №1 ოქმის და 2014 წლის 14 აგვისტოს №2 ოქმის ბათილად ცნობა; დ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №14107556/3 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

9. მოსარჩელის განმარტებით 2014 წლის 02 აგვისტოს ჩატარდა სს-ის საერთო კრება დირექტორის ინიციატივით (იხ., ამ განჩინების პ-5), რომლის დირექტორობის თანამდებობაზე დანიშვნას საფუძვლად დაედო სს-ის 2012 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომელიც ბათილად იქნა ცნობილი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 14 ივლისის განჩინებით. აღნიშნული კი, მოსარჩელის განმარტებით სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ საერთო კრება მოიწვია არაუფლებამოსილმა პირმა.

10. იმავდროულად, მოსარჩელემ მიუთითა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) 54-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პროცედურული წესების დარღვევაზე.

11. მოთხოვნის იურიდიულ ინტერესად მოსარჩელემ დაასახელა სს-ის მართვის განხორციელება მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილი პირების მიერ. ამასთან, დააფიქსირა სურვილი კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, აქტიური მონაწილეობა მიეღო სს-ის მართვაში [სსსკ-ის 180-ე მუხლი].

12. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 27 ივნისის სხდომის ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში უარყოფილი იქნა უსაფუძვლობის გამო. დანარჩენი მოთხოვნის ნაწილში, სარჩელი დაქმაყოფილდა. შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი 2014 წლის 02 აგვისტოს სს-ის აქციონერთა საერთო კრების №1 ოქმი; ბათილად იქნა ცნობილი სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის 2014 წლის 02 აგვისტოს №1 ოქმი და 2014 წლის 14 აგვისტოს №2 ოქმი; ბათილად იქნა ცნობილი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №14107556/3 გადაწყვეტილება.

13. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების პპ:1-7-ში მითითებული გარემოებები, ხოლო დავა

მოაწესრიგა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 50-ე და 54-ე მუხლებით, აგრეთვე, სპეციალური კანონის 54-ე მუხლის მეორე ნაწილით.

14. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ სპეციალური კანონის მითითებული ნორმის დანაწესით საერთო კრება მოწვეული უნდა იქნეს წესდებით განსაზღვრული ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების მიერ. თავის მხრივ, დირექტორი კი, თანამდებობაზე არჩეული უნდა იყოს კანონით დაგენილი წესით.

15. უდავო გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლის 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება პირველი მოპასუხის გენერალურ დირექტორად ზ. გ-ის დანიშვნის შესახებ. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში (იხ., სუს-ს 2015 წლის 19 მარტის განჩინება №ას-1047-1004-2014). შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნები 2014 წლის 07 ივნისს გამოქვეყნებული დირექტორის განცხადება, 2014 წლის 2 აგვისტოს 16.00 საათზე ქ. ქუთაისში 6-ს ქ. №26-ში სს-ის აქციონერთა საერთო კრების გამართვის თაობაზე, შესაბამისი დღის წესრიგით, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოქვეყნებული განცხადება ძალმოსილი არ იყო, ხოლო მითითებული თარიღისათვის ჩატარებული კრების გადაწყვეტილება არღვევდა კანონით დადგენილ წესს, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოშობდა [სსკ-ის 54-ე მუხლი].

16. იმავდროულად, პირველი ინსტანციის სასამართლომ იხელ-მდღვანელა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით [დისპოზიცია: საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუურობის პრეზუმაცია, ვიდრე არ დადასტურდება მათი უზუსტობა] და მიიჩნია, რომ სს-ის სამეთვალყურეო საბჭო აღნიშნული შემადგენლობით, არჩეული იქნა 2014 წლის 02 აგვისტოს გამართულ აქციონერთა საერთო კრებაზე. მითითებული კრება, არაუფლებამოსილი პირის მიერ იქნა მოწვეული (იხ., ამ განჩინების პ-15). შესაბამისად, მიჩნეული იქნა, რომ არც ა. ს. წარმოადგენდა სს-თვის უფლებამოსილ პირს და კრებაზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება, მათ შორის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 31/10/2014წ. №...გადაწყვეტილება წარმოადგენდა ბათილ გარიგებას, მისგან გამომდინარე ყველა სამართლებრივი შედეგით.

17. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვ-

ნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა სს-მ, რომელმაც მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის უარყოფა.

18. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება.

19. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეში მოსარჩელემ, 2014 წლის 02 აგვისტოს აქციონერთა კრების გადაწყვეტილების ნამდვილობა სადაცო გახადა შემდეგ ფაქტებზე მითითებით:

20. ა) 2014 წლის 07 ივლისს, აქციონერთა კრების მოწვევის დროისათვის, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე, სს-ის დირექტორის, დირექტორად დანიშნის საფუძველი ბათოლი იყო, შესაბამისად იგი არაუფლებამოსილ პირს წარმოადგენდა მოწვევა საზოგადოების კრება;

21. ბ) 2014 წლის 02 აგვისტოს კრების მოწვევისას დაირღვა სააღრიცხვო დღის გათვალისწინებით, აქციონერთა კრების თარიღის განსაზღვრის სპეციალური კანონის 54-ე მუხლით დადგენილი იმპერატიული წესი;

22. გ) აქციონერს ა. ა-ეს იმ მიზეზით, რომ უარი განაცხადა კრებაზე გამოცხადებულ პირთა აღრიცხვის უურნალში ხელმოწერაზე, არ მისცეს შესაძლებლობა თავისი მოსაზრება დაეფიქსირებინა კრებაზე.

23. სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოსარჩელის მითითება იმის თაობაზე, რომ 2014 წლის 02 აგვისტოს, სს-ის აქციონერთა კრების მოწვევისას დაირღვა სპეციალური კანონის 54.1 მუხლის მოთხოვნები [დისპოზიცია: თუ სს-ის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში ტარდება მორიგი საერთო კრება, რომელზედაც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები. სხვა შემთხვევებში, ტარდება რიგგარეშე საერთო კრება დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს ან ამ კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში – აქციონერების მოთხოვნით. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სააღრიცხვო დღისთვის], იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2014 წლის 27 ივნისის სამეთვალ-

ყურეო საბჭოს კრებაზე სააღრიცხვო დღედ დადგენილი იქნა 2014 წლის 10 ივლისი, რაც სს-ას იმ ვალდებულებას წარმოუშობდა, რომ აქციონერთა კრების თარიღი არ შეიძლება ყოფილიყო 45 დღეზე ადრე, ანუ 10 ივლისიდან 2014 წლის 24 აგვისტომდე პერიოდი. ამასთან, ვინაიდან სს-ის წესდება სპეციალური კანონისაგან განსხვავებულ რეგულაციას არ შეიცავდა, 2014 წლის 02 აგვისტოს ჩატარებულ აქციონერთა კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებას არ გააჩნდა ლეგიტიმაცია კრების მოწვევის პროცედურული წესების დარღვევის გამო. აღნიშნული კი, სსკ-ის 54-ე მუხლი თანახმად, ამ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლს წარმოადგენდა.

24. გარდა ამისა, კრების მოწვევამდე 45 დღით ადრე, 2014 წლის 19 ივნისისთვის შემოწმებული და დადასტურებული არ ყოფილა რეგისტრირებულ აქციონერთა უფლებამოსილება (რეგისტრატორმა დააფიქსირა 2014 წლის 10 ივლისის მდგომარეობით აქციონერთა უფლებამოსილება). ასეთ შემთხვევაში, იმ პირთა მიერ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება, ვისი უფლებამოსილებაც კანონით დადგენილი წესით დადასტურებული არ ყოფილა, სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად ბათილი იყო.

25. სააპელაციო პალატამ დამატებით განმარტა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, სასამართლოს კრება უფლებამოსილ პირთა მონაწილეობით ჩატარებულად რომ მიჩნია, ის გარემოება, რომ მოსარჩევე აქციონერს სხვა აქციონერების მხრიდან შეეზღუდა კრებაში მონაწილეობის უფლება იმ მიზეზით, რომ უარი განაცხადა კრებაზე გამოცხადებულ პირთა აღრიცხვის უურნალში ხელმოწერაზე, ეს ქმედებაც კი, კანონსაწინააღმდეგოდ აქცევდა ამ კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, ვინაიდან, სპეციალური კანონის 53-ე მუხლის თანახმად, აქციონერის უფლებაა მონაწილეობა მიიღოს კრებაზე და ხელმოწერასთან დაკავშირებით ფორმალური საკითხის განუხორციელებლობის გამო, დაუშვებელია ამ უფლების შეზღუდვა.

26. ადსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა 2014 წლის 02 აგვისტოს სს-ის აქციონერთა კრების გადაწყვეტილების ბათილობასთან დაკავშირებით პირველი ინსტაციის სასამართლოს მსჯელობა, რომლითაც მიჩნეული იქნა, რომ კრება მოწვეული იყო არაუფლებამოსილი დირექტორის მიერ. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტზე, რომლის თანახმად, დამტკიცებას არ საჭიროებენ ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა

სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. ამავე კოდექსის 264-ე მუხლის დანაწესის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, კანონიერ ძალში შედის, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანით, რომლითაც უცვლელად ჩჩება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

27. იმის გათვალისწინებით, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი, სს-ის გენერალურ დირექტორად ზ. გ-ის დანიშვნის შესახებ, კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 19 მარტს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 31 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1047-1004-2014). მაშასადამე, ამ დრომდე, აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევის მიზნით, ზ. გ-ის მიერ, სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში 2014 წლის 07 ივლისს გამოქვეყნებული განცხადება, არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო არაუფლებამოსილი დირექტორის მიერ განხორციელებულ ქმედებად. ხოლო სს-ის 2014 წლის 02 აგვისტოს და 14 აგვისტოს სამეთვალყურეო საბჭოს კრების გადაწყვეტილებების ნამდვილობის თაობაზე, აპელანტის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ განხილა, რომ სპეციალური კანონის 55.3-55.6 მუხლების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით, სულ ცოტა 8 დღით ადრე, სავარაუდო დღის წესრიგით. სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს ... ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოწვევს დირექტორებს, ასევე, მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს ... სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა სულ მცირე ნახევარი... მოცემული დავის ფარგლებში დადგენილ გარემოებას ნარმოადგენდა, რომ სს-ის 2014 წლის 02 აგვისტოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა ჩატარდა იმ შემადგენლობით, რომელიც არჩეული იქნა იმავე დღეს – 2014 წლის 02 აგვისტოს, სს-ის აქციონერთა კრებაზე, ხოლო 14 აგვისტოს სხდომაზე გადაწყდა დირექტორისა და მისი მოადგილის გამოწვევისა და ახლის დანიშვნის საკითხი. ვინაიდან სს-ის 2014 წლის 02 აგვისტოს აქციონერთა კრების გადაწყვეტილება, მათ შორის, სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობით არჩევის თაობაზე ბათილია, სსკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, ასევე ბათილი იყო ახალი შემადგენლობით არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 02 აგვისტოს და 14 აგვისტოს გადაწყვეტილებებიც. ახლად არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ნამდვილობის შემთხვევაშიც

კი, 2014 წლის 02 აგვისტოს სხდომაზე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება ნამდვილად ვერ ჩაითვლებოდა, ვინაიდან დაირღვა სპეციალური კანონის 55.5 მუხლით განსაზღვრული მოწვევის საფალდებული 8 დღიანი ვადა.

28. სამეწარმეო რეესტრში სს-ის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლზე, რომლის თანახმად, საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმიცია, ვიდრე არ დადასტურდება მათი უზუსტობა.

29. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილად იქნა მიჩეული, რომ სს-ის 2014 წლის 02 აგვისტოს აქციონერთა კრების გადაწყვეტილება და 2014 წლის 02 აგვისტოს და 14 აგვისტოს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები, რომლითაც არჩეული იქნა სს-ის სამეთვალყურეო საბჭო ახალი შემადგენლობით, მისი თავმჯდომარე და მოადგილე, ასევე საზოგადოების ახალი დირექტორი ნარმოადგენდა ბათილ გარიგებას. ამდენად, სანარმოს მიერ მიღებული ბათილი გადაწყვეტილებების (გარიგება) საფუძველზე, სს-ის რეგისტრირებულ მონაცემებში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 31/10/2014-წ. №ბ14107556/3 გადაწყვეტილებით განხორციელებული ცვლილების რეგისტრაციაც ბათილი იყო.

30. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 მარტის განჩინების გაუქმებისა და დაკაყიფილებულ ნაწილში, სარჩელის უარყოფის მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარადგინა სს-მ.

31. კასატორი სადავოდ ხდის სს-ის აქციონერთა საერთო კრების მოწვევის პროცედურული წესის დარღვევას და აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებს შემდეგს: სპეციალური კანონის 54.1 მუხლის მიხედვით სასამართლომ მიიჩნია, რომ სააღრიცხვო დღე არ შეიძლება ყოფილიყო 10 ივლისიდან 45 დღეზე ადრე ანუ, 2014 წლის 24 აგვისტომდე, ხოლო კრების მოწვევის გამოცხადების თარიღი არ უნდა ყოფილიყო 10 ივლისზე ადრე. მითითებულს კასატორი არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ რადგან 2014 წლის 24 აგვისტო არის 10 ივლისის შემდეგ 45 დღით გვიან და არა ადრე, ხოლო კრების მოწვევის თარიღი არ უნდა ყოფილიყო 10 ივლისზე ადრე, სასამართლოს მითითება გაუგებარია.

32. კასატორი აღნიშნავს, რომ სს-ს დირექტორმა გააგზავნა წერილი საკანონმდებლო მაცნეში დამატებით 1% მეტი აქციონერების დაზღვეული ფოსტით მოწვევის შესახებ, რომელიც განხორციელდა კანონით დადგენილი წესით. სპეციალური კანონი იმპერა-

ტულად ითვალისწინებს 1%-ზე მეტი აქციონერის დაზღვეული ფორმით მოწვევას, რაც განხორციელდა და მხარეებს აღნიშნული სადაც არ გაუხდიათ და აქციონერთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღების დროს რამე პრეტენზია არ გამოუთქვამთ, მათ შორის, არც მოსარჩელეს. მით უმეტეს, მოსარჩელე მონაწილეობდა აქციონერთა კრებაზე რეგისტრაციის გარეშე, რაც სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა.

33. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ იმსჯელა, იმ გარემოებაზე თითქოს აქციონერთა სააღრიცხვო დღეს არ იყვნენ აქციონერები. კასატორი აღნიშნავს, რომ აქციონერთა მოწვევა მოხდა 10 ივლისს აღრიცხული აქციონერებიდან, ყველა 1%-ზე მეტი აქციონერი მოწვეული იყო დაზღვეული ფოსტით. ამასთან, უშუალოდ 2014 წლის 02 აგვისტოს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელმა რეგისტრატორმა წარმოადგინა აქციონერთა სია 10 ივლისს მდგომარეობით და აღრიცხა აქციონერები. ფაქტიურად, გამოცხადებული მდგომარეობით ხმის უფლებით და გამოცხადებულ აქციონერთა რაოდენობა აღემატებოდა 51%-ს. რაც საკმარისი იყო გადაწყვეტილების მისაღებად.

34. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ იმსჯელა სს-ის აქციონერთა კრების მოწვევასთან დაკავშირებით. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ ფაქტიურად შეცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილების ძირითადი საფუძველი იყო 2014 წლის 02 აგვისტოს აქციონერთა კრების მოწვევა არაუფლებამოსილი პირის მიერ და სწორედ ამ საფუძველს ემყარებოდა აქციონერთა 02.08.2014 წლის კრების ოქმის და 14.08.2014 სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების ბათილობა.

35. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად გამოყენა და განმარტა სსკ-ის 50-ე და 54-ე მუხლები. კასატორის მითითებით, გაუგებარია რატომ მიიჩნია სასამართლომ 65,6% აქციონერთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბათილად, ისეთ გარემოებებზე მითითებით, რომელსაც არსებითი გავლენა არ შეეძლო მოეხდინა გადაწყვეტილების მიღებაზე.

36. კასატორის მოსაზრებით, არ არსებობდა 2014 წლის 14 აგვისტოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმის ბათილობის საფუძველი. ასევე, არ არსებობდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 31.10.2014 წლის №14107556/3 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2018 წლის 18 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამონმებლად, ხოლო 2018 წლის 22 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა და-საშვებად.

38. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გა-საჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასა-ციო საჩივრის საფუძვლები და მიზნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნანილობრივ და სარჩელი უნდა დარჩეს გა-ნუხილველად შემდეგი გარემოებების გამო:

39. გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოში აღძრულია აღია-რებითი მოთხოვნა, რომელიც ა) სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 27 ივნისის ოქმის; ბ) სს-ის აქციონერთა საერთო კრების 2014 წლის 02 აგვისტოს №1 ოქმის; გ) სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 02 აგვისტოს №1 ოქმის და 2014 წლის 14 აგვისტოს №2 ოქმის ბათილად ცნობასა და დ) საჯარო რეესტრის ეროვნული საა-გენტოს 2014 წლის 31 ოქტომბრის NB14107556/3 გადაწყვეტილე-ბის ბათილად ცნობაში მდგომარეობს (იხ., ამ განჩინების პ-8) ვიდ-რე საკასაციო პალატა წარმოდგენილ საკასაციო პრეტენზიათა და-საბუთებულობას შეამონმებდეს, პირველ რიგში, უნდა შემონმდეს აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობების არსებობა.

40. საკასაციო პალატის ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს სსსკ-ის [სსკ-ის 178.1 „ლ“; 186-ე და 180-ე მუხლებიდან და დამ-კვიდრებულია სასამართლო პრაქტიკით, რომლის შესაბამისად, აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი დასა-ბუთებულობის, საკითხის შემონმება სამართლის საკითხია და აქე-დან გამომდინარე, სასამართლო პროცესის მონაწილე მხარის პრე-ტენზიის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნ-და შეამონმოს სარჩელის დასაშვებობა საქმისწარმოების ნებისმი-ერ ეტაპზე (იხ., სუსგ №ას-91-91-2018, 31 ივლისი, 2018 წელი, პ-15). ასეთ დროს, პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: აქვს მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ? უზრუნველყოფს მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას? (იქვე.).

41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გან-ჩინებაში, იხ., №ას-121-117-2016, 17 მარტი, 2016 წელი, აღინიშნა, რომ „ვიდრე საქმის განმხილველი სასამართლო სარჩელის საფუძ-ვლიანობას შეამონმებს, მნიშვნელოვანაა, შეფასდეს, აქვს თუ არა მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ და უზრუნველყოფს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას“.

42. განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ვლინ-

დებოდა საპროცესო სამართლის ნორმების არსებითი დარღვევა, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ისე დატოვა ძალაში, რომ არ იმსჯელა, რამდენად დასაშვები იყო სარჩელი, რომლითაც ა) სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 27 ივნისის ოქმის; ბ) სს-ის აქციონერთა საერთო კრების 2014 წლის 02 აგვისტოს №1 ოქმის; გ) სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 02 აგვისტოს №1 ოქმის და 2014 წლის 14 აგვისტოს №2 ოქმის ბათილად ცნობასა და დ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 ოქტომბრის NB14107556/3 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა იყო მოთხოვნილი (იხ., ამ განჩინების პ-8), რითაც დაირღვა სსს-ის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნები.

43. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, „აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმსა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, ნარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ“ (ციტ: სუსგ №ას-91-91-2018, 31 ივლისი, 2018 წელი, პ-16).

44. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (საქართველოს უზნაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02.03.2017წ; შეადარეთ ასევე, სუსგ-ებს: №ას-437-409-17 29.09.17, №ას-916-857-17 12.09.17, №ას-302-285-17, 16.06.17, №ას-244-232-17 19.05.17 №ას-937-887-2015, 10.11.2015წ.; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-869-819-2015, 11.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; №ას-323-308, 2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.6.2016წ; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.).

45. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის სახეებად დაყოფას (მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი) პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია და უზრუნველყოფს პირის კანო-

ნით დაცული უფლებისა და ინტერესების სასამართლო წესით დაცვას. როგორც წესი, მოსარჩელის ინტერესი განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის მიღწევას უკავშირდება (მაგ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ქონების დაბრუნება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ზიანის ანაზღაურება და ა.შ), როგორიც მხოლოდ მიკუთვნებითი სარჩელით მიღწევა და ასეთ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია, რადგანაც, პროცესის ეკონომიკის პრინციპიდან გამომდინარე, დარღვეული უფლების აღდგენასა და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას პირზე ერთი და არა რამდენიმე სარჩელის აღძვრის გზით უნდა მიაღწიოს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღიარებითი სარჩელის დაკამაყოფილებას მოსარჩელისათვის მისთვის სასარგებლობის შედეგი უნდა მოჰკონდეს და მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის საჭიროება აღარ უნდა არსებობდეს.

46. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ აღძრული აღიარებითი სარჩელის დასაშვებობას პროცესუალურად გამორიცხავს ის გარემოებას, რომ მოსარჩელის მიერ არაა დასაბუთებული, იურიდიულად სასარგებლო რა შედეგს განაპირობებს მისთვის ამ გარიგებათა (საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმები – იხ., ამ განჩინების პპ-8, 11) და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ იკვეთება ის იურიდიული ინტერესი (სსკ-ის 180-ე მუხლი), როგორიც მოსარჩელეს ამ მოთხოვნათა მიმართ აქვს.

47. იურიდიული ინტერესის ცნებაში იგულისხმება ის მატერიალურსამართლებრივი უფლება, რომლის დაცვასაც უზრუნველყოფს აღიარებითი სარჩელი. მოსარჩელის მიერ ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნა გამართლებული იქნებოდა, თუკი მოსარჩელე დაადასტურებდა, რომ სადაცო გარიგებათა (საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმები – იხ., ამ განჩინების პპ-8, 11) და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობით იგი გარკვეული იურიდიული ინტერესის დაკამაყოფილებას შეძლებდა და და სამართლებრივად გაიუმჯობესებდა მდგომარეობას.

48. საქმის მასალებიდან და სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი-დან ირკვევა, რომ გარიგებათა ბათილად ცნობის იურიდიულ ინტერესად მოსარჩელე მიიჩნევს სს-ის მართვის განხორციელებას მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილი პირების მიერ. ამასთან, სს-ის მართვაში კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, აქტიური მონაწილეობის მიღების სურვილს (იხ., ამ განჩინების პპ-8, 11).

49. საკასაციო პალატის მოსაზრებით მოსარჩელის მიერ მითითებული იურიდიული ინტერესი (ს.ფ. 226 – პ-3.2.18) არ პასუხობს

სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნებს. ამ ნორმის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა ყოფილიყო აღინიშნული სსსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი („სსსკ-ის 180-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელი შემდეგი კრიტიკულმანი: а) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ნარმობობილი დავის გამო ირღვევა... შდრ. სუსგ №ას-838-802-2014, 19.03.2015.).

50. განსაზიდველ შემთხვევაში, მოსარჩელის ერთ-ერთ არგუმენტად დასახელდა, რომ 2014 წლის 02 აგვისტოს ჩატარდა სს-ის საერთო კრება გენერალური დირექტორის ზ. გ-ის ინიციატივით. ზ. გ-ის გენერალური დირექტორობის თანამდებობაზე დანიშვნას საფუძვლად დაედო სს-ის 2012 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომელიც ბათილად იქნა ცხობილი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 14 ივლისის განჩინებით. აღნიშნული კი, მოსარჩელის განმარტებით სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ საერთო კრება მოიწვია არაუფლებამოსილმა პირმა. არაუფლებამოსილი პირის მიერ მოწვეულ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები კი იურიდიული ძალის არმქონედ უნდა მიჩნეულიყო (იხ., ამ განჩინების პ-20. ა), ხოლო მოთხოვნის იურიდიულ ინტერესად, დასახელდა სს-ის კანონიერ მართვა განხეორციელებინათ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს (იხ., ამ განჩინების პ-8, აგრეთვე. ს.ფ. 226-პ-3.2.18). სააპელაციო სასამართლოს განჩინებით მოსარჩელის მიერ მითითებული არგუმენტი დირექტორის არაუფლებამოსილების კუთხით, უარყოფილი იქნა (იხ., სააპელაციო სასამართლოს განჩინების პ-4.9). ვინაიდან განჩინება მოსარჩელის მიერ არ გასაჩივრებულა და სააპელაციო სასამართლოს ამ არგუმენტზე საკასაციო პრეტენზია არ ვრცელდება, აღნიშნული საკითხი არ არის საკასაციო საჩივრის ფარგლებში განსაზიდველი, თუმცა, მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესის არარსებობის მიზნებისათვის სარჩელის დასაშეგებობის შემოწმების ფარგლებში სააპელაციო სასამართლოს დასაბუთების აღნიშნულ ნაწილს საკასაციო პალატა ყურადღებას მაინც მიაქცევს და მიიჩნევს, რომ მოსარჩელის ინ-

ტერესი, რომ სს-ის კანონიერ მართვა განეხორციელებინათ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს, რის გამოც, ბათილად საცნობი იყო სარჩელში მითითებული (იხ., ამ განჩინების პ-8) ყველა გარიგება და საჯარო რეესტრის ჩანაწერი, დაუსაბუთებელია და გასაზიარებელია კასასტორის არგუმენტი, რომ სასამართლომ 65,6% აქციონერთა კურების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბათილად, ისეთ გარემოებებზე მითითებით ცნო, რომელსაც არსებითი გავლენა არ შეეძლო მოეხდინა გადაწყვეტილების მიღებაზე. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით მოსარჩელის მიერ სარჩელში დასახელებული ინტერესი უნდა შეფასდეს მხარის სუბიექტურ ინტერესად, რომელსაც არავითარი მატერიალურ-სამართლებრივი სარგებლის მოტანა მოსარჩელისათვის არ შეუძლია.

51. იმავდროულად, საკასასაციო პალატა კასასტორის ყურადღებას გაამახვილებს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპულ კონვენციაზე, რომლის მე-6 მუხლით რეგულირებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის აღნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და თავის თავში არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყება (შდრ. სუსგ №ას-302-285-2017, 16.06.2017). ნიშანდობლივია, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადაწყვეტილების მიღება არასაემარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების აღსრულების გარეშე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აღინიშნა გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობა. გადაწყვეტილებაში „აპოსტოლი საქართველოს ნინააღმდეგ“, რომელიც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას ეხება, განიმარტა, რომ გადაწყვეტილების აღსრულების უფლება, „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილია მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის (Apostol v. Georgia; §37; ასევე იხ. Hornsby v. Greece, §40). ამასთან, საქმეზე შპს „იზა და მაკრახიძე“ საქართველოს წინააღმდეგ ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესუ-

ლი გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარე-ალური იქნებოდა, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდის, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პრეცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრეცედენტთა შორის იხ. Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40) (ციტ: სუსგ №ას-964-899-2017, 23 თებერვალი, 2018 წელი, პ-15.4.3).

52. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის სასარგებლოდ დავის გადაწყვეტის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი მოსარჩელის-თვის უფლების მიმიჯურებელი ვერ გახდება. რაც იმას ნიშნავს, რომ განსახილვები აღიარებითი სარჩელი სსსკ-ის 180-ე მუხლით დადგენილ სავალდებულო პირობას სარჩელის იურიდიული ინტერესის კრიტერიუმის (როგორიცაა: а) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტილების საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაქმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა) არსებობის შესახებ არ აკმაყოფილებს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო დაესაბუთებინა აღიარებითი მოთხოვნის მიმართ მისი ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა, როგორც აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღებისა და განხილვის აუცილებელი წინაპირობა [სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი].

53. საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების (რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება) გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც სარჩელი განუხილველად უნდა დარჩენილიყო საქმისნარმოების პირველივე ეტაპზე. შესაბამისად, მიღებული განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

54. იმავდროულად, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამარ-

თლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უპრუნდება მის მიერ შეტანილი დოკუმენტები. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის ნარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). მთავარი სხდომის დანიშვნამდე სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი, ხოლო საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი მოსარჩელეს არ დაუბრუნდება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოხმობილი ნორმა მითითებითი ხსიათისაა და მასში ამავე კოდექსის 275-ე მუხლის წინაპირობების შემოწმებაზეა საუბარი, თუმცა, ეს უკანასკნელი ნორმაც არ შეიცავს სარჩელის განუხილველად დატოვების ამომწურავ ჩამონათვალს, რის გამოც, დასაშვების საპროცესო ანალოგიის პრინციპის გამოყენება (სსკ-ის მე-7 მუხლი) იმ შემთხვევისათვის, როდესაც სახეზე გვაქვს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა (იხ. სუსგ №ას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი; №ას-551-522-2015, 14 აგვისტო, 2015 წელი). მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც აღიარებითი სარჩელი არ აკმაყოფილებს სსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, იგი განუხილველად უნდა იქნას დატოვებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ც ყ ვ ი ს :

1. სს „ტ. ქ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 მარტის განჩინება და ქუთაისის

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება;

3. ა. ა-ის სარჩელი დარჩეს განუხილველად;

4. კასატორ სს „ტ. ქ-ს“ უკან დაუბრუნდეს ა. ბ-ის მიერ 2018 წლის 27 აპრილს საგადასახადო დავალება N5002 გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის შინაარსი

აღიარებითი სარჩელი

გადაწყვეტილება საქართველოს სახალისი

№ას-782-782-2018

12 სექტემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: კრების ოქმის ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

1. ი. ე-მ (შემდეგში: მოსარჩელე ან აპელანტი ან კასატორი) სარჩელით მიმართა სასამართლოს გ. შ-ვილისა (შემდეგში: პირველი მოპასუხე) და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა-ის სახლის“ (შედეგში: მეორე მოპასუხე ან ამხანაგობა ან ბმა) მიმართ, რომლითაც მოითხოვა 2009 წლის 22 აპრილის ამხანაგობის კრების ოქმის №3-ის ბათილად ცნობა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 05.04.2017წ. გადაწყვეტილებით სარჩელი 2009 წლის 22 აპრილის ამხანაგობის კრების ოქმი №3-ის ბათილად ცნობის თაობაზე უარყოფილი იქნა. სარჩელის უარყოფას საფუძვლად დაედო აღიარებითი სარჩელის აღძვრისადმი მოსარჩელის იურიდიული ინ-

ტერესის არარსებობა [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 180-ე მუხლი].

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოდეგის 05.04.2017ნ. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ, იმ საფუძვლით, რომ მას, როგორც ბმა-ს წევრს საკუთრებაში გააჩნდა ბმა-ს ქონება და აქედან გამომდინარე, გააჩნდა იურიდიული ინტერესი სადაც გაეხადა პირველი მოპასუხისათვის, როგორც ბმა-ს არაწევრი პირისათვის სარდაფის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ბმა-ს კრების ოქმი (იხ., სააპელაციო საჩივარის საფუძვლები).

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 7 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი უარყოფილი იქნა. უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

5. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6. 2009 წლის 22 აპრილის ბმა-ს №38 კრების ოქმის საფუძველზე, რომელსაც ესწრებოდა ამხანაგობის წევრთა 2/3-ზე მეტი, პირველ მოპასუხეს დაუდასტურდა ინდივიდუალურ საკუთრებაში სარდაფის ფლობის ფაქტი, რის საფუძველზეც, პირველი მოპასუხე საჯარო რეესტრში აღირიცხა უძრავი ქონების მდებარე: პ-ის გამზ. №2-ში (ყოფილი გ-იას ქ. №2) (შემდეგში: სადაც მისამართზე მდებარე უძრავი ქონება) 9.27 კვ.მ მესაკუთრედ (ს/კ №...).

7. მხარეებს შორის სადაც არ გამხდარა, რომ უძრავი ქონების თავდაპირველ მფლობელს წარმოადგენდა მოსარჩელის მამა, ამ უკანასკნელის გერს კი – პირველი მოპასუხე. მოსარჩელის სახელზე ირიცხებოდა ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული სადაც მისამართზე მდებარე უძრავი ქონება, პინა 54-ში (ს/კ: ...), რომლის დღევანდელ მესაკუთრეს წარმოადგენს მოსარჩელე. უფლების დამდგენი დოკუმენტია უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი: 27/06/2014წ.

8. 2009 წლის 22 აპრილს, მაშინ როდესაც ამხანაგობაში პირველ მოპასუხეს საკუთრებაში გადასცა 9.27 კვ.მ ფართის სარდაფი, მოსარჩელე არ წარმოადგენდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრს. მოსარჩელე ამხანაგობის წევრი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოიპოვა საკუთრების უფლება ამხანაგობაში არსებულ უძრავ ქონებაზე, კერძოდ, მისი ამხანაგობის წევრობა უკავშირდება 27/06/2014 წელს.

9. სააპელაციო პალატამ ხაზი გაუსვა აღიარებითი სარჩელის აღდერის შემთხვევაში, საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს შორის სარჩელის იურიდიული ინტერესის მითი-

თების სავალდებულოობას.

10. იმავდროულად, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ თუკი სარჩელის დასაშვებობის შემონმების ეტაპზე არსებული ვარაუდი აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობის თაობაზე ვერ დადასტურდებოდა, აღნიშნული სარჩელის დაკმაყოფილებაზე არსებითად უარის საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო ანუ, აღიარებითი მოთხოვნის მიმართ იურიდიული ინტერესის არარსებობის შესაბამისი დასაბუთება უნდა ასახულიყო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

11. განსახილველ საქმეში, სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლია სადაცო კრების ოქმის ბათილობის მიმართ მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობის საკითხი და დადგენილად მიიჩნია შემდეგი:

12. ამხანაგობის კუთვნილი 9.27 კვ.მ სარდაფის პირველი მოპასუხისათვის გადაცემის მომენტისათვის, პირველი მოპასუხე არ ნარმოადგენდა ამხანაგობის წევრს.

13. ზემოაღნიშნული გარემოება კი, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) მე-4 მუხლის შესაბამისად გამორიცხავდა მისთვის (ამხანაგობის არაწევრი პირისთვის) მრავალბინიანი სახლის სამუშაოები სათავსოების (სარდაფები, სხვენები და სხვა) მფლობელობის დადასტურების შესაძლებლობას.

14. ამასთან, საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მოსარჩელეს საკუთრების უფლება (ამხანაგობის წევრობა) სადაცო მისამართზე მდებარე ბინა 54-ზე გადაეცა 2014 წლის 27 ივნისს ზ. ფისგან (შემდეგში: თავდაპირველი მესაკუთრე), თავად კი, ბმა-ს წევრი გახდა 1995 წელს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

15. უდაცოა, რომ სადაცო მისამართზე მდებარე ბ. 54-ის პირვანდელ მესაკუთრეს ნარმოადგენდა მოსარჩელის მამა ნ. ე. (შემდეგში: მოსარჩელის მამა). საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელის მამას საკუთრების უფლება სადაცო მისამართზე წარმოეშვა პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის შესაბამისად მის საკუთრებაში ირიცხებოდა მთელი საცხოვრებელი სახლის 57/5422 ნაწილი, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა თავდაპირველ მესაკუთრეს.

16. გარდა ზემოაღნიშნულისა, საქმის მასალებში წარმოდგენილი თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექ. აღრიცხვის არქივიდან წარმოდგენილი ჯამური ცნობა – დახასიათების შესაბამისად თავდაპირველ მესაკუთრეზე აღრიცხული იყო მითითებულ მისამართზე მხოლოდ საცხოვრებელი ფართის წილი 57/5422, ხოლო

სხვა ფართზე, მათ შორის, სარდაფის ინდ. საკუთრებაზე მითითება არ არის.

17. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი სადაც კრების ოქმის ბათილობის მოთხოვნის მიმართ იარსებებდა იმ შემთხვევაში, თუ საქმის მასალებით დადასტურდებოდა მისი ან სადაც მისამართზე საცხოვრებელი ფართის (ბინის) წინა მესაკუთრეთა უფლება სადაც 9.27 კვ.მ სარდაფზე, ან 9.27 კვ.მ სარდაფის მფლობელობის ფაქტობრივი გარემოებები, რაც მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დასტურდება.

18. შესაბამისად, სარჩელში მითითება მასზედ, რომ „ბინას ეკუთვნის სარდაფი და ბინის მესაკუთრე ავტომატურად ხდება სარდაფის მესაკუთრეც“ საქმის მასალებით დადასტურებული არ არის, რაც გამორიცხავს ამხანაგობის სადაც კრების ოქმის ბათილობის მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობას.

19. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩინო აპელაციმა.

20. კასატორის განმარტებით, თავდაპირველი მესაკუთრისაგან – 2014 წლის 27 ივნისს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელეს საკუთრებაში გადაეცა უძრავი ქონება მდებარე ქ. თ-ი, პ-ის გამზ. №2, ბინა 54 ს.კ. ... (იხ. დანართი ამნაწერილი საჯარო რეესტრიდან). 2015 წლის 30 ნოემბერს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივის ცნობა დახასიათების №2... (ცნობა-დახასიათება მომზადებულია 06.05.2011 წლის მდგომარეობით, იხ. დანართი) საფუძველზე მისთვის ცნობილი გახდა, რომ 2009 წლის 22 აპრილის №38 კრების ოქმის საფუძველზე პირველ მოპასუხეს, როგორც ამხანაგობის წევრს, უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა ბმა-ს კუთვნილი სარდაფი 9.27 კვ.მ. ს.კ.... ამასთან, დადგენილია და სადაც არ არის ის ფაქტი რომ პირველი მოპასუხე არ არის და არც არასოდეს ყოფილა ბმა-ს წევრი. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივის ცნობა დახასიათების (№2...) საფუძველზე დგინდება, რომ იგი არ არის და არც არასოდეს ყოფილა ბმა-ს წევრი, მას არ გააჩნია საკუთრების უფლებით რეგისტრირებული საცხოვრებელი სადგომი ან რაიმე სხვა ტიპის ფართი ამ ამხანაგობაში და შესაბამისად, მისთვის როგორც ამხანაგობის წევრისათვის, ამხანაგობის მიერ რაიმეს გადაცემა საკუთრების უფლებით ან ინდივიდუალური საკუთრების უფლების დადასტურება შეუძლებელია.

21. ამასთან დადგენილია, რომ პირველი მოპასუხე არის ამხანაგობის წევრი და ქონება საკუთრებაში გადაეცა ამხანაგობის წევრის თავდაპირველი მესაკუთრისაგან. ზემოაღნიშნულიდან გამომ

დინარე კასატორს, როგორც ამხანაგობის წევრს აქვს იურიდიული ინტერესი იდავოს იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი მოპასუ- ხისათვის სარდაფის გადაცემა იყო უკანონო.

22. სპეციალური კანონის 4(2) მუხლის შესაბამისად, ბინათმე- საკუთრეთა ამხანაგობის წევრები კრებაზე აფიქსირებენ ბინათ- მესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა მიერ მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსების (სარდაფები, სხვენები და ა.შ.) მფლობე- ლობის ამ კანონის ძალაში შესვლის დროს არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას და ხმათა 2/3-ით იღებენ გადაწყვეტილებას, რომ- ლის თაობაზედაც დგება შესაბამისი ოქმი, თუ წესდებით არ განი- საზღვრება განსხვავებული კვორუმი. მრავალბინიანი სახლის სა- მეურნეო სათავსებზე (სარდაფები, სხვენები და ა.შ.) საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად ბინათმესა- კუთრეთა ამხანაგობის წევრმა უნდა წარმოადგინოს ბინათმესა- კუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების მიერ შედგენილი ოქმი და ნახაზი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სამეურნეო სათავ- სის ადგილმდებარეობის დადგენა. მოცემულ შემთხვევაში, პირ- ველი მოპასუხე არ ყოფილა და არ არის ბმა-ს წევრი, რის გამოც, მისთვის რაიმე ფართის საკუთრების უფლებით გადაცემაზე მსჯე- ლობის უფლებამოსილება არ ჰქონდა ამხანაგობის წევრთა საერ- თო კრებას. განსაკუთრებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კრების ოქმის მიხედვით დადასტურდა ამხანაგობის არაწე- რი სუბიექტის მიერ ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების ფლობის ფაქტი. აღნიშნულ გარემოებას დაეთანხმა საა- პელაციო სასამართლო, რომელმაც გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ბმა-ს კუთვნილი 9.27 კვ.მ სარდაფის პირველი მოპასუხისათ- ვის გადაცემის მომენტისათვის, პირველი მოპასუხე არ წარმოად- გენდა ამხანაგობის წევრს, რაც პალატის მოსაზრებით, სპეციალუ- რი კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად გამორიცხავდა მისთვის (ამ- ხანაგობის არაწერი პირისთვის) მრავალბინიანი სახლის სამეურ- ნეო სათავსოების (სარდაფები, სხვენები და სხვა) მფლობელობის დადასტურების შესაძლებლობას. შესაბამისად, სასამართლო ყვე- ლა ფაქტობრივი გარემოება გაიზიარა, თუმცა, საჩივრის დაკემაყო- ფილებაზე უარი იმ მოტივით განაცხადა, რომ არ იკვეთებოდა მო- სარჩელის იურიდიული ინტერესი, რაც უმართებულოა. ამხანაგო- ბის ყველა წევრია უფლებამოსილი მოითხოვოს ამხანაგობის ქმე- დების ბათილად ცნობა მხოლოდ იმ პერიოდის შემდგომ, რაც გახ- და ამხანაგობის წევრი. კასატორი აღნიშნავს, რომ იგი ამხანაგო- ბის წევრია. დამხმარე სათავსო და ფართი წარმოადგენს ამხანაგო- ბის საკუთრებას. მოსარჩელეს კი, აქვს უფლებამოსილება სადაც იქმის ბათილობის შემთხვევაში, მოიპოვოს საკუთრების უფლება

აღნიშნულ ფართზე.

სამოტივაციო ნაწილი:

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2018 წლის 14 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივა-რი მიღებულ იქნა ნარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2018 წლის 06 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

23. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გა-საჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასა-ციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნანილობრივ და სარჩელი უნდა დარჩეს გა-ნუხილველად შემდეგი გარემოებების გამო:

24. გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოში აღძრულია აღია-რებითი მოთხოვნა, რომელიც ბმა-ს 2009 წლის 22 აპრილის ამხანა-გობის კრების №3 ოქმის ბათილად ცნობაში მდგომარეობს (იხ., ამ განჩინების პ-1), ვიდრე საკასაციო პალატა ნარმოდგენილ საკასა-ციო პრეტენზიათა დასაბუთებულობას შეამოწმებდეს, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წი-ნაპირობების არსებობა.

25. საკასაციო პალატის ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს სსსკ-ის 178.1 „ლ“; 186-ე და 180-ე მუხლებიდან და დამკვიდრებუ-ლია სასამართლო პრაქტიკით, რომლის შესაბამისად, აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი დასაბუთებულო-ბის, საკითხის შემოწმება სამართლის საკითხია და აქედან გამომ-დინარე, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის პრეტენზიის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწ-მოს სარჩელის დასაშვებობა საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე (იხ., სუსგ №ას-91-91-2018, 31 ივლისი, 2018 წელი, პ-15). ასეთ დროს, პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: აქვს მოსარჩელეს ნამდვილი იუ-რიდიული ინტერესი დავის შიმართ? უზრუნველყოფს მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას? (იქვე.).

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გან-ჩინებაში, (იხ., №ას-121-117-2016, 17 მარტი, 2016 წელი), აღინიშ-ნა, რომ „ვიდრე საქმის განმხილველი სასამართლო სარჩელის სა-ფუძვლიანობას შეამოწმებს, მნიშვნელოვანია, შეფასდეს, აქვს თუ არა მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ და უზრუნველყოფს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას“.

27. განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ვლინ-

დებოდა საპროცესო სამართლის ნორმების არსებითი დარღვევა, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გა-დაწყვეტილება ისე დატოვა ძალაში, რომ არ იმსჯელა, რამდენად დასაშვები იყო სარჩელი, რომლითაც ბმა-ს 2009 წლის 22 აპრილის ამხანაგობის კრების №3 ოქმის ბათილად ცნობა იყო მოთხოვნილი (იხ., ამ განჩინების პ-1, 24), რითაც დაირღვა სსსკ-ის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნები.

28. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, „ალიარებითი მოთხოვ-ნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათი-ლად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მი-კუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, ნარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს, „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ“ (ციტ: სუსგ №ას-91-91-2018, 31 ივლისი, 2018 წელი, პ-16).

29. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, ალიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურ-თიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იუ-რიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებე-ლია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (სა-ქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტი-ლება საქმეზე №ას-664-635-2016, 02.03.2017წ; შეადარეთ ასევე, სუსგ-ებს: №ას-437-409-17 29.09.17, №-ას-916-857-17 12.09.17, №ას-302-285-17, 16.06.17, №ას-244-232-17 19.05.17 №ას-937-887-2015, 10.11.2015წ.; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-869-819-2015, 11.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; №ას-323-308, 2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.6.2016წ; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.).

30. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის სახეე-ბად დაყოფას (მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და ალიარებითი) პრაქ-ტიკული მნიშვნელობა გააჩნია და უზრუნველყოფს პირის კანო-ნით დაცული უფლებისა და ინტერესების სასამართლო წესით დაც-ვას. როგორც წესი, მოსარჩელის ინტერესი განსაზღვრული სამარ-თლებრივი შედეგის მიღწევას უკავშირდება (მაგ. ხელშეკრულე-ბით წაკისრი ვალდებულების შესრულება, ქონების დაბრუნება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ზიანის ანაზღაურება და

ა.შ), რომელიც მხოლოდ მიკუთვნებითი სარჩელით მიიღწევა და ასეთ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია, რადგანაც, საპროცესო ეკონომიკის პრინციპიდან გამომდინარე, დარღვეული უფლების აღდგენასა და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას პირმა ერთი და არა რამდენიმე სარჩელის აღძვრის გზით უნდა მიაღწიოს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღიარებითი სარჩელის დაკამაყოფილებას მოსარჩელისათვის მისთვის სასარგებლო შედეგი უნდა მოჰქონდეს და მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის საჭიროება აღარ უნდა არსებობდეს.

31. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი ადგენს ამხანაგობის მიერ წევრთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ ქონებაზე ინდივიდუალური საკუთრების დადასტურების წესს და კანონი მოითხოვს ამხანაგობის კრებაზე თანამესაკუთრეთა მხრიდან ნების გამოვლენას. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის კონტექსტში კრების გადაწყვეტილების, როგორც მრავალმხრივი გარიგების ნამდვილობის დადგენისათვის უნდა შემოწმდეს ისეთი საკითხები, როგორიცაა კრებაზე კვორუმის არსებობა, წევრთა მოწვევა და სხვა, თუმცა შემოწმება იმისა, ბათილია თუ არა გარიგება, დამოკიდებულია პრეტენზიის მქონე პირის იურიდიული ინტერესის არსებობაზე, ანუ აღიარებითი სარჩელის ბედი განპირობებული უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით (იხ., სუსგ №ას-440-448-2017, 9 ივნისი, 2017 წელი პ-1.5.1).

32. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ აღძრული აღიარებითი სარჩელის დასაშვებობას პროცესუალურად გამორიცხავს ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ არაა დასაბუთებული, იურიდიულად სასარგებლო რა შედეგს განაპირობებს მისთვის სადავო კრების ოქმის (იხ., ამ განჩინების პპ-1) ბათილად ცნობა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ იკვეთება ის იურიდიული ინტერესი (სსსკ-ის 180-ე მუხლი), რომელიც მოსარჩელეს ამ მოთხოვნათა მიმართ შეიძლება გააჩნდეს.

33. განსახილველ შემთხვევაში, ბმა-ს კრების ოქმის, რომლის ბათილობაც აქვს მოსარჩელეს მოთხოვნილი, შეეხება ინდივიდუალურ საკუთრებაში სარდაფის ფლობის ფაქტის დადასტურებას, რაც შემდგომში, საფუძლად დაედო ამავე ფართის საჯარო რეესტრში პირის (პირველი მოპასუხე) საკუთრების უფლებით აღრიცხვას.

34. ბმა-ს კრების სადავო გადაწყვეტილება მიღებულია ამხანაგობის წევრთა 2/3-ზე მეტის მხარდაჭერით (იხ., სადავო კრების ოქმი), რაც იმას ნიშნავს, რომ ამგვარი გადაწყვეტის მიზნებისათვის ამხანაგობის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის მხარდა-

ჭერა სპეციალური კანონით აუცილებელი არაა [სპეციალური კანონის 4(2) მუხლი].

35. საკასაციო პალატა სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე (იხ., ამ განჩინების პ-1), ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ მოსარჩელის პრეტენზია ეხება მხოლოდ ბმა-ს კრების ოქმის ბათოლად ცნობასა და არ მოიცავს კრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას იმ დასაბუთებით, რომ აღდგენილიყო 9.27 კვ.მ სარდაფის სადაცო ფართზე ბმა-ს წევრთა საერთო საკუთრება, რითაც მოპასუხისათვის უკანონოდ (სპეციალური კანონით დადგენილი წესის უგულებელყოფით) გადაცემული სადაცო ფართი ამხანაგობას დაუბრუნდება თანასაკუთრებაში, რაც მის იურიდიულ ინტერესზე მიუთითებს [სპეციალური კანონის 5.3 და მ-8 მუხლი] (შდრ: სუსგ №ას-486-454-2017, 31 იანვარი, 2018 წელი. პ-18). ხოლო, თუკი მოსარჩელეს, როგორც ბმა-ს ერთ-ერთ ინდივიდუალურ მესაკუთრეს პრეტენზია გააჩნდა საერთო სარგებლობაში არსებულ 9.27 კვ.მ სარდაფის ფართის ფაქტობრივ მფლობელობაზე, მას შეეძლო მოეხდინა საკუთარი უფლების იმგვარად რეალიზაცია, რომ მისი მოთხოვნა მიმართული ყოფილიყო ფართზე ამგვარი მფლობელობის დადასტურებისკენ. ამ შემთხვევაში, სარჩელი სპეციალური კანონით განსაზღვრული წინაპირობების არსებობასა და შესატყვის გარემოებებზე უნდა ყოფილიყო აგებული [სპეციალური კანონის 4 (2) მუხლი].

36. მოცემულ შემთხვევაში, სადაცო კრების ოქმების ბათილად ცნობა მოსარჩელის დარღვეული უფლების აღდგენის წინაპირობა ვერ გახდება, ვინაიდან, სარჩელით არ არის მოთხოვნილი რაიმეს მიკუთვნება ან შესრულება, ხოლო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია (სსსკ-ის 248-ე მუხლი) (შდრ: სუსგ №ას-486-454-2017, 31 იანვარი, 2018 წელი. პ-18.2).

37. აქედან გამომდინარე, სარჩელი დაუსაბუთებელია და საქმისნარმოების პირველივე ეტაპზე განუხილველად უნდა დარჩენილიყო, რადგან მოსარჩელე არ უთითებს შატერიალურსამართლებრივ უფლებაზე, რომლის დაცვასაც უნდა უზრუნველყოფდეს აღიარებითი სარჩელი. ამდენად, სარჩელი არ პასუხობს დასაშვებობის კრიტერიუმს (სსსკ-ის 180-ე მუხლი).

38. საკასაციო პალატის მოსაზრებით მოსარჩელის მიერ მითითებული იურიდიული ინტერესი არ პასუხობს სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნებს. ამ ნორმის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა ყოფილიყო აღინიშნული სსსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი („სსსკ-ის 180-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს აღიარებითი სარჩელის

იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელი შემდეგი კრიტერიუმები:
ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა
უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რე-
ალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის
გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწ-
ყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებო-
დეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა
ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც
მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირ-
ღვევა (შდრ. სუსგ №ას-838-802-2014, 19.03.2015წ.).

39. იმავდროულად, საკასაციო პალატა კასატორის ყურადღე-
ბას გაამახვილებს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა
დაცვის“ ევროპულ კონვენციაზე, რომლის მე-6 მუხლით რეგული-
რებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის აღ-
ნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის
თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და თავის თავში
არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამარ-
თლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთვის მიანიშნებს იმა-
ზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა ატარებ-
დეს ფორმალურ ხასიათს, არამედ, სამართალწარმოების მიზანი
დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვაზეა ორიენ-
ტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომ-
ნურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის
სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ
მოჰყვება (შდრ. სუსგ №ას-302-285-2017, 16.06.2017). ნიშანდობ-
ლივია, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე არი-
ენტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადაწყვეტილე-
ბის მიღება არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადაწ-
ყვეტილების აღსრულების გარეშე. ადამიანის უფლებათა ევროპუ-
ლი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აღინიშნა გადაწყვე-
ტილების აღსრულების მნიშვნელობა. გადაწყვეტილებაში „აპოს-
ტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც კანონიერ ძალაში შე-
სული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას ეხე-
ბა, განიმარტა, რომ გადაწყვეტილების აღსრულების უფლება, „სა-
სამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილია მე-6 მუხლის პირვე-
ლი პუნქტის მიზნებისთვის (Apostol v. Georgia; §37; ასევე იხ. Hornsby
v. Greece, §40). ამასთან, საქმეზე შპს „იზა და მაკრახიძე“ საქართვე-
ლოს წინააღმდეგ ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ „სამართლი-
ანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გა-
დაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური
იქნებოდა, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული სამარ-

თლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრეცედენტთა შორის იხ. Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40) (ციტ: სუსგ №ას-964-899-2017, 23 თებერვალი, 2018 წელი, პ-15.4.3).

40. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის სასარგებლოდ დავის გადაწყვეტის მატერიალურსამართლებრივი შედეგი მოსარჩელის-თვის უფლების მიმნიჭებელი ვერ გახდება. რაც იმას ნიშნავს, რომ განსახილველი აღიარებითი სარჩელი სსსკ-ის 180-ე მუხლით დაგენილ სავალდებულო პირობას სარჩელის იურიდიული ინტერესის კრიტერიუმის (როგორიცაა: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო სამუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა) არსებობის შესახებ არ აკმაყოფილებს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო დაესაბუთებინა აღიარებითი მოთხოვნის მიმართ მისი ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა, როგორც აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღებისა და განხილვის აუცილებელი წინაპირობა [სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი].

41. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების (რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება) გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც სარჩელი განუხილველად უნდა დარჩენილიყო საქმისნარმოების პირველივე ეტაპზე. შესაბამისად, მიღებული განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

42. იმავდროულად, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. შე-

საპამისად, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი დოკუმენტები. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). მთავარი სხდომის დანიშვნამდე სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი, ხოლო საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი მოსარჩელეს არ დაუბრუნდება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოხმობილი ნორმა მითითებითი ხასიათისა და მასში ამავე კოდექსის 275-ე მუხლის წინაპირობების შემონმებაზეა საუბარი, თუმცა, ეს უკანასკნელი ნორმაც არ შეიცავს სარჩელის განუხილველად დატოვების ამონმურავ ჩამონათვალს, რის გამოც, დასაშვებია საპროცესო ანალოგიის პრინციპის გამოყენება (სსსკ-ის მე-7 მუხლი) იმ შემთხვევისათვის, როდესაც სახეზე გვაქვს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა (იხ. სუსგ №ეას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი; №ეას-551-522-2015, 14 აგვისტო, 2015 წელი).

43. მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც აღიარებითი სარჩელი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, იგი განუხილველად უნდა იქნას დატოვებული.

44. კასატორს უკან დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ც ყ ვ ი ს :

1. ი. ე-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 7 თებერვლის განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის

2017 წლის 05 აპრილის გადაწყვეტილება;

3. ი. ე-ს სარჩელი დარჩეს განუხილველად;

4. კასატორ ი. ე-ს უკან დაუბრუნდეს 2018 წლის 25 მაისის საგადასახადო დავალება №0 გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (300 ლარი) 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის შინაარსი

აღიარებითი სარჩელი

განხილვა საქართველოს სახელით

№ას-596-596-2018

4 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ხელფასის მიღების უფლების არარსებობის აღიარება და ავტომანქანის ექსპლოატაციის უფლების არარსებობის აღიარება

აღნერილობითი ნაწილი:

1. შპს „ბ-ის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი მოპასუხე, პირველი მოწინააღმდეგე მხარე, საწარმო, საზოგადოება ან კომპანია) პარტნიორები არიან: თ. (20%) (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი მოსარჩელე, პირველი აპელანტი ან კასატორი), ნ. (17%) (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე მოსარჩელე ან მეორე აპელანტი; პირველი და მეორე მოსარჩელე ერთობლივად მოხსენიებული, როგორც მოსარჩელები ან აპელანტები) და ი. (20%) (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორ მეორე მოპასუხე, მეორე მოწინააღმდეგე მხარე ან დირექტორი) ნ-ები, ასევე, ნ. ს-ძე (23%) (შემდეგში ტექსტში მოხ-

სენიებული, როგორც მესამე მოპასუხე ან მესამე მოწინააღმდეგი მხარე) და თ. ს-ძე (20%) (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეოთხე მოპასუხე ან მეოთხე მოწინააღმდეგე მხარე). მოსარჩელები ჯამში სანარმოს 37% ნილის, ხოლო მოპასუხეები (ნ. ს-ძე, თ. ს-ძე, ი. ნ-ი) 63% ნილის მესაკუთრები არიან.

2. მეორე მოპასუხე (დირექტორი) კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ცნობის მიხედვით, კომპანიის სახელზე ირიცხება ავტომანქანა „ტიონტა ლუნდკურუზერი“, LC 200, სახელმწიფო ნომრით (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ავტომანქანა).

4. 2016 წლის 20 აპრილს მოსარჩელეებმა სარჩელი აღძრეს მოპასუხეთა წინააღმდეგ, 2014 წლის 22 სექტემბრიდან კომპანიის დირექტორის ხელფასის მიღების უფლებისა და სანარმოს დირექტორის მიერ 2014 წლის აგვისტოში შეძენილი ავტომანქანის შემდგომში ექსპლოატაციის უფლების არარსებობის აღიარების მოთხოვნით. მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ სანარმოს პარტნიორთა 2014 წლის 20 სექტემბრის კრების გადაწყვეტილებისა და იმავე წლის 22 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე, გასხვისდა საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეტანილი ქონება. სანარმოს შემოსავლის წყაროს სწორედ აღნიშნული უძრავი ქონების გაქირავებით მიღებული თანხები წარმოადგენდა, შესაბამისად, ვინაიდან საზოგადოებას აღარ გააჩნდა რაიმე შემოსავალი, დირექტორის ხელფასის არსებობა, ასევე, ამ უკანასკნელის მიერ 2014 წლის აგვისტოში კომპანიის სახსრებით შეძენილი ავტომანქანის შემდგომში ექსპლოატაცია, სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული.

5. მოპასუხეებმა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და ავტომანქანის შემდგომში ექსპლუატაციის უფლების არარსებობის აღიარების მოთხოვნასთან დაკავშირებით განმარტეს, რომ კომპანიას არ შეუჩერებია ეკონომიკური აქტივობა. მეორე მოპასუხე, როგორც სანარმოს დირექტორი, სადავო ავტომანქანით გადაადგილდებოდა მხოლოდ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, ვინაიდან კომპანიამ თბილისის ზღვის მშენებლობასთან დაკავშირებით საკმაოდ მასშტაბური პროექტი განახორციელა, მომავალ საქმიან პარტნიორებთან მნიშვნელოვანი იყო სანარმოს რეპუტაცია და იმიჯი. ამ თვალსაზრისით, კომპანიისათვის მომგებიანი არ იქნებოდა საქმიან შეხვედრაზე მისი დირექტორის ავტომანქანის გარეშე გამოცხადება. ამასთან, სანარმოს პქონდა სხვა გადასაწყვეტი საკითხები, რომელიც

მოითხოვდა სხვადასხვა ტერიტორიაზე დირექტორის ინტენსიურ გადაადგილებას.

6. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; 2014 წლის 22 სექტემბრიდან აღიარებულ იქნა კომპანიის დირექტორის მიერ ხელფასის სახით 15 000 ლარის მიღების უფლების არარსებობა; მოსარჩელეთა მოთხოვნა დირექტორისათვის საწარმოს სახელზე რიცხული ავტომანქანის ექსპლოატაციის უფლების არარსებობის აღიარების თაობაზე, უარყოფილ იქნა. სასამართლომ დავის მოსახელი-გებლად „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი, მე-2, მე-3, მე-9 და მე-15 მუხლები, ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 115-ე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 180-ე მუხლი გამოიყენა.

7. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრება მხარეებმა. მოსარჩელეებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხეებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში უარყოფა მოითხოვეს.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 7 მარტის განჩინებით, სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

8.1. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადაც სატრანსპორტო საშუალების ძირითად დანიშნულებას საწარმოს დირექტორისა და მისი პარტნიორების გადაადგილება წარმოადგენდა. მოსარჩელეებმა ვერ დაადასტურეს ის გარემოება, რომ ადგილი ჰქონდა „კორპორატიული ფორმალობების“ დაცველობას, ანუ პარტნიორისა და საწარმოს ქონების აღრევას. პალატამ განმარტა, რომ საწარმოს დირექტორის მოვალეობებს შერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი – ერთგულების მოვალეობაა. იგი უკრძალავს დირექტორს თანამდებობის გამოყენებას პირადი სარგებლის მიღების მიზნით. ერთგულების მოვალეობის დარღვევად ჩაითვლება, თუკი დირექტორი კორპორაციის ქონებას ან ინფორმაციას კორპორაციის მიზნების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს, მაგალითად, ქონების გამოყენება პირადი სარგებლის მიზნით. გარდა ამისა, არსებობს გამონაკლისებიც, კერძოდ, ამგვარი სარგებლობა ნებადართულია, თუკი აღნიშნული შედის კორპორაციის ინტერესებში, ამ სარგებლობისაგან კორპორაციას არ მიუღია ზარალი, ანდა სარგებლობის სანაცვლოდ, მან მიიღო ადეკვატური სარგებელი;

8.2. სააპელაციო პალატის დასკვნებით, საქმეში წარმოდგენი-

ლი არ ყოფილა რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა დირექტორის მიერ საწარმოს კუთხით ავტომობილის კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ ექსპლოატაციას. პალატის მოსაზრებით, უდავო იყო, რომ მოპასუხე კომპანია ჩაბმული იყო სხვადასხვა სასამართლო დავაში, რაც მოითხოვდა დირექტორის შესაბამის ჩართულობას, გარდა ამისა, საწარმოს შეძენილი ჰქონდა უძრავი ქონება, რომელთა ექსპლოატაციის მიზნითაც მომზადებული იყო შესაბამისი პროექტები, თუმცა დავის განხილვის დროისათვის მათი რეალიზაცია ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეთა აპელირება, რომ საწარმოს უძრავი ქონების გაყიდვის შემდეგ, არც სადავო ავტომობილის გამოყენების საფუძველი არსებობდა, უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკავშირდებულიყო.

9. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა პირველმა მოსარჩელემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის სრულად დაკავშირდების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

9.1. სასამართლო არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, კერძოდ, სწორედ მოპასუხეს უნდა დაემტკიცებინა, რომ სადავო ძვირადლირებულ ავტომანქანას დირექტორი საქმიანი შეხვედრების დროს იყენებდა და ასეთი შეხვედრები საზოგადოებისათვის სასიკეთო იყო;

9.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს, რომ საწარმო ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს, მას არ აქვს ოფისი, არ ჰყავს თანამშრომლები, შესაბამისად, ცხადია რომ დირექტორი სადავო ავტომანქანას მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის იყენებს, რითაც მოძრავი ქონების ღირებულება ყოველდღიური ცვეთის გათვალისწინებით, მცირდება, გარდა ამისა, მისი საექსპლოატაციო საფასურის ანაზღაურება (საწვავი, ტექნიკური მომსახურება) საზოგადოების ხარჯზე ხდება.

10. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ასევე მოპასუხებმა, თუმცა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 მაისის განჩინებით, მათი საკასაციო საჩივრი, ხარვეზის შეუესებლობის გამო, დარჩა განუხილველად.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 3 ივლისს განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო საჩივრი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე გან-

ხილულია დაუშვებელი სარჩელი. შესაბამისად, როგორც გასაჩივრებული განჩინება, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხეთა წინააღმდეგ აღძრული მოთხოვნის – ავტომანქანის ექსპლოატაციის უფლების არარსებობის აღიარების ნაწილში უნდა გაუქმდეს და სარჩელი ამ ნაწილში განუხილველად უნდა დარჩეს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

12. მიუხედავად იმისა, რომ განსახილველ შემთხვევაში ვლინდებოდა საპროცესო სამართლის ნორმების არსებითი დარღვევა, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ისე დატოვა ძალაში, რომ არ იმსჯელა, რამდენად დასაშვები იყო სარჩელი, რომლითაც კომპანიის კუთვნილი ავტომანქანის შემდგომში ექსპლოატაციის უფლების არარსებობის აღიარება იყო მოთხოვნილი. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი დასაბუთებულობის საკითხის შემოწმება სამართლის საკითხია და, აქედან გამომდინარე, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის პრეტკრიზის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობა საქმისნარმოების ნებისმიერ ეტაპზე. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, შამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადაცობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, ნარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესსა არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის ნარდეგენა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02.03.2017; შეადარება ასევე, სუსგა-ებს: №ას-437-409-17 29.09.17, №-ას-916-857-17, 12.09.17, №ას-302-285-17, 16.06.17, №ას-244-232-17 19.05.17 №ას-937-887-2015, 10.11.2015.; № ას-17-14-2015, 01.07.2015.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015.; №ას-869-819-2015, 11.12.2015.; №ას-773-730-2015, 08.09.2015.; №ას-181-174-2016, 06.05.2016.; №ას-1025-967-2015, 23.12.2015.; №ას-323-308-2016, 03.06.2016.;

№ას-407-390-2016, 10.6.2016წ; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.).

13. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის სახეებად დაყოფას (მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი) პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია და უზრუნველყოფს პირის კანონით დაცული უფლებისა და ინტერესების სასამართლო წესით დაცვას. როგორც წესი, მოსარჩელის ინტერესი განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის მიღწევას უკავშირდება (მაგ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ქონების დაბრუნება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ზიანის ანაზღაურება და ა.შ.) რომელიც მხოლოდ მიკუთვნებითი სარჩელით შიღღება და ასეთ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია, რადგანაც, პროცესის ეკონომიკის პრინციპით გამომდინარე, დარღვეული უფლების აღდგენასა და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას პირმა ერთი და არა რამდენიმე სარჩელის აღძვრის გზით უნდა მიაღწიოს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღიარებითი სარჩელის დაქმაყოფილებას მოსარჩელისათვის მისთვის სასამარგბლო შედეგი უნდა მოჰქონდეს და მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის საჭიროება აღარ უნდა არსებობდეს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ აღძრული აღიარებითი სარჩელი არ იყო დასაშვები, რადგანაც ის არ პასუხობდა სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნებს. ამ ნორმის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა ყოფილიყო აღნიშნული სსსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი („სსსკ-ის 180-ე მუხლის შინაარსითან გამომდინარეობს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელი შემდეგი კრიტერიუმები: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობას განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა (მდრ.სუსგ №ას-838-802-2014, 19.03.2015წ.).

14. პალატა მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, დირექტორის მიერ სანარმოს კუთვნილი ავტომანქანის შემდგომში ექსპლოატაციის უფლების არარსებობის აღიარება მოსარჩელე მხარეების დარღვეული უფლების აღდგენის წინაპირობა ვერ გახდება, ვინაიდან, მათ მიერ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში არ არის მოთხოვნილი რაიმეს მიკუთვნება ან შესრულება, ხოლო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით მიაკუთვნოს მხა-

რეს ის, რაც მას არ მოუთხოვია (სსსკ-ის 248-ე მუხლი). პალატა განმარტავს, რომ სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნული სახის მოთხოვნა არის მიკუთვნებითი მოთხოვნისათვის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი და არა ცალკე დამოუკიდებელი სარჩელი. როგორც უკვე აღინიშნა, განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის დასაშვებობის პროცესუალური წინაპირობები არ არსებობდა, თუმცა სასარჩელო მოთხოვნა დასაშვები რომც ყოფილიყო, არც სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურსამართლებრივი წინაპირობები იკვეთებოდა, ვინაიდან, ამ სახის მოთხოვნას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, არ არსებობს ნორმა, რომელიც ასეთ სამართლებრივ შედეგს ითვალისწინებს.

15. აქვე, საკასაციო პალატა კასატორის ყურადღებას გაამახვილებს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპულ კონვენციაზე, რომლის მე-6 მუხლით რეგულირებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის აღნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პროცედენტული პრაქტიკის თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და თავის თავში არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხილურიციელება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება (შდრ. სუსგ №ას-302-285-2017, 16.06.2017).

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯდარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81); Boldea v. Romania, პარ. 30). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დეტალურად აღარ იმსჯელებს განსახილველი საკასაციო საჩივრის იმ პრეტენზიებზე, რომელთაც საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნიათ.

17. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი განუხილველად უნდა დარჩენილიყო საქმისნარმოების პირველივე ეტაპზე. შესაბამისად, მოპასუხეთა წინააღმდეგ აღძრული მოთ-

ხოვნის – ავტომანქანის ექსპლოატაციის უფლების არარსებობის აღიარების ნაწილში არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების (რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება) გაუქმების სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“!“ ქვეპუნტით გათვალისწინებული აპსოლუტური საფუძვლი, რამდენადაც მიღებული განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

18. ამასთან, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან, საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის 399-ე, 372-ე მუხლებითა და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაჰპარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი დოკუმენტები. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის ნარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმისნარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). მთავარი სხდომის დანიშვნაშდე სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი, ხოლო საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟი მოსარჩელეს არ დაუბრუნდება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოხმობილი ნორმა მითითებითი ხასიათისაა და მასში ამავე კოდექსის 275-ე მუხლის ნინაპირობების შემოწმებაზეა საუბარი, თუმცა, ეს უკანასკნელი ნორმაც არ შეიცავს სარჩელის განუხილველად დატოვების ამომწურავ ჩამონათვალს, რის გამოც, დასაშვებია საპროცესო ანალოგიის პრინციპის გამოყენება (სსსკ-ის მე-7 მუხლი) იმ შემთხვევისათვის, როდესაც იკვეთება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა (შდრ. სუსგ-ები №ას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი; №ას-551-522-2015, 14 აგვისტო, 2015 წელი).

19. ამრიგად, სსსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის განუხილველად დატოვების გამო, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 257.1, 264.3, 187.2, მუხლებით და

დაადგინა:

1. თ. 6-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 7 მარტის განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში და ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება;
3. თ. 6-ის სარჩელი დარჩეს განუხილველად შპს „ბ-ის“, ი. 6-ის, 6. ს-ძისა და თ. ს-ძის წინააღმდეგ აღძრული მოთხოვნის ავტომანქანის ექსპლოატაციის უფლების არარსებობის აღიარების ნაწილში;
4. თ. 6-ს (3/6) დაუბრუნდეს გ. თ-ძის (3/6) მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 (სამასი) ლარის (საგადახდო დავალება №12, გადახდის თარიღი 15.05.2018 6.) 70% – 210 (ორასათი) ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის შინაარსი

აღიარებითი სარჩელი

გადაცევატილება საქართველოს სახელით

№ას-1084-1004-2018

26 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ც. კ-მა (შემდეგში: მოსარჩელე ან აპელანტი ან კასატორი) სარჩელი აღძრა მოპასუხეების: ზ. ბ-ის (შემდეგში: პირველი მოპასუხე) და ნ. ო-ის (შემდეგში: მეორე მოპასუხე) მიმართ, რომლითაც მოითხოვა: მოპასუხებს შორის 2016 წლის 30 ნოემბერს ქობულეთის რაიონის, სოფელ ქვედა სამებაში, 5000,00 კვ.მ ფართის მინის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე №01/2 493,47 კვ.მ საერთო ფართზე გაფორმებული უძრავი ქონების (შემდეგში: ნასყიდობის საგანი) ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

2. მოთხოვნის იურიდიულ ინტერესად მოსარჩელემ დაასახელა მის სასარგებლოდ მოპასუხეებისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის აღსრულება.

3. მოსარჩელემ განმარტა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული აქვს თანხა, რომლის გადახდევინების მიზნით დაწყებული იძულებითი აღსრულება წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან მოვალეს საკუთრების უფლებით არ ერიცხებოდა ქონება და არც მატერიალური ფასეულობა გააჩნდა.

4. მოგვიანებით, მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ მოვალეებს ქობულეთში, სოფელ ქვედა სამებაში საკომლო ჩანაწერების მიხედვით ერიცხებოდათ 5000 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი. ვინაიდან, ისინი ნებაყოფლობით არ ახდენდნენ საკომლო ჩანაწერების შესაბამისად მათზე რიცხული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რე-

გისტრაციას, მოსარჩელის მიერ აღძრული სარჩელის საფუძველზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით კომლის წევრები, მათ შორის, პირველი მოპასუხე ცნობილი იქნენ კომლის სარგებლობაში არსებული ქონების 0.5 ჰა მინის ნაკვეთისა და მასზე არსებული საცხოვრებელი სახლის 2/5 ნაწილზე მესაკუთრედ და აღნიშნული ქონება დაექვემდებარა საჯარო რეესტრში მათ თანასაკუთრებად რეგისტრაციას. ასევე, ქონების დარჩენილ 3/5 ნაწილზე მესაკუთრებად ცნობილი იქნენ კომლის წევრები, მათ შორის, პირველი მოპასუხე. მოპასუხებზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის გადახდევინებისაგან თავის არიდების მიზნით, პირველმა მოპასუხემ 2016 წლის 30 ნოემბერს, საკუთრებად აღრიცხული უძრავი ქონება გაასხვისა მეორე მოპასუხეზე.

5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა.

6. სარჩელის უარყოფა ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააფუძნა შემდეგ დადგენილ გარემობებზე:

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის №1/ბ-1276-2007 განაჩენით, ასევე, საქართველოს უზენაასის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 13 ივნისის განჩინებით მ. ბ-ეს, ე. ბ-ეს და პირველ მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ ჩადენილი დანამაულის გამო, მორალური, ფიზიკური და მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრათ 253000 აშშ დოლარის გადახდა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 მაისის №2/1686-12 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა განსახილველ სამოქალაქო საქმეზე მოსარჩელის სარჩელი, რომლითაც მ., ე., მ., დ. ბ-ები და პირველი მოპასუხე ცნობილი იქნენ რ. ბ-ის კომლის სარგებლობაში არსებული 5000,00 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა 2/5 ნაწილზე მესაკუთრედ და აღნიშნული ქონება დაექვემდებარა საჯარო რეესტრში მათ თანასაკუთრებად რეგისტრაციას, ასევე, ქონების დარჩენილ 3/5-ზე ნაწილზე მ., დ. ბ-ები და პირველი მოპასუხე ცნობილი იქნენ მესაკუთრებად.

8. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 გადაწყვეტილებით საკომლო ქონებაზე მესაკუთრებად ცნობილი იყვნენ ამ განჩინების პ. 6-ში მითითებული პირები, აღნიშნულ ქონებაზე საჯარო რეესტრში 2015 წლის 26 ნოემბერს, პირველი მოპასუხის განცხადების საფუძველზე განხორციელდა მხოლოდ მისი საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

9. პირველ და მეორე მოპასუხეს შორის 2016 წლის 30 ნოემბერს გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ნასყიდობის საგანი (იხ., ამ განჩინების პ-1) აღირიცხა მეორე მოპასუხის საკუთრებად.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის №1/ბ-1276-2007 განაჩინით დაემაყოფილდა სამოქალაქო სარჩელიც. მასზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 13 ივნისის განჩინებით პირველ მოპასუხეს სხვებთან ერთად (სოლიდარულად) დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 253000 აშშ დოლარის ოდენობით. სისხლის სამართლის საქმიდან პირველი მოპასუხის მიმართ ცალკე წარმოებით იყო გამოყოფილი საქმე და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის №1/ბ-1276-2007 განაჩინის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება დამთავრებულია, პირველი მოპასუხის სხვა ქონების რეალიზაციის გზით 253000 აშშ დოლარის ანაზღაურება მოსარჩელეს მიღებული აქვს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 13 ივნისის განჩინების საფუძველზე სააღსრულებო ფურცელი არ არის გაცემული, ორივე საქმის თანახმად, ზიანი გამომდინარეობს პირველი მოპასუხისა და სხვების მიერ ერთობლივად მოსარჩელის მიმართ ერთი და იმავე დანამაულის ჩადენის ფაქტიდან, რაც დასტურდება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის განაჩინითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 13 ივნისის განჩინებით.

11. ბათუმის საქალაქო სასამართლომ იმსჯელა სარჩელის მიმართ მოსარჩელის მართლზომიერი იურიდიული ინტერესის არსებობაზე. ამ თვალსაზრისით, სასამართლომ ყურადღება მიაქცია მოსარჩელის მითითებაზე, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ქონება აღირიცხება პირველი მოპასუხის საკუთრებაში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 13 ივნისის განჩინების საფუძველზე დაკისრებული 253000 აშშ დოლარის გადახდა აღსრულდება.

12. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს არ გააჩნია განსახილველი დავის მიმართ დასაბუთებული და საფუძლიანი ინტერესი, რადგან დადგენილია, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურებულია.

13. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის უარყოფის თაობაზე მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო სა-

ჩივრით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2018 წლის 07 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

14. სააპელაციო საჩივარი დაეფუძნა აღსრულების ეროვნული ბიუროს 2016 წლის 28 მარტის №11004185-006/005 პასუხს, საიდანაც ირკვევა, რომ სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებულ №11004185 სააღსრულებო საქმეზე, რომელიც მიმდინარეობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემულ №1/ბ1276-2007 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ჯერ კიდევ, აღსრულება არ არის დამთავრებული და ამ სააღსრულებო წარმოების ფარგლებში მისი აღსრულების მიზნით დაყადაღებულია მოვალეების, მ, ბ-ის, ე. ბ-ისა (რომელიც ასევე წარმოადგენებს მოვალეებს როგორც საკომიტეტის ქონების თანამესაკუთრეები) და ა. ბ-ის საბანკო ანგარიშები. მითითებული პირები დღემდე რეგისტრირებული არიან აღსრულების ეროვნული ბიუროს მოვალეთა რეესტრში, რასაც ადასტურებს სააღსრულებო წარმოების დაუსრულებლობა. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად სისხლის სამართლის საქმიდან პირველი მოპასუხის და სხვათა მიმართ საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შესახებ გარემოება, რამდენადაც ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა.

15. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 7 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

16. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

17. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის №1/ბ-1276-2007 განაჩინით, ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 13 ივნისის განჩინებით მ. ბ-ეს, ე. ბ-ეს და პირველ მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამო, მორალური, ფიზიკური და მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრათ 253000 აშშ დოლარის გადახდა ანუ დადგენილია, რომ ზიანი, რაც დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მოსარჩელემ განიცადა, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტებით განისაზღვრა 253 000 აშშ დოლარით.

18. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ რამე სხვა სახის ზიანი პირველ მოპასუხეს, გარდა კანონიერ ძალაში შესული განაჩინით დადგენილი გარემოებებისა მოსარჩელისათვის არ მიუყენებია.

19. საქმეში წარმოდგენილია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2008 წლის 29 მაისს გაცემული სააღსრულებო ფურცე-

ლი, საქმეზე №1/ბ-263-2007წ, რომლის თანახმად, ჯ. ვ. სხვა პი-რებთან ერთად, სოლიდარულად, საქართველოს უზენაესი სასა-მართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 13 ივნისის განჩინების შესაბამისად, დაზარალებულ მოსარჩელებზე მიყენებული მორალური, ფიზიკური და მატერიალური ზიანის ასა-ნაზღაურებლად დაეკისრა 253 600 აშშ დოლარის ანაზღაურება.

20. დადგენილია, რომ აქარისა და გურიის სააღსრულებო ბიუ-როს აღმასრულებლის მიმართვის საფუძველზე სააღსრულებო ფურცელს №1/ბ-263-2007 – სააღსრულებო წარმოებისას მიენიჭა №A0061055.

21. დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სის-ხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 აპრილის განჩი-ნებით და მის საფუძველზე 2008 წლის 29 მაისს გაცემული სააღ-სრულებო ფურცლით განსაზღვრულ ვალდებულებებზე, რომლის თანახმად, ჯ. ვ. სხვა პირებთან სოლიდარულად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 13 ივნისის განჩინების შესაბამისად, დაზარალებული მოსარჩელისათვის მიყენებული მორალური, ფიზიკური და მატე-რიალური ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრა 253 600 აშშ დოლა-რის ანაზღაურება, ჯ. ვ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა მი-სი მეუღლე დ. ბ-ე და შეინდები ხ., მ., ხ. და გ. ვ-ები.

22. საქმეში წარმოდგენილია მოსარჩელის განცხადება, რომლი-თაც ეს უკანასკნელი მიმართავს აქარისა და გურიის სააღსრულე-ბო ბიუროს, რომელშიც აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია №A0061055 სააღსრულებო საქმე, რომლის მიხედვი-თაც კრედიტორია მოსარჩელე, ხოლო მოვალეა დ. ბ-ე და სხვა, გაც-ნობებთ, რომ მოვალეების მიერ დავალიანება გადახდილია სრუ-ლად. გთხოვთ შეწყვიტოთ იძულებითი აღსრულება“.

23. სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოსარჩელემ და მისმა წარმომადგენელმა სასამართლოს შეკით-ხვაზე განმარტეს, რომ თანხა 253600 დოლარის ოდენობით მოსარ-ჩელეს მიღებულა აქეს. მაშასადამე, სააპელაციო სასამართლომ მი-იჩნია, რომ მოსარჩელე არ უარყოფს, რომ მას თანხა სრულად აქეს მიღებული, მაგრამ მიიჩნევს, რომ რადგან სახეზეა რამდენიმე გა-ნაჩენი (მართალია ერთი და იგივე დანაშაულისათვის თუმცა სხვა-დასხვა პირთა მიმართ) ყველა მათგანი (განაჩენი) ცალ-ცალკე უნ-და დაექვემდებაროს აღსრულებას და უნდა მიიღოს იმდენი 253600 აშშ დოლარი, რამდენი განაჩენიცაა.

24. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თანხა, რომელიც სხვადასხვა განაჩენებით სოლიდარულად დაეკისრა რამდენიმე პირს, მათ შორის, პირველ მოპასუხეს აღსრულებულია და მოსარ-

ჩელეს ეს თანხა მიღებული აქვს.

25. დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, სა-აპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსამარჩელებს მოთხოვნის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესი არ გააჩნია. შესაბამისად, ქუთაი-სის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 7 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკა-ყოფილდა და უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე ბათუმის საქა-ლაქო სასამართლოს 2016 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნო-ბის მოთხოვნით არ დაკამაყოფილდა.

26. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრით გასაჩივრდა აპელანტის მიერ. აპელანტი მოითხოვს გასაჩივრებუ-ლი განჩინების გაუქმებას და სარჩელის დაკამყოფილებას.

27. კასატორი სადაცვოდ ხდის პირველი ინსტაციისა და სააპე-ლაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის მიხედვით, პირველი მოპასუხის და სხვების მიმართ ქუ-თაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 სექტემბრის №1/ ბ-1276-2007 განაჩენით და მასზე გაცემული სააღსრულებო ფურ-ცლის საფუძველზე წარმოებული სააღსრულებო საქმე დასრულე-ბულია პირველი მოპასუხისა და სხვა ქონებების რეალიზაციის გზით და ამის შედეგად ამოხაგება თანხა მოსარჩელეს მიღებული აქვს.

28. კასატორი მიუთითებს საქმის მასალებში წარმოდგენილ აღ-სრულების ეროვნული ბიუროს 2016 წლის 28 მარტის №11004185-006/005 პასუხშე, რომლის მიხედვით, სააღსრულებო ბიუროს წარ-მოებაში არსებულ №11004185 სააღსრულებო საქმეზე წარმოება ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული და მის ფარგლებში აღსრულე-ბის მიზნით დაყადაღებულია მოვალეების – მ. ბ-ის, ე. ბ-ის (რომ-ლებიც ასევე წარმოადგენენ მოვალეებს, როგორც საკომლო ქო-ნების თანამესაკუთრები, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით) და ა. ბ-ის საბანკო ანგარიშები. კასატორი ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დასახელებუ-ლი პირები დღემდე რეგისტრირებულნი არიან აღსრულების ეროვ-ნული ბიუროს მოვალეთა რეესტრში, რაც ასევე ადასტურებს სა-აღსრულებო წარმოების დაუსრულებლობას.

29. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სა-ქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალა-ტის 2006 წლის 13 ივნისის განაჩენით დაკისრებული ზიანის ანაზ-ლაურება პირველი მოპასუხის მიერ შესრულებულად ჩათვალა, თუმცა, აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ არსებობს.

30. კასატორი მიუთითებს მის მიერ აღსრულების ეროვნულ ბი-

უროში წარდგენილ განცხადებაზე და განმარტავს, რომ იგი დაკავშირებულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის მიერ გაცემულ №1/ბ-263-2007 სააღსრულებო ფურცლით მხოლოდ მოვალე ჯ. ვ-ის უფლებამონაცვლების (მემკვიდრების) მხრიდან ზიანის ანაზღაურებასთან და მას არავითარი კავშირი არ აქვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2006 წლის 13 ივნისის განაჩენით პირველი მოპასუხისათვის დაკისრებული ზიანის ანაზღაურების საკითხთან.

31. კასატიონი დამატებით მიუთითებს აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროში ამჟამად მიმდინარე №11004185 სააღსრულებო საქმეზე, რომელიც განსახილველ საქმესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია და იგი მიმდინარეობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემულ №1/ბ-1276-2007 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული სააღსრულებო წარმოება.

სამოტივაციო ნაწილი:

32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2017 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

33. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივარის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და სარჩელი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგი გარემოებების გამო:

34. გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოში აღძრულია აღიარებითი მოთხოვნა, რომელიც მოპასუხებს შორის 2016 წლის 30 ნოემბრს ქობულეთის რაიონის, სოფელ ქვედა სამებაში, 5000,00 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე №01/2 493,47 კვ.მ საერთო ფართზე გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაში მდგომარეობს, ვიდრე საკასაციო პალატა წარმოდგენილ საკასაციო პრეტენზიათა დასაბუთებულობას შეამოწმებდეს, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობების არსებობა.

35. საკასაციო პალატის ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს სსკ-ის 178.1 „ლ“; 186-ე და 180-ე მუხლებიდან და დამკვიდრებულია სასამართლო პრაქტიკით, რომლის შესაბამისად, აღიარებითი

სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი დასაბუთებულობის, საკითხის შემონმება სამართლის საკითხია და აქედან გამომდინარე, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის პრეტენზიის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამონ-მოს სარჩელის დასაშვებობა საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე (იხ., სუსგ №ას-91-91-2018, 31 ივლისი, 2018 წელი, პ-15). ასეთ დროს, პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: აქვს მოსარჩელეს ნამდვილი იუ-რიდიული ინტერესი დავის მიმართ? უზრუნველყოფს მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას? (იქვე.).

36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გან-ჩინებაში, იხ., №ას-121-117-2016, 17 მარტი, 2016 წელი, აღინიშნა, რომ „ვიდრე საქმის განმხილველი სასამართლო სარჩელის საფუძ-ვლიანობას შეამონმებს, მნიშვნელოვანია, შეფასდეს, აქვს თუ არა მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ და უზრუნველყოფს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას“.

37. განსახილებელ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ვლინ-დებოდა საპროცესო სამართლის ნორმების არსებითი დარღვევა, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გა-დაწყვეტილება ისე დატოვა ძალაში, რომ არ იმსჯელა, რამდენად დასაშვები იყო სარჩელი, რომლითაც ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა იყო მოთხოვნილი (იხ., ამ განჩინების პ-1, 24), რითაც დაირღვა სსსკ-ის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვ-ნები.

38. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, „აღიარებითი მოთხოვ-ნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათი-ლად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მი-კუთვნება, არამედ უფლების სადაცვობის აღმოფხვრა. ამ დროს, სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, ნარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ“ (ციტ: სუსგ №ას-91-91-2018, 31 ივლისი, 2018 წელი, პ-16).

39. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურ-თიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იუ-რიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებე-ლია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (სა-

ქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02.03.2017წ; შეადარეთ ასევე, სუსგ-ებს: №ას-437-409-17 29.09.17, №-ას-916-857-17 12.09.17, №ას-302-285-17, 16.06.17, №ას-244-232-17 19.05.17 №ას-937-887-2015, 10.11.2015წ.; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-869-819-2015, 11.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2056.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; №ას-323-308-2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.6.2016წ; № ას-375-359-2016, 17.06.2016წ.).

40. საკასაციონ სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის სახეებად დაყოფას (მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი) პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია და უზრუნველყოფს პირის კანონით დაცული უფლებისა და ინტერესების სასამართლო წესით დაცვას. როგორც წესი, მოსარჩელის ინტერესი განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის მიღწევას უკავშირდება (მაგ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ქონების დაბრუნება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ზიანის ანაზღაურება და ა.შ.), რომელიც მხოლოდ მიკუთვნებითი სარჩელით მიიღწევა და ასეთ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია, რადგანაც, საპროცესო ეკონომიკის პრინციპიდან გამომდინარე, დარღვეული უფლების აღდგენასა და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას პირმა ერთი და არა რამდენიმე სარჩელის აღძვრის გზით უნდა მიაღწიოს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღიარებითი სარჩელის დაკამაყოფილებას მოსარჩელისათვის მისთვის სასარგებლო შედეგი უნდა მოჰქმნდეს და მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის საჭიროება აღარ უნდა არსებობდეს.

41. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი ადგენს ამხანაგობის მიერ წევრთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ ქონებაზე ინდივიდუალური საკუთრების დადასტურების წესს და კანონი მოითხოვს ამხანაგობის ერებაზე თანამესაკუთრეთა მხრიდან ნების გამოვლენას. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის კონტექსტში კრების გადაწყვეტილების, როგორც მრავალმხრივი გარიგების ნამდვილობის დადგენისათვის უნდა შემოწმდეს ისეთი საკითხები, როგორიცაა კრებაზე კვორუმის არსებობა, წევრთა მოწვევა და სხვა, თუმცა შემოწმება იმისა, ბათილია თუ არა გარიგება, დამოკიდებულია პრეტენზიის მქონე პირს იურიდიული ინტერესის არსებობაზე, ანუ აღიარებითი სარჩელის ბედი განპირობებული უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით (იხ., სუსგ №ას-480-448-2017, 9 ივნისი, 2017 წელი, პ-1.5.1).

42. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ აღძრული აღია-

რებითი სარჩელის დასაშვებობას პროცესუალურად გამორიცხავს ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ არაა დასაბუთებული, იურიდიულად სასარგებლო რა შედეგს განაპირობებს მისთვის სადავო ნასყიდობის (იხ., ამ განჩინების პპ-1) ბათილად ცნობა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ იკვეთება ის იურიდიული ინტერესი (სსს-ის 180-ე მუხლი), რომელიც მოსარჩელეს ამ მოთხოვნათა მიმართ შეიძლება გააჩნდეს.

43. განსახილველ შემთხვევაში, ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის ბათილობაც აქვს მოსარჩელეს მოთხოვნილი დადებულია პირველ და მეორე მოპასუხეს შორის, რაც შემდგომში, საფუძვლად დაედო ნასყიდობის საგანზე პირველი მოპასუხის საკუთრების უფლების მეორე მოპასუხეზე გადასვლას, (პირველი მოპასუხე) საკუთრების უფლების მეორე მოპასუხის სახელზე აღრიცხვას. მოსარჩელის განმარტებით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული აქვს თანხა, რომლის გადახდევინების მიზნით დაწყებული იძულებითი აღსრულება წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან მოვალეს (პირველ მოპასუხეს) საკუთრების უფლებით არ ერიცხება ქონება და არც მატერიალური ფასეულობა გააჩნია.

44. საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქმეში წარმოდგენილია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2008 წლის 29 მაისს გაცემული სააღსრულებო ფურცელი, საქმეზე №1/ბ-263-2007წ, რომლის თანახმად, ჯ. ვ. სხვა პირებთან ერთად, სოლიდარულად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 13 ივნისის განჩინების შესაბამისად, დაზარალებულ მოსარჩელეზე მიყენებული მორალური, ფიზიკური და მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრა 253 600 აშშ დოლარის ანაზღაურება.

45. დადგენილია, რომ აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის მიმართვის საფუძველზე სააღსრულებო ფურცელს №1/ბ-263-2007 – სააღსრულებო წარმოებისას მიენიჭა №A0061055.

46. დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 აპრილის განჩინებით და მის საფუძველზე 2008 წლის 29 მაისს გაცემული სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრულ ვალდებულებებზე, რომლის თანახმად, ჯ. ვ. სხვა პირებთან სოლიდარულად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 13 ივნისის განჩინების შესაბამისად, დაზარალებული მოსარჩელისათვის მიყენებული მორალური, ფიზიკური და მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრა 253 600 აშშ დოლა-

რის ანაზღაურება, ჯ. ვ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა მი-
სი მეუღლე დ. ბ-ე და შვილები ხ., მ., ხ. და გ. ვ-ები.

47. საქმეში წარმოდგენილია მოსარჩელის განცხადება, რომლი-
თაც ეს უკანასკნელი მიმართავს აჭარისა და გურიის სააღსრულე-
ბო ბიუროს, რომელშიც აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო ბიუროს
წარმოებაშია №A0061055 სააღსრულებო საქმე, რომლის მიხედვი-
თაც კრედიტორია მოსარჩელე, ხოლო მოვალეა დ. ბ-ე და სხვა, გაც-
ნობებთ, რომ მოვალების მიერ დავალიანება გადახდილია სრუ-
ლად. გთხოვთ შენყვიტოთ იძულებითი აღსრულება“.

48. საკასაციო პალატა უურადღებას შიაქცევს სააპელაციო სა-
სამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოსარჩელისა და მისი
წარმომადგენლის განმარტებას, რომ თანხა 253600 დოლარის ოდე-
ნობით მოსარჩელეს მიღებული აქვს.

49. ამდენად, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასა-
მართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე არ უარყოფს
თანხის სრულად მიღებას, მაგრამ მიიჩნევს, რომ რადგან სახეზეა
რამდენიმე განაჩენი (მართალია ერთი და იგივე დანაშაულისათვის
თუმცა სხვადასხვა პირთა მიმართ) ყველა მათგანი (განაჩენი) ცალ-
ცალე უნდა დაექვემდებაროს აღსრულებას და უნდა მიიღოს იმ-
დენი 253600 აშშ დოლარი, რამდენი განაჩენიცაა.

50. ამ ვითარებაში, სრულიადა გასაზიარებელი სააპელაციო სა-
სამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ თანხა, რომელიც სხვა-
დასხვა განაჩენებით სოლიდარულად დაეკისრა რამდენიმე პირს,
მათ შორის, პირველ მოპასუხეს მოსარჩელეს მიღებული აქვს, ხო-
ლო კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებთ, რომ აღსრუ-
ლების ეროვნული ბიუროს 2016 წლის 28 მარტის №11004185-006/
005 პასუხის მიხედვით, სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსე-
ბულ №11004185 საქმეზე წარმოება ჯერ კიდევ არ არის დამთავ-
რებული და მის ფარგლებში აღსრულების მიზნით დაყადაღებუ-
ლია მოვალეების – მ. ბ-ის, ე. ბ-ის (რომელებიც ასევე წარმოადგენენ
მოვალეებს, როგორც საკომლო ქონების თანამესაკუთრეები, ბა-
თუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 მაისის გადაწყვეტი-
ლებით) და ა. ბ-ის საბანკო ანგარიშები, არ გააჩნია ვარგისი საპრო-
ცესო სამართლებრივი საფუძველი განსახილველ საქმეში აღძრუ-
ლი აღიარებით სარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობისათ-
ვის.

51. მაშასადამე, მატერიალურსამართლებრივი უფლება, რომ-
ლის დაცვასაც უნდა უზრუნველყოფდეს აღიარებითი სარჩელი,
განსახილველ შემთხვევაში, სახეზე არაა, რადგან მოსარჩელის მი-
ერ მითითებული ინტერესი, რაც პირველი მოპასუხეს მიმართ აღუს-
რულებელი სასამართლო აქტების აღსრულებას ისახავს მიზნად

პირველი მოპასუხის საკუთრებაში მატერიალური ფასეულობის (უძრავი ქონების) დაბრუნების გზით, სახეზე არაა. პირიქით, დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების პირველი მოპასუხის მიმართ აღსრულება (იხ., ამ განჩინების პპ: 19-24).

52. ამდენად, სარჩელი არ პასუხობს დასაშვებობის კრიტერიუმს (სსსკ-ის 180-ე მუხლი). სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა ყოფილიყო აღნიშნული სსსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი („სსსკ-ის 180-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარებობს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელი შემდეგი კრიტერიუმები: а) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაგმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილ დავის გამო ირღვევა... შედრ. სუსგ № ას-838-802-2014, 19.03.2015).

53. იმავდროულად, საკასაციო პალატა კასატორის ყურადღებას გაამახვილებს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპულ კონვენციაზე, რომლის მე-6 მუხლით რეგულირებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის აღნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და თავის თავში არ მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება (შედრ. სუსგ №ას-302-285-2017, 16.06.2017). ნიშანდობლივია, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადაწყვეტილების მიღება არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების აღსრულების გარეშე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აღინიშნა გადაწყვე-

ტილების აღსრულების მნიშვნელობა. გადაწყვეტილებაში „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას ეხება, განიმარტა, რომ გადაწყვეტილების აღსრულების უფლება, „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილია მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის (Apostol v. Georgia; §37; სუვე იბ. Hornsby v. Greece, §40). ამასთან, საქმეზე შპს „იზა და მაკრახიძე“ საქართველოს წინააღმდეგ ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ „სამართლი ანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრეცედენტთა შორის იბ. Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40) (ციტ: სუსგ №ას-964-899-2017, 23 თებერვალი, 2018 წელი, პ-15.4.3).

54. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის სასარგებლოდ დავის გადაწყვეტის მატერიალურსამართლებრივი შედეგი მოსარჩელის თვის უფლების მიმნიჭებელი ვერ გახდება. რაც იმას ნიშნავს, რომ განსახილველი აღიარებითი სარჩელი სსსკ-ის 180-ე მუხლით დადგენილ სავალდებულო პირობას სარჩელის იურიდიული ინტერესის კრიტერიუმის (როგორიცაა: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა) არსებობის შესახებ არ აკმაყოფილებს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო დაესაბუთებინა აღიარებითი მოთხოვნის მიმართ მისი ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა, როგორც აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღებისა და განხილვის აუცილებელი წინაპირობა [სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი].

55. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არსებობს სააპელაციო სა-

სამართლოს განჩინების (რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება) გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც სარჩელი განუხილველად უნდა დარჩენილიყო საქმისწარმოების პირველივე ეტაპზე. შესაბამისად, მიღებული განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძლიანობის შემონმება შეუძლებელია.

56. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან კანონის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს :

1. ც. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ქუთაისის სააპელაციო სამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 ივნისის განჩინება და ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება;
3. ც. კ-ის სარჩელი დარჩეს განუხილველად;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩევლის შინაარსი

აღიარებითი სარჩევლი

განერიცება საქართველოს სახელით

№ას-1230-1150-2017

13 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ვ. გასიტაშვილი

დავის საგანი: კრების ოქმის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მინისტრი) №01-54/კ ბრძანებით, ლ. ზ-ჩ-ძე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) 2014 წლის 23 იანვრიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სამინისტრო) ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე დაინიშნა.

2. სამენარმეო რეესტრის 2014 წლის 19 ნოემბრის ამონაწერის მიხედვით, შპს „ქ. თბილისის“ (შემდეგში ტექსტში ასევე მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, მონინაალმდეგე მხარე, პოლიკლინიკა ან შპს) პარტნიორებს, შემდეგი პირები ნარმოადგენენ: მოსარჩელე (11%), ნ. მ-ი (8%), ნ. ი-ძე (8%), ქ. ჭ-ძე (7%), ნ. ფ-ძე (6%), მ. კ-ძე (6%), ი. ხ-ი (5%), ქ. გ-ძე (4%), ნ. გ-ძე (3%), მ. მ-ი (2.75%), მ. კ-ძე (2%), ე. ნ-ი (2%), მ. პ-ძე (1.5%), მ. გ-ა (1%), მ. მ-ძე (1%), ი. მ-ძე (1%), ნ. კ-ძე (1%), ი. მ-ძე (1%), ც. ა-ძე (0.5%), ნ. ვ-ძე (3%), ქ. დ-ძე (0,25%), ნ. ფ-ი (0,25%) (შემდეგში ტექსტში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც მოპასუხები, მონინაალმდეგე მხარეები ან პარტნიორები) და სხვები. პოლიკლინიკის დირექტორია ნ. დ-ძე (შემდეგში ტექსტში ასევე მოხსენიებული, როგორც დირექტორი).

3. პოლიკლინიკის პარტნიორთა 2014 წლის 6 ნოემბრის კრების ოქმის მიხედვით, კრებას, რომელზედაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ცვლილების

შესახებ, დაესწრო პარტნიორთა 75.25% (სულ 21 პარტნიორი), მათ შორის – მოსარჩევე. გამოცხადებულმა პარტნიორებმა გადაწყვეტილებას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

4. სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის 2015 წლის 19 ივნისის დასკვნის მიხედვით, ფაქტების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსარჩევე, რომელიც საჯარო მოხელეს წარმოადგენდა, აგრძელებდა პოლიკლინიკის მართვაში მონაწილებას, რითაც ის არღვევდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 და 52-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს.

5. მინისტრის 2015 წლის 2 ივლისის ბრძანების საფუძველზე, მოსარჩევე იმავე წლის 3 ივლისიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. სამსახურიდან გათავისუფლებას საფუძვლად პოლიკლინიკის მართვაში მოსარჩელის მონაწილეობის გაგრძელება დაედო, რაც დასტურდებოდა პარტნიორთა 2014 წლის 6 ნოემბრის კრების ოქმით.

6. სამინისტროს 2015 წლის 4 აგვისტოს წერილის მიხედვით, მოსარჩევე 2014 წლის 6 ნოემბერს სამსახურიდან 17:59 საათზე გავიდა.

7. შპს „მ-ის“ ინფორმაციით, მოსარჩელის სატელეფონო ნომერზე შესული ზარების ამონანერის მიხედვით, 2014 წლის 6 ნოემბერს, 18:18 საათზე, მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებული სატელეფონო ნომრის მფლობელი იმყოფებოდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, 18:22 საათზე – ვაკეე-საბურთალოს რაიონში, ხოლო 18:51 საათზე – გლდანი-ნაძალადევის რაიონში.

8. 2015 წლის 14 აგვისტოს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხების ნინააღმდეგ და მოითხოვა პოლიკლინიკის პარტნიორთა 2014 წლის 6 ნოემბრის კრების ოქმის ბათოლად ცნობა. მოსარჩელის მტკიცებით, მას შემდეგ, რაც იგი საჯარო სამსახურში დასაქმდა, პოლიკლინიკის 11%-იანი წილი შვილს – გ. ჩ-ძეს (შემდეგში ტექსტში ასევე მოხსენიებული, როგორც მოსარჩელის შვილი ან მინდობილი პირი) გადასცა. აღნიშნულის შემდეგ, მოსარჩელეს შპს-ს მართვაში მონაწილეობა აღარ მიუღია, თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი სამინისტროში დაკავებული თანამდებობიდან იმ საფუძვლით გათავისუფლდა, რომ ეს უკანასკნელი, როგორც საჯარო მოსამსახურე სანარმოში მმართველობით საქმიანობას აგრძელებდა, რაც დასტურდებოდა პარტნიორთა 2014 წლის 6 ნოემბრის კრების ოქმით, სადაც აღნიშნული იყო, რომ მოსარჩელემ ხსენებულ კრებაში მონაწილეობა მიიღო. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ კრებას არც ის და არც მისი შვილი (მინდობილი პირი) არ დასწრებია, ამდენად, კრების ოქმი ბათოლად უნდა ყოფილიყო ცნობილი. მოსარჩე-

ლეგ მიუთითა, რომ ხსენებული ოქმის ბათილად ცნობას შედეგად მისი სამუშაოზე აღდგენა მოჰყვებოდა.

9. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს, მათ წარადგინეს როგორც მოთხოვნის გამომრიცხველი, ისე – მისი განხორციელების ხელის-შემშლელი (ხანდაზმულობის) შესაგებელი და განმარტეს, რომ მო-სარჩელე პოლიკლინიკის პარტნიორთა 2014 წლის 6 ნოემბრის კრე-ბას ნამდვილად დაქსწრო და მხარი დაუჭირა ნ.დ-ძის საზოგადოე-ბის დირექტორად დანიშვნას, შესაბამისად, სარჩელში აღწერილი გარემოებები სიმართლეს არ შეესაბამებოდა. განსახილველ შემ-თხვევაში, კრების ოქმის ბათილად ცნობსათვის არც მოსარჩელის იურიდიული ინტერესი იკვეთებოდა, ამასთან, სასარჩელო მოთხოვ-ნა უსაფუძვლო იყო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამოც.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ და-ვის მოსანესრიგებლად „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანო-ნის მე-5, მე-15, 47-ე, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, მე-4, 102-ე, 105-ე და 180-ე მუხ-ლები გამოიყენა.

11. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-რა მოსარჩელებ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის დაკმაყოფილე-ბის მოთხოვნით.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 4 მაისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12.1. სააპელაციო პალატის დასკვნებით, საქმეში წარმოდგენი-ლი კომპანია „მ-ის“ მიერ გაცემული სატელეფონო ნომრის ამონა-ნერის მიხედვით, მოსარჩელე 2014 წლის 6 ნოემბერს, 18:18 საათ-ზე, იმყოფებოდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ხოლო 18:51 საათზე დაფიქსირდა გლდანი-წაბურთალოს რაიონში. პალატამ აღნიშნა, რომ ვაკე-სა-ბურთალოს რაიონი მოიცავს დიდ დილომს, 2014 წლის 6 ნოემბერს პარტნიორთა კრება კი, სწორედ დიდ დილომში, ჩატარდა;

12.2. პალატამ განმარტა, რომ მოცემული დავის ფარგლებში და-სადგენი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მოსარჩე-ლის ახსნა-განმარტება და მოწმის ჩვენება, რომელიც არ იყო ერ-თმანეთის შესაბამისი არ წარმოადგენდა სანდო სამართლებრივი ლირებულების მქონე საკმარის მტკიცებულებას, რაც შეიძლებო-და სადაც ფაქტის დადგენის საფუძველი გამხდარიყო. პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის პოზიციების საწინააღმდეგოდ, მოპა-

სუხეების ახსნა-განმარტება თანმიმდევრული, ფაქტებთან თანხვედრაში და სარტყების იყო სასამართლოსთვის, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა მართებულად იქნა უარყოფილი;

12.3. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი პარტნიორთა 2014 წლის 6 ნოემბრის კრების ოქმის ბათოლად ცნობის თაობაზე დასაბუთებული არ იყო, ვინაიდან როგორც მოსარჩელე მიუთითებდა, მას არ გააჩნდა პრეტენზია ამ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ, უფრო მეტიც, მოსარჩელემ თავად შესთავაზა მოპასუხებს დირექტორის კანდიდატურა;

12.4. სააპელაციო პალატამ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ პუნქტზე მიუთითა და აღნიშნა, რომ პარტნიორთა ნილის მმართველის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში სავალდებულოა, განსახილველ შემთხვევაში კი, მოსარჩელის ნილის მმართველი სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული არ იყო.

13. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩინორა მოსარჩელემ, გასაჩინობული განჩინების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

13.1. როგორც „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, ასევე, პოლიკლინიკის წესდების 3.2. პუნქტით იმპერატიულად არის დადგენილი პარტნიორთა კრების მოწვევისა და გამართვის პროცედურები. კრების ორგანიზატორი ვალდებულია, უპირობოდ დაიცვას წესდებითა და კანონით დადგენილი პროცედურები. უდავოა, რომ, როდესაც პარტნიორი აცხადებს, რომ ის არ ყოფილა მიწვეული კრებაზე, ეს უკანასკნელი ფიზიკურად ვერ შეძლებს, სასამართლოს წარუდგინოს მითითებული გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. ამდენად, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ სწორედ მოპასუხების ვალდებულება იყო სასამართლოსთვის იმ მტკიცებულებების წარდგენა, რომლებითაც დადასტურდებოდა მოსარჩელის კრებაზე მოწვევისა და დასწრების ფაქტი;

13.2. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსარჩელე პარტნიორთა კრებას დაესწრებოდა, აღნიშნული კრების გადაწყვეტილება მაინც არ იქნებოდა ნამდვილი, ვინაიდან კანონითა და წესდებით უპირობოდა დადგენილი კრების გამართვის თაობაზე პარტნიორის კრების გამართვამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე ინფორმირების ვალდებულება, შეტყობინების განხორციელების წესი და დღის წესრიგის გაცნობის აუცილებლობა;

13.3. განსახილველი სარჩელის იურიდიული ინტერესი ისაა, რომ

2014 წლის 6 ნოემბრის კრების ოქმთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიას მის-ცემს საშუალებას, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებასთან დაკავშირებით მიღოს ობიექტური, დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილება;

13.4. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული სა-სამართლო პრაქტიკა, რომელიც შეეხება, როგორც პარტნიორის კრებაზე მოწვევის პროცედურული საკითხების დაცვის სავალდებულობას, ასევე, კრების ოქმის ბათილობის მოთხოვნისას, იურიდიული ინტერესის ნამდვილობას. საკასაციო სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში საერთო კრება წარმოადგენს სანარმოს მართვის უმაღლეს ორგანოს და მის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლება, პარტნიორის – როგორც სანარმოს დამფუძნებლის ძირითადი უფლებაა.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 დეკემბრის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე განხილულია დაუშვებელი სარჩელი, შესაბამისად, როგორც გასაჩივრებული განჩინება, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და სარჩელი განუხილველად უნდა დარჩეს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

15. მიუხედავად იმისა, რომ განსახილვები შემთხვევაში ვლინდებოდა საპროცესო სამართლის ნორმების არსებითი დარღვევა, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ისე დატოვა ძალაში, რომ არ იმსჯელა, რამდენად დასაშვები იყო სარჩელი, რომლითაც სადაც კრების ოქმის ბათილად ცნობა იყო მოთხოვნილი, რითაც დარღვეულ იქნა სსსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნები.

16. აღიარებით სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი დასაბუთებულობის საკითხის შემოწმება, სამართლის საკითხია და, აქედან გამომდინარე, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის პრეტენზის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობა საქმისნარმოების ნებისმიერ ეტაპზე. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი

მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიეუთვნება, არამედ უფლების სადაცობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, ნარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიეუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიეუთვნებითი მოთხოვნის ნარდეგნა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქებეზე №ას-664-635-2016, 02.03.2017წ; შეადარეთ ასევე, სუსგ-ებს: №ას-437-409-17 29.09.17, №-ას-916-857-17 12.09.17, №ას-302-285-17, 16.06.17, №ას-244-232-17 19.05.17 №ას-937-887-2015, 10.11.2015წ.; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-869-819-2015, 11.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; №ას-323-308-2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.6.2016წ; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ).

17. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის სახეებად დაყოფას (მიეუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი) პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია და უზრუნველყოფს პირის კანონით დაცული უფლებისა და ინტერესების სასამართლო წესით დაცვას. როგორც წესი, მოსარჩელის ინტერესი განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის მიღწევას უკავშირდება (მაგ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ქონების დაბრუნება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ზიანის ანაზღაურება და ა.შ.), რომელიც მხოლოდ მიეუთვნებითი სარჩელით მიიღწევა და ასეთ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის აღდვრა დაუშვებელია, რადგანაც, პროცესის ეკონომიკის პრინციპიდან გამომდინარე, დარღვეული უფლების აღდგენასა და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას პირმა ერთი და არა რამდენიმე სარჩელის აღძვრის გზით უნდა მიაღწიოს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებას მოსარჩელისათვის მისთვის სასამარგებლო შედეგი უნდა მოჰქონდეს და მიეუთვნებითი სარჩელის აღძვრის საჭიროება აღარ უნდა არსებობდეს. მოცემულ შემთხვევა-

ში, მოსარჩელის მიერ აღძრული აღიარებითი სარჩელი არ იყო და-საშვები, რადგანაც ის არ პასუხობდა სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნებს. ამ ნორმის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა ყოფილიყო აღნიშნული სსსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი (სსსკ-ის 180-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელი შემდეგი კრიტერიუმები: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა (შდრ.სუსგ №ას-838-802-2014, 19.03.2015წ.).

18. პალატა მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, პოლიკლინიკის პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა მოსარჩელე მხარის დარღვეული უფლების აღდგენის წინაპირობა ვერ გახდება, ვინაიდან, მის მიერ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში არ არის მოთხოვნილი რაიმეს მიკუთხება ან შესრულება, ხოლო სასამართლო არ არის უფლებამისილი, საკუთარი ინიციატივით მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია (სსსკ-ის 248-ე მუხლი). სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელი იყო. მაგალითობათვის, მოსარჩელეს სშკ-ის 38.8 მუხლის საფუძველზე შეეძლო, სამსახურში აღდგენა და სადაცო კრების ოქმის ბათილობა მოეთხოვა. თუმცა სხვა საკითხია, რამდენად წარმატებული იქნებოდა სარჩელი, რადგანაც ის დაკმაყოფილებადი იქნებოდა მითითებული ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი წინაპირობების (სამართლებრივი წინაპირობების) კანონით დადგენილი თანმიმდევრობით განხორციელებისა (შესრულების) და მოთხოვნის გამომრიცხველი, შემწყვეტი ან მისი განხორციელების ხელისშემშლელი გარემოებების არარსებობის შემთხვევაში.

19. აქვთ, საკასაციო პალატა კასატიკის ყურადღებას გაამახვილებს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპულ კონვენციაზე, რომლის მე-6 მუხლით რეგულირებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის აღნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და თავის თავში არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვე-

ტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება (შდრ. სუსგ №ას-302-285-2017, 16.06.2017).

20. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაეცემული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81); Boldea v. Romania, par. 30). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დეტალურად აღარ იმსჯელებს განსახილველი საკასაციო საჩივრის იმ პრეტენზიებზე, რომელთაც საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა არ გააჩინათ.

21. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ სარჩელი განუხილველად უნდა დარჩენილიყო საქმისწარმოების პირველივე ეტაპზე. შესაბამისად, არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების (რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება) გაუქმების სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც მიღებული განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

22. ამასთან, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან, საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის 399-ე, 372-ე მუხლებითა და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაპარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი დოკუმენტები. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმისწარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). მთავარი სხდომის დანიშვნამდე სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გა-

დახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი, ხოლო საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟი მოსარჩელეს არ დაუბრუნდება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოხმობილი ნორმა მითითებითი ხასიათისაა და მასში ამავე კოდექსის 275-ე მუხლის წინაპირობების შემოწმებაზეა საუბარი, თუმცა ეს უკანასკნელი ნორმაც არ შეიცავს სარჩელის განუხილველად დატოვების ამომწურავ ჩამონათვალს, რის გამოც, დასაშეგებია საპროცესო ანალოგიის პრინციპის გამოყენება (სსსკ-ის მე-7 მუხლი) იმ შემთხვევისათვის, როდესაც იკვეთება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა (შდრ.სუსგ-ები №ას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი; №ას-551-522-2015, 14 აგვისტო, 2015 წელი).

23. ამრიგად, რადგანაც, მოცემულ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, იგი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 187.2, 257.1, 264.3, 1991-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. ზ-ჩ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 4 მაისის განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება;
3. ლ. ზ-ჩ-ის სარჩელი დარჩეს განუხილველად;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის შინაარსი

აღიარებითი სარჩელი

გადაცევეფილება საქართველოს სახელით

№ას-1049-2018

16 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ე. გასიტაშვილი,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: კრების ოქმის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. რ. ქ-ემ (შემდეგში: მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა ბინათმესაკუთრეთა „ამხანაგობა №1...“-ის თავმჯდომარე ხ. ს-ის (შემდეგში: ბმა-ს თავმჯდომარე), ე. დ-ის (შემდეგში: პირველი მოპასუხე ან კასატორი), მ. დ-ის (შემდეგში: მეორე მოპასუხე ან კასატორი) და ზ. ხ-ვილის (შემდეგში: მესამე მოპასუხე ან კასატორი) მიმართ 2016 წლის 3 მარტის „ბმა 1...-ის“ №25 კრების ოქმის, 2016 წლის 4 მარტის „ბმა 1...“-ის №26 კრების ოქმისა და 2016 წლის 5 მარტს შედგენილ „ბმა 1...“-ის №27 კრების ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 180-ე მუხლი].

2. სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით ბმას თავმჯდომარემ ჩატარა კრება, რომელზედაც უნდა განხილულიყო ბმას საერთო ქონების (სხვენის) ფაქტობრივი ფლობის საკითხი და მითითებული ფართი ინდივიდუალურ საკუთრებაში უნდა გადასცემოდათ ბმას წევრებს. კრების ჩატარების შემდეგ შედგა ოქმები, რომლითაც უნდა მომხდარიყო შესაბამის პირზე ფართის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. მოსარჩელის მოსაზრებით, ბმას კრება ჩატარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დარღვევით, კერძოდ, მოსარჩელეს, როგორც ამხანაგობის წევრს და შესაბამისად, ბმას საერთო ქონებაზე ინდივიდუალური საკუთრების განსაზღვრის მოთხოვნის უფლების მქონე პირს, არ ეცნობა კანონით დადგენილი წესების შესაბამისად კრების ჩატარების შესახებ და არ მიეცა შესაძლებლობა ესარგებლა ხმის უფლებით. სხვენზე, როგორც ამხანაგობის საერთო ქონებაზე არ დგინდება

ზემოხსენებული ამხანაგობის წევრების მიერ ფაქტობრივი ფლობა, რაც ძირითად საფუძველს წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებაში სხვენის შესაბამისი ფართობების გადაცემისა.

3. მოპასუხებმა წარმოადგინეს მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი, რომლითაც სადავო გახადეს ფართზე მოსარჩელის კანონიერი იურიდიული ინტერესის არსებობა. იმავდროულად, უარყოფს კურების მოწვევისა და ჩატარების პროცედურული წესების დარღვევაზე მოსარჩელის მითითება და აღნიშნეს, რომ მოსარჩელე ინფორმირებული იყო ბმას კრებაზე განსახილველი საკითხების შესახებ.

4. ბ-ის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 06 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილია.

5. მოსარჩელის მიერ გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრით გასაჩივრების შედეგად ქუთასის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი და შესაბამისად, სარჩელი დაქმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი ბმა №1...-ის 2016 წლის 3 მარტის კრების ოქმი №25; ბათილად იქნას ცნობილი ბმა №1...-ის 2016 წლის 4 მარტის კრების ოქმი №26; ბათილად იქნას ცნობილი ბმა №1...-ის 2016 წლის 5 მარტის კრების ოქმი №27.

6. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ ბ-ში, პ-ის ქ. №1...-ში მდებარე უძრავი ქონება (შემდეგში: სადავო მისამართზე მდებარე ბინა) არის მრავალბინიანი სახლი. ამ სახლში ბინათმესაკუთრებს შექმნილი აქვთ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა №1... . ბმის თავმჯდომარე, პირველი მოპასუხე, მეორე მოპასუხე და მესამე მოპასუხე არიან ბინათმესაკუთრები და ამხანაგობის წევრები.

7. ბმას წევრთა საერთო კრების 2016 წლის 3 მარტის ოქმით მესამე მოპასუხეს დაუდასტურდა სადავო მისამართზე მდებარე ბინის ზემოთ არსებული 81,1 კვ.მ. ფართობის სხვენის ფლობის ფაქტი და მიეცა ამ ქონების ინდივიდუალურ საკუთრებად რეგისტრაციის უფლება.

8. ამხანაგობის წევრთა საერთო კრების 2016 წლის 4 მარტის ოქმით მეორე მოპასუხეს დაუდასტურდა ბინის ზემოთ არსებული 62,11 კვ.მ. ფართობის სხვენის ფლობის ფაქტი და მიეცა ამ ქონების ინდივიდუალურ საკუთრებად რეგისტრაციის უფლება.

9. ამხანაგობის წევრთა საერთო კრების 2016 წლის 5 მარტის ოქმით პირველ მოპასუხეს დაუდასტურდა ბინის ზემოთ არსებული 29,48 კვ.მ. ფართობის სხვენის ფლობის ფაქტი და მიეცა ამ ქონების ინდივიდუალურ საკუთრებად რეგისტრაციის უფლება.

10. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები ბმას წევრების მიერ არ არის მიღებული ერთხმად.

11. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სინამდვილეში, სადაც ფართებს მიკუთვნებული მოცულობით მოპასუხები არ ფლობდნენ და არც ინდივიდუალურად სარგებლობდნენ მათ.

12. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების მიზნით, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონით (შემდეგში: სპეციალური კანონი).

13. სპეციალური კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები კრებაზე აფიქსირებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა მიერ მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსების (სარდაფები, სხვენები და ა.შ.) მფლობელობის ამ კანონის ძალაში შესვლის დროს არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას და ხმათა 2/3-ით იღებენ გადაწყვეტილებას, რომლის თაობაზეც დგება შესაბამისი ოქმი, თუ წესდებით არ განისაზღვრება განსხვავებული კვორუმი.

14. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული ნორმის საფუძველზე, ამხანაგობის წევრებს საკუთრებაში გადაეცათ ის სამეურნეო სათავსები, რომლებსაც ისინი კანონის ძალაში შესვლის დროს, ე.ი. 2007 წლის 1 აგვისტოს ფლობდნენ. განსახილველ შემთხვევაში, ამგვარი ფაქტობრივი გარემოებები საქმის მასალებით დადასტურებულად არ იქნა მიჩნეული [სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლები]. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მესამე მოპასუხის განმარტებაზე, რომლის მიხედვით სადაც სხვენიდან „62 კვადრატი“ დაკავებული არ ჰქონია. სინამდვილეში, „შემოკედლებული ჰქონდა 10 კვადრატი, 7 კვადრატი, 5 კვადრატი“ და მოწყობილი ჰქონდა „პატარა საკუჭნა“, კომპოტების დასაწყობად (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის სხდომის ოქმი: 12:45:31-12:46:29).

15. მესამე მოპასუხებ, აღნიშნა, რომ სადაც ფართით დიდი ხანი სარგებლობდა, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რისთვის იყენებდა 81,1 კვ.მ. ფართს, დამაჯერებლად არ განუმარტავს. თავდაპირველად, მესამე მოპასუხებ აღნიშნა, რომ სადაც ფართში ხელსაწყოებს აწყობდა, თუმცა, შემდეგ თქვა, რომ სხვენში არა ხელსაწყოები, არამედ საყოფაცხოვრებო ნივთები ელაგა და ისინი იქ რემონტის დროს, „სამი წლის წინ“ ე.ი. 2015 წელს განათავსა (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის სხდომის ოქმი 12:49:15-12:50:32). ხოლო რაც შეეხება პირველ მოპასუხეს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2007 წლის 1

აგვისტოსათვის პირველი მოპასუხე ბინის მესაკუთრე საერთოდ არ ყოფილა, ხოლო რა ფორმით სარგებლობდა ქონებით მისი წინა-მორძედი, არ მიუთითებია.

16. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მი-ერ წარმოდგენილი ფოტომასალაც ადასტურებდა, რომ მოპასუხე-ები სრული მოცულობით არ სარგებლობდნენ სადაც ფართით.

17. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ირკვეოდა, რომ სსვენის ფართი მოუწყობელი, არაიზოლირებულია და მას ინდივი-დუალური სარგებლობის კვალი არ ემჩნევა. ერთი ფოტოსურათი კი, რომელზეც სსვენზე ასასვლელი კარია აღბეჭდილი, ამ გარემო-ების გასაქარწყლებლად საქმარისი არ არის.

18. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, თუ სადაც ქონება აზომვით ნახაზებსა და სიტუაციურ გეგმაზე მითითებული ფორ-მით იზოლირებული მართლაც იყო, შესაბამისი მტკიცებულების წარდგენა მოპასუხებსაც ხელენიფებოდათ.

19. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქალაქო სასა-მართლოს სხდომაზე ამხანაგობის თავმჯდომარემ განმარტა, რომ „ამხანაგობის შექმნის შემდეგ წევრებმა გადაწყვიტეს“ სახლის სსვენი მე-5 სართულზე მაცხოვრებლებისათვის, ხოლო სარდაფი პირველ სართულზე მაცხოვრებლებისათვის გადაეცათ. რაც დამა-ტებით ადასტურებდა, რომ სინამდვილეში, სადაც იქმებით მო-პასუხებს სამეურნეო ფართის ფლობის ფაქტი კი არ დაუდასტურ-დათ, არამედ ქონება საკუთრებაში გადაეცათ. ამგვარი გადაწყვე-ტილება კი, სპეციალური კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის თა-ნახმად, ამხანაგობის ყველა წევრს ერთხმად უნდა მიეღო.

20. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ მოპასუხები სადაც ქონე-ბას ინდივიდუალურად ფლობდნენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგო-ბის შესახებ საქართველოს კანონის ძალაში შესვლის დროისათ-ვის. ამის გამო, ამხანაგობის გადაწყვეტილება ამ ფაქტის დადას-ტურების თაობაზე მართლსანინააღმდეგონ და საქართველოს სა-მოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 54-ე მუხლის თანახმად, ბათილ გარიგებას წარმოადგენდა.

21. იმავდროულად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს (აპელანტი) სადაც იქმების ბათილად აღიარების მი-მართ იურიდიული ინტერესი გააჩნდა. ამ საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამო, სადაც იქმების საფუძველზე მოპასუხებმა ქონებაზე საკუთრების უფლება ვერ დაირეგისტრირეს. სარჩელის დაკამაყოფილების შემთხვევაში, ისი-ნი ამას ვერც განახორციელებენ. ეს კი წინავს, რომ ამგვარი სარ-ჩელით აპელანტის ინტერესი მიღწევადია. სხვა ტიპის სარჩელს,

რომელიც მოპასუხეთა საკუთრებაში ამხანაგობის კუთვნილი ქონების გადაცემას აღკვეთდა, აპელანტი ვერ აღძრავდა.

22. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სპეციალური კანონის მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინათმესაკუთრებისათვის ამხანაგობის მიერ გადაცემული ქონება, ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაა, მისი ნილი აპელანტსაც ეკუთვნის და მას ამ ქონებით სარგებლობა შეუძლია. სააპელაციო სასამართლომ სადაცო იქმებს დართული სიტუაციური გეგმებიდან დადგენილად მიიჩნია, რომ ამხანაგობამ მოპასუხებს საკუთრებაში სადარბაზოს თავზე არსებული თითქმის მთელი სხვენი გადასცა. სააპელაციო პალატის აზრით, ამით აპელანტმა უფლება, პრაქტიკულად, სხვენის მთელ ფართზე დაკარგა და ეს უფლება მოპასუხებმა არამართლზომიერად შეიძინეს. ეს ნიშნავს, რომ აპელანტმა სარჩელით სასამართლოს თვისი დარღვეული უფლების აღსადგენად მიმართა [სსსკ-ის მე-11 მუხლის პირველი ნაწილი].

23. მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის უარყოფა.

24. კასატორების მოსაზრებით, არსებობს ბმას საერთო კრების 2016 წლის 4 აპრილის ოქმი, რომლის თანახმად, კრებამ ხმათა 2/3-ის უმრავლესობით დაადასტურა კასატორთა მიერ სადაცო სხვენის ფაქტობრივი ფლობის და სარგებლობის ფაქტი სპეციალური კანონის ძალაში შესვლამდე. სწორედ ამიტომაც, სასამართლოს უნდა ეხელმდღვანელა ამავე კანონის მე-4 მუხლით და არ დაექმაყოფილებინა სააპელაციო საჩივარი და შესაბამისად, სარჩელი.

25. ამასთან, კასატორების მოსაზრებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის ფასი იყო 150 ლარი და მოწინააღმდეგებ მხარეს მხოლოდ 150 ლარი გადაახდევინა. არსებული პრაქტიკის თანახმად კი, სარჩელი და სააპელაციო საჩივარიც მიეკუთვნება ქონებრივ-სამართლებრივი დავის კატეგორიას და სასამართლოს არ გამოუყენებია კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა.

სამოტივაციო ნაწილი:

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 აგვისტოს განჩინებით ბმას თავმჯდომარის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის მოტივით, ხოლო პირველი მოპასუხის, მეორე მოპასუხის და მესამე მოპასუხის საკასაციო საჩივრები 2018 წლის 23 აგვისტოს განჩინებით მიღებულ იქნა ნარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებ-

ლად.

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2018 წლის 05 ოქტომბრის განჩინებით ე. დ.-ის, მ. დ.-ის და ზ. ხ-ვილის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნას დასაშვებად.

28. საქასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გა-საჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასა-ციო საჩივრის საფუძვლები და მიმჩნევა, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და სარჩელი უნდა დარჩეს გა-ნუხილველად შემდეგი გარემოებების გამო:

29. გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოში აღძრულია აღია-რებით მოთხოვნა, რომელიც მიმართ 2016 წლის 3 მარტის „ბმა 1...-ის“ №25 კრების ოქმის, 2016 წლის 4 მარტის „ბმა 1...“-ის №26 კრე-ბის ოქმისა და 2016 წლის 5 მარტის შედგენილი „ბმა 1...“-ის №27 კრების ოქმების ბათილად ცნობაში მდგომარეობს (იხ., ამ გადაწ-ყვეტილების პ-1), ვიდრე საკასაციო პალატა წარმოდგენილ საკა-საციო პრეტენზიათა დასაბუთებულობას შეამოწმებდეს, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წი-ნაპირობების არსებობა.

30. საკასაციო პალატის ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს სსსკ-ის 178.1 „ლ“; 186-ე და 180-ე მუხლებიდან და დამკვიდრებუ-ლია სასამართლო პრაქტიკით, რომლის შესაბამისად, აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი დასაბუთებულო-ბის, საკითხის შემოწმება სამართლის საკითხია და აქედან გამომ-დინარე, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის პრეტენზიის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწ-მოს სარჩელის დასაშვებობა საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე (იხ., სუსგ №ას-91-91-2018, 31 ივლისი, 2018 წელი, პ-15; სუსგ №ას-782-782-2018, 12 სექტემბერი, 2018 წელი, პ-24, 25). ასეთ დროს, პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: აქვს მოსარჩელეს ნამდვილი იუ-რიდიული ინტერესი დავის მიმართ? უზრუნველყოფს მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას? (იხ., იქვე.).

31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გან-ჩინებაში, იხ., №ას-121-117-2016, 17 მარტი, 2016 წელი, აღინიშნა, რომ „ვიდრე საქმის განმხილველი სასამართლო სარჩელის საფუძ-ვლიანობას შეამოწმებს, მნიშვნელოვანია, შეფასდეს, აქვს თუ არა მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ და უზრუნველყოფს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას“.

32. განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ვლინ-დებოდა საპროცესო სამართლის ნორმების არსებითი დარღვევა, რაც შემოწმებას ექვემდებარებოდა სარჩელის დასაშვებობის ეტაპ-

ზე, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა სააპელაციო საჩივრის ფარგლებში სასარჩელო მოთხოვნაზე არსებითად მსჯელობის საფუძველზე და ისე დააკმაყოფილა მოთხოვნა (იხ., ამ გადაწყვეტილების პ-1), რომ არ იმსჯელა ბმას კრების ოქმების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის დასაშვებობაზე, რითაც დაირღვა სსსკ-ის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნები.

33. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, „ალიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი ალიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად ალიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიუუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, ნარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს, „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ“ (ციტ: სუსგ №ას-91-91-2018, 31 ივლისი, 2018 წელი, პ-16).

34. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, ალიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02.03.2017წ; შეადარეთ ასევე, სუსგ-ებს: №ას-437-409-17 29.09.17, №ას-916-857-17 12.09.17, №ას-302-285-17, 16.06.17, №ას-244-232-17 19.05.17 №ას-937-887-2015, 10.11.2015წ.; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-869-819-2015, 11.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; №ას-323-308-2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.6.2016წ; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.).

35. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის სახეებად დაყოფას (მიკუთვნებითი, გარდამნითი და ალიარებითი) პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია და უზრუნველყოფს პირის კანონით დაცული უფლებისა და ინტერესების სასამართლო წესით დაცვას. როგორც წესი, მოსარჩელის ინტერესი განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის მიღწევას უკავშირდება (მაგ. ხელშეკრულებით წაკისრი ვალდებულების შესრულება, ქონების დაბრუნება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ზიანის ანაზღაურება და

ა.შ), რომელიც მხოლოდ მიკუთვნებითი სარჩელით მიიღწევა და ასეთ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია, რადგანაც, საპროცესო ეკონომიკის პრინციპიდან გამომდინარე, დარღვეული უფლების აღდგენასა და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას პირმა ერთი და არა რამდენიმე სარჩელის აღძვრის გზით უნდა მიაღწიოს, სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, აღიარებითი სარჩელის დაკამაყოფილებას მოსარჩელისათვის მისთვის სასარგებლო შედეგი უნდა მოჰქონდეს და მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის საჭიროება აღარ უნდა არსებობდეს.

36. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი ადგენს ამხანაგობის მიერ წევრთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ ქონებაზე ინდივიდუალური საკუთრების დადასტურების წესს და კანონი მოითხოვს ამხანაგობის კრებაზე თანამესაკუთრეთა მხრიდან ნების გამოვლენას. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის კონტექსტში კრების გადაწყვეტილების, როგორც მრავალმხრივი გარიგების ნამდვილობის დადგენისათვის უნდა შემოწმდეს ისეთი საკითხები, როგორიცაა კრებაზე კვორუმის არსებობა, წევრთა მოწვევა და სხვა, თუმცა, შემოწმება იმისა, ბათილია თუ არა გარიგება, დამოკიდებულია პრეტენზიის მქონე პირის იურიდიული ინტერესის არსებობაზე, ანუ აღიარებითი სარჩელის ბედი განცირობებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით (იხ., სუსგ №ას-480-448-2017, 9 ივნისი, 2017 წელი პ-1.5.1; №ას-782-782-2018, 12 სექტემბერი, 2018 წელი პ-31].

37. მოსარჩელის მიერ აღძრული აღიარებითი სარჩელის დასაშვებობას პროცესუალურად გამორიცხავს ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ არაა დასაბუთებული, იურიდიულად სასარგებლო რა შედეგს განაპირობებს მისთვის სადავო ბმას კრების ოქმების (იხ., ამ გადაწყვეტილების პ-1) ბათილად ცნობა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ იყვეთება იურიდიული ინტერესი (სსსკ-ის 180-ე მუხლი), რომელიც მოსარჩელეს ამ მოთხოვნათა მიმართ შეიძლება გააჩნდეს.

38. განსახილველ შემთხვევაში, ბმა-ს კრების ოქმები, რომელთა ბათილობაც აქვს მოსარჩელეს მოთხოვნილი (ამ გადაწყვეტილების პ-1) შეეხება სადაცო მისამართზე მდებარე მრავალბინიანი სახლის საერთო საკუთრებაში არსებული ფართის, როგორიცაა სხვენის ნაწილი, ბმა-ს წევრის ინდივიდუალურ საკუთრებაში ფლობის ფაქტის დადგენას და ამ ქონების ინდივიდუალურ საკუთრებად რეგისტრაციის უფლების მინიჭებას. საკასაციო პალატა სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე (იხ., ამ გადაწყვეტილების პ-1), ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ მოსარჩელის პრეტენზია ეხება მხოლოდ ბმა-ს კრების ოქმების ბათილად ცნობას და არ იკ-

ვეთება, რა მატერიალურ სარგებელს მოუტანს აღნიშნული მოსარჩევეს; იმ ვითარებაში, როდესაც სადაც ბმას კრების ოქმებით სხვენის ფართის ინდივიდუალურ საკუთრებად რეგისტრაციის უფლება მიენიჭათ მოპასუხეებს, არ იკვეთება რა ზიანი ადგება ამით მოსარჩევეს, როგორც ამხანაგობის ერთ-ერთ წევრს; რადგან, თუკი მოსარჩევეს, როგორც ამხანაგობის წევრს და მაშასადამე, მრავალბინიანი სახლის ერთ-ერთ ინდივიდუალურ მესაკუთრეს პრეტენზია გააჩნდა საერთო სარგებლობაში არსებულ სხვენის ფართის ფაქტობრივ მფლობელობაზე, მას შეეძლო მოეხდინა საკუთარი უფლების იმგვარად რეალიზაცია, რომ მისი მოთხოვნა მიმართული ყოფილიყო ფართზე ამგვარი მფლობელობის დადასტურებისკენ. ამ შემთხვევაში, სარჩელი სპეციალური კანონით განსაზღვრული წინაპირობების არსებობასა და შესატყვის გარემოებებზე უნდა ყოფილიყო აგებული [სპეციალური კანონის 4 (2) მუხლი]. მოცემულ შემთხვევაში, სადაც კრების ოქმების ბათილად ცნობა მოსარჩევის დარღვეული უფლების აღდგენის წინაპირობა ვერ გახდება, ვინაიდან, სარჩელით არ არის მოთხოვნილი რაიმეს მიკუთვნება ან შესრულება, ხოლო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია (სსსკ-ის 248-ე მუხლი) (შდრ: სუსგ №ას-486-454-2017, 31 იანვარი, 2018 წელი. პ-18.2).

39. აქედან გამომდინარე, სარჩელი საქმისწარმოების პირველი-ვეტაპზე განუხილველად უნდა დარჩენილიყო, რადგან მოსარჩელის მიერ არ არის მითითებული აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი. არც სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან (ამ განჩინების პ-2) არ იკვეთება მოთხოვნის განმაპირობებელი მართლზომიერი იურიდიული ინტერესი. ამდენად, სარჩელი არ პასუხობს სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნებს. ამ ნორმის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა ყოფილიყო აღინიშნული სსსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი („სსსკ-ის 180-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარებს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელი შემდეგი კრიტერიუმები: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა... შდრ.

სუსგ №ას-838-802-2014, 19.03.2015წ.).

40. იმავდროულად, საკასაციო პალატა კასატორის ყურადღებას გაამახვილებს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპულ კონვენციაზე, რომლის მე-6 მუხლით რეგულირებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის აღნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და თავის თავში არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ შართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყება (შდრ. სუსგ №ას-302-285-2017, 16.06.2017). ნიშანდობლივია, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადაწყვეტილების მიღება არასაემარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების აღსრულების გარეშე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აღინიშნა გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობა. გადაწყვეტილებაში „აპოსტოლი საქართველოს ნინააღმდეგ“, რომელიც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას ეხება, განიმარტა, რომ გადაწყვეტილებია აღსრულების უფლება, „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილია მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის (Apostol v. Georgia; §37; ასევე იხ. Hornsby v. Greece, §40). ამასთან, საქმეზე შპს „იზა და მაკრახიძე“ საქართველოს ნინააღმდეგ ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრეცედენტთა შორის იხ. Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40) (ციტ: სუსგ №ას-964-899-2017, 23 თებერვალი, 2018 წელი, პ-15.4.3).

41. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის სასარგებლოდ დავის

გადაწყვეტის მატერიალურსამართლებრივი შედეგი მოსარჩელის-თვის უფლების მიმნიჭებელი ვერ გახდება. რაც იმას ნიშნავს, რომ განსახილველი აღიარებითი სარჩელი სსსკ-ის 180-ე მუხლით დადგენილ სავალდებულო პირობას სარჩელის იურიდიული ინტერესის კრიტერიუმის (როგორიცაა: а) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაქმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა) არსებობის შესახებ არ აკამაყოფილებს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელებ ვერ შეძლო დაესაბუთებინა აღიარებითი მოთხოვნის მიმართ მისი ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა, როგორც აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღებისა და განხილვის აუცილებელი წინაპირობა [სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი].

42. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების (რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება) გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც სარჩელი განუხილველად უნდა დარჩენილიყო საქმისწარმოების პირველივე ეტაპზე. შესაბამისად, მიღებული განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონება შეუძლებელია.

43. იმავდროულად, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი დოკუმენტები. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმისწარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 27-ე და 275-ე მუხლები). მთავარი სხდომის და-

ნიშვნამდე სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მო-სარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი, ხოლო საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას სარ-ჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში სახელმწიფო ბა-ჟი მოსარჩელეს არ დაუბრუნდება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოხმობილი ნორმა მითითებითი ხასიათისაა და მასში ამავე კოდექსის 275-ე მუხლის წინაპირობების შემონმებაზეა საუბარი, თუმცა, ეს უკანასკნელი ნორმაც არ შეიცავს სარჩელის განუხილ-ველად დატოვების ამომწურავ ჩამონათვალს, რის გამოც, დასაშ-ვებია საპროცესო ანალოგის პრინციპის გამოყენება (სსსკ-ის მე-7 მუხლი) იმ შემთხვევისათვის, როდესაც სახეზე გვაქვს სარჩე-ლის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა შემ-თხვევა (იხ. სუსგ №ას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი; №ას-551-522-2015, 14 აგვისტო, 2015 წელი).

44. მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც აღიარებითი სარჩელი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, ამავე კოდექ-სის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, იგი განუხილველად უნდა იქნას დატოვებული.

45. რაც შეეხება სარჩელის აღდვრამდე გამოყენებული უზრუნ-ველყოფის ღონისძიებას, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბ-ის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 11 მარტის განჩინებით მო-სარჩელის განცხადება სარჩელის აღდვრამდე სარჩელის უზრუნ-ველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა ნა-ნილობრივ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბ-ის სა-რეგისტრაციო სამსახურს აეკრძალა ქ. ბ-ში, პ-ის ქუჩა №...-ში მდე-ბარე უძრავ ნივთზე (სხვენი, ზონა ბ-ი, სექტორი 07 და სხვენი, ზონა ბ-ი, სექტორი 27) სარეგისტრაციო მოქმედების განხორციე-ლება. საკასაციო პალატა მიუთითებს სსსკ-ის 199¹ მუხლის დანა-ნესზე, რომლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებით უზ-რუნველყოფის ღონისძიების გაუქმება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის გა-ნუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემ-თხვევაში, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველ-ყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (გან-ჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარე-თა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყო-ფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებან. აღნიშნულიდან გამომდინარე და იმ გარემოების გათვალისწინე-ბით, რომ წინამდებარე სარჩელი დარჩა განუხილველად, საკასა-ციო პალატას მიაჩნია, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღო-

ნისძიება უნდა გაუქმდეს.

46. კასატორს უკან დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა :

1. ე. დ-ის, მ. დ-ის და ზ. ხ-ვილის საკასაციო საჩივარი დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააქტოლაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება და ბ-ის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 06 ივნისის გადაწყვეტილება;

3. რ. ქ-ძის სარჩელი დარჩეს განუხილველად;

4. გაუქმდეს ბ-ის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 11 მარტის განჩინებით (№...უზრ/2016; №0...) გამოყენებული სარჩელის აღმოჩენაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბ-ის სარეგისტრაციო სამსახურს აეკრძალა ქ. ბ-ში, ბ-ის ქუჩა №...-ში მდებარე უძრავ ნივთზე (სხვენი, ზონა ბ-ი, სექტორი 07 და სხვენი, ზონა ბ-ი, სექტორი 27) სარეგისტრაციო მოქმედების განხორციელება.

5. კასატორებს ე. დ-ეს, მ. დ-ეს და ზ. ხ-ვილს უკან დაუბრუნდეთ მ. ა-ის მიერ 2018 წლის 08 აგვისტოს საგადახდო დავალება №151 გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (150 ლარი) 105 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...

6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფა

განებითი საქართველოს სახელით

№ას-1556-1476-2017

21 თებერვალი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: 6. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სხვა სახით შეცვლა, გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

აღნერილობითი ნაწილი:

1. კერძო სააქციო საზოგადოებამ „უ-ო“ (შემდგომში – „განმცხადებელი“ ან „საარბიტრაჟო მოსარჩელე“) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას მიმართა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით სს „ჰ-ის“ მიმართ (შემდგომში – „მონინააღმდეგე მხარე“, „დამქირავებელი“, „საარბიტრაჟო მოპასუხე“, „ან „საჩივრის ავტორი“) და მოითხოვა განმცხადებლის მიერ საარბიტრაჟო მოპასუხის წინააღმდეგ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საზღვაო საარბიტრაჟო კომისიაში (შემდგომში – „საარბიტრაჟო კომისია“) წარდგენილი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის დადება საარბიტრაჟო მოპასუხის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

1.1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (დაზუსტებული ფართობით: 615.00 კვ.მ. საკადასტრო კოდი: ..., მისამართი: ქ. თბილისი, ...);

1.2. სატრანსპორტო საშუალებები: ა) ..., სახელმწიფო ნომერი: ..., გამოშვების წელი – ..., VIN/შასი – ..., ფერი – ... 3/8, ტექ. პასპორტის №..., გაფორმების თარიღი ...; ბ) ავტომანქანა ..., სახელმწიფო ნომერი: ..., გამოშვების წელი – ..., VIN/შასი ..., ფერი – ..., ტექ. პასპორტის №..., გაფორმების თარიღი: ...;

1.3. საქართველოს ნებისმიერ ბანკში საარბიტრაჟო მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები, 70 984.2 აშშ

დოლარის ფარგლებში.

2. განმცხადებელმა მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

2.1. მხარეთა შორის 2016 წლის 1 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, დამქირავებელს დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაეცა განმცხადებლის კუთვნილი, არათვითმავალი სატვირთო მცურავი პონტონი: ..., მასზე დამონტაჟული თვითმავალი მუხლუხა ამნით, საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში ნაპირსამაგრ სამუშაოებზე გამოყენების მიზნით. სანაცვლოდ, პონტონის ექსპლუატაციის სხვა ხარჯების დაფარვასთან ერთად, დამქირავებელს განმცხადებლისთვის ყოველთვიურად უნდა გადაეხადა 5600 აშშ დოლარი. ამასთან, ხელშეკრულების ვადის ამონტურვის შემდგომ, დამქირავებელს უნდა ჩაეყანა პონტონი განმცხადებლისთვის უკრაინის პორტ იზმაილში. პონტონის დაბრუნების საგარანტიოდ, დამქირავებელს განმცხადებლისთვის უნდა წარედგინა საბანკო გარანტია პონტონის ბუქსირების ღირებულებაზე ფოთი – იზმაილის მარშრუტებზე – 45 000 აშშ დოლარის ოდენობით;

2.2. 2016 წლის 10 ნოემბერს მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებაზე გაფორმდა №1 დამატება, რომლითაც გაგრძელდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ასევე პონტონის დაბრუნებაზე საბანკო გარანტის წარდგენის ვალდებულება შეიცვალა საგარანტიო თანხის ანგარიშში განმცხადებლის სასარგებლოდ დამატებით ყოველთვიურად 2000 აშშ დოლარის გადახდის პირობით;

2.3. 2017 წლის 15 მაისს მხარეთა შორის გაფორმდა დამატება №2, რომლითაც ისევ გაგრძელდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა და განხორციელდა დამქირავებლის წინა პერიოდის დავალიანებების რესტრუქტურიზაცია.

2.4. 2017 წლის 15 მაისს მხარეთა შორის გაფორმდა დავალიანების შედარების აქტი, რომელმაც მოიცვა სამართალურთიერთობის დაწყებიდან ხელშეკრულებაზე დანართი №2-ის გაფორმებამდე პერიოდი (01.06.2016-15.05.2017). აქტის თანახმად, განმცხადებლის მიერ დამქირავებლისთვის წარდგენილი მოთხოვნები შეადგენდა 72 000 აშშ დოლარს, საიდანაც ფაქტობრივად დაფარული იყო 26 400 აშშ დოლარი. დამქირავებლის დარჩენილი დავალიანება შეადგენდა 45 600 აშშ დოლარს;

2.5. დანართი №2-ის გაფორმების დროისათვის, 2017 წლის 15 მაისს განმცხადებელს უკვე აღდრული ჰქონდა სარჩელი საარბიტრაჟო კომისიაში. ხელშეკრულებაზე დამატებისა და შედარების აქტის გაფორმებით განმცხადებელი იმედოვნებდა, რომ დამქირავებელი ჯეროვნად შეასრულებდა საკუთარ აღიარებულ ვალდებულებებს და დავა არბიტრაჟში დასრულდებოდა მორიგებით. დამ-

ქირავებელმა გადაიხადა პირველი გადასახადი – 7600 აშშ დოლარი. მომდევნო გადასახადები არ გადაუხდია. შესაბამისად, მორიგება ვერ შედგა და საარბიტრაჟო წარმოება გაგრძელდა;

2.6. საარბიტრაჟო კომისიის კომპეტენცია დასტურდება საარბიტრაჟო შეთანხმებით, რომელიც გათვალისწინებულია მხარეთა შორის გაფორმებული, მსხვილგაბარიტიანი ტყირთების საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ 2016 წლის 1 ივნისის ხელშეკრულების 36-ე პუნქტით;

2.7. საარბიტრაჟო მოპასუხეს იურიდიულ მისამართზე ჩაბარდა არბიტრაჟში აღძრული სარჩელი და თანდართული მასალები. ასევე მას ჩაბარდა კველა სხდომაზე მოწვევის შესახებ შეტყობინება. დავის განმხილველი არბიტრაჟი დაკომპლექტდა საარბიტრაჟო შეთანხმების თანახმად, ერთი არბიტრის – საზღვაო საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდომარის შემადგენლობით;

2.8. 2017 წლის აგვისტოს თვეში მოწინააღმდეგე მხარემ პონტონი შეიყვანა ფოთის პორტში მიღებული დაზიანების აღმოფხვრის მიზნით და მიატოვა იგი. განმცხადებელმა წერილობით აცნობა მოწინააღმდეგე მხარეს 2016 წლის 1 ივნისის ხელშეკრულების შეწყვეტისა და პონტონის დანიშნულებისამებრ დაბრუნების ვალდებულების შესახებ;

2.9. პონტონი ამჟამად იმყოფება ფოთის პორტში და ხორციელდება მისი ტენიკური მომზადება განმცხადებლის სახსრებით მისი უკან ტრანსპორტირებისთვის, რადგან მოწინააღმდეგე მხარე არ რეაგირებს შეტყობინებებზე;

2.10. მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის მომენტისთვის საარბიტრაჟო მოპასუხის დავალიანება განმცხადებლის მიმართ შეადგენს 70 984.2 აშშ დოლარს;

2.11. ზემოაღნიშნულიდან დასტურდება, რომ მოვალე თავს არიდებს ვალდებულების ხებაყოფლობით შესრულებას. განმცხადებლის ვარაუდით, იგი შეეცდება თავიდან აიცილოს იძულებითი აღსრულება, რის გამოც საფრთხის ქვეშ დადგება საარბიტრაჟო მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება, ვინაიდან აღარ იქნება იძულებითი აღსრულების საგანი. შესაბამისად, ვალდებულების დარღვევით დამდგარი ზიანის რეალურად კომპენსირებისთვის ყადაღა უნდა დაედოს მოწინააღმდეგე მხარის იმ ქონებას, რომელიც შესაძლებელია მომავალში გამოყენებულ იქნეს იძულებითი აღსრულების ობიექტად;

2.12. განმცხადებლის მოსაზრებით, მისთვის უცნობია მოწინააღმდეგე მხარის ქონების ღირებულება, ასევე – იმ ვალდებულებების ღირებულებაც, რომლებიც უზრუნველყოლია ამ ქონებით. უძრავ-მოძრავ ქონებაზე რეგისტრირებულ ვალდებულებათა და

შეზღუდვათა გათვალისწინებით, განმცხადებელს მიაჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფა გამოყენებული უნდა იქნეს იმ ქონების მიმართ, რომელიც არ არის დატვირთული იპოთეკით ან არ არის დაგირავებული ანუ რომელიც არ წარმოადგენს კონკრეტული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას;

2.13. გამომდინარე იქნან, რომ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა შეადგენს 70984,2 აშშ დოლარს, მიზანშეწონილია, რომ მოწინააღმდეგებ მხარის მიმართ გამოყენებულ იქნეს ერთდროულად რამდენიმე უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლებიც ადეკვატური იქნება სასარჩელო მოთხოვნასთან.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით საარბიტრაჟო მოსარჩელის განცხადება ნაწილობრივ დაკამაყოფილდა; ყადაღა დაედო საარბიტრაჟო მოპასუხის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას: არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთს, დაზუსტებული ფართობით: 615.00 კვ.მ. საკადასტრო კოდი ..., მისამართი ქ. თბილისი, ...; საარბიტრაჟო მოპასუხის სახელზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებს: 1) ..., სახელმწიფო ნომერი: ..., გამოშვების წელი - ..., VIN/შასი - ..., ფერი ... 3/8, ტექ. პასპორტის №..., გაფორმების თარიღი ...; 2) ავტომანქანა ..., სახელმწიფო ნომერი: ..., გამოშვების წელი - ..., VIN/შასი - ..., ფერი - შავი, ტექ. პასპორტის №..., გაფორმების თარიღი:

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის საფუძველზე, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის განხილვისას საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საარბიტრაჟო კომისიაში წარდგენილია განმცხადებლის საარბიტრაჟო სარჩელი მონინააღმდეგებ მხარის წინააღმდეგ თანხის – 50 417.80 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ისიც, რომ სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში საარბიტრაჟო კომისიის მიერ და შესაბამისი შეტყობინება გაეგზავნა საარბიტრაჟო მოპასუხებს.

6. გამომდინარე იქნან, რომ ფულად სახსრებზე ყადაღის დადებით მოწინააღმდეგებ მხარეს ეკრძალება ამ სახსრების გამოყენება და ნებისმიერი ფორმით განკარგვა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას და დააბრკოლოს სამეწარმეო საქმიანობა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საბანკო ანგარიშების დაყადაღება უნდა განხორციელდეს გამონაკლის და უკიდურეს შემთხვევებში,

როდესაც იურიდიულ პირს არ გააჩნია უძრავ-მოძრავი ქონება და აშკარაა, რომ აღნიშნულის გარეშე შეუძლებელია გადაწყვეტილების აღსრულება, ამასთან, – მხოლოდ მოთხოვნის ფარგლებში და იმ ოდენობით, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებამ არ მიაყენოს გამოუსწორებელი ზიანი მოპასუხისა და სხვა პირთა უფლებებს.

7. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი არ ჰქონდა წარმოდგენილი დასაყადალებელ ქონებათა (მიწის ნაკვეთისა და მანქანების) შეფასების აქტი, რაც სასამართლოს მისცემდა იმის შესაძლებლობას, რომ შეეფასებინა რამდენად საკმარისი იყო ან რამდენად აღემატებოდა მოთხოვნილ უზრუნველყოფის საშუალებას – დავის საგნის ღირებულება. ამის გამო, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საბანკო ანგარიშებზე ყადალის დადება დაუსაბუთებელი იყო.

8. სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 9 ოქტომბრის განჩინებაზე საჩივარი წარადგინა მოწინააღმდეგე მხარემ და მიუთითა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

8.1. განმცხადებელი არ მიუთითებდა იმაზე, თუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა რა საფრთხეს შეუქმნიდა გადაწყვეტილების აღსრულებას. არც სასამართლოს მიუთითებია, თუ როს საფუძველზე წარმოიშვა დასაბუთებული ვარაუდი, რომ უძრავ-მოძრავი ქონების დაყადალების გარეშე ვერ აღსრულდებოდა განმცხადებლის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება, მაშინ როდესაც მოპასუხე არის მოქმედი საწარმო და სრული ფინანსური შესაძლებლობა აქვს გადაიხადოს სადავოდ გამხდარი თანხა (50 417 აშშ დოლარი). იმისათვის, რათა დაკმაყოფილებს უზრუნველყოფის მოთხოვნა, სასამართლოს განმცხადებლის მითითების საფუძველზე უნდა შეექმნას მყარი შინაგანი რწმენა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას. ასეთ დასაბუთებას კი გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს.

8.2. მოპასუხე მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი და დასაბუთებული ეჭვი ვალდებულების მომავალში შეუსრულებლობასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის აღძერის საფუძველია, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ფაქტობრივი და სამართლებრივი წანამდლვრები გადაწყვეტილების აღუსრულებლობის ან მისი აღსრულების გაძნელების დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს.

8.3. მოწინააღმდეგე მხარეს, როგორც მოქმედ საწარმოს, აქეს ფინანსური შესაძლებლობა შეასრულოს კონტრაპენტის მიმართ არსებული ვალდებულებები. ამასთან, სარბიტრაჟო სარჩელზე მას

წარდგენილი აქვს შესაგებელი და სათანადო მტკიცებულებები, რითაც მოსარჩელის პრეტენზია გაბათილდება. ამდენად, სასამართლოს არც სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ ვარაუდის საფუძველი გააჩნდა, რასაც უნდა დამყარებოდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

8.4. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადება საჭიროებს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

8.5. სასამართლოს მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ არის პროპორციული იმ ზიანთან, რომელიც, სასამართლო დავის განხილვის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, შესაძლებელია მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს და, საბოლოოდ, სარჩელის დაუკმაყოფილებლობის პირობებში, უარყოფითად აისახება მის ქონებრივ მდგომარეობაზე.

8.6. №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, რომელსაც 2017 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით ყადაღა დაედო, სრულიად საკმარისია სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფად, რადგან სასარჩელო მოთხოვნა შეადგენს 50 417.80 აშშ დოლარს, ხოლო მიწის ნაკვეთის ღირებულება გაცილებით მეტია.

9. მოგვიანებით, საჩივრის ავტორმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, მოწინააღმდეგე მხარის სახელზე რიცხული უძრავი ქონების – ქ. თბილისში, ..., საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (615 კვ.მ) – საბაზრო ღირებულება 2017 წლის 6 ნოემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 46 125 აშშ დოლარს, რაც შესაბამისი გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 121 235 ლარს. საჩივრის ავტორმა წარადგინა მეორე ექსპერტიზის დასკვნაც, რომლის თანახმად, 2014 წლის დამზადებული, მაღალი გამავლობის ავტომანქანის ..., სახელმწიფო ნომრით: ..., საიდენტიფიკაციო ნომრით – ..., საბაზრო ღირებულება 2017 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 72 000 ლარით.

10. ზემოაღნიშნული არგუმენტებიდან გამომდინარე, მოპასუხემ მოითხოვა:

10.1. 2017 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა, კერძოდ, უძრავ ნიერთა (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ქალაქ თბილისში, ..., საკადასტრო კოდით: ...) და მსუბუქ ავტომობილზე – ..., სახელმწიფო ნომრით: ..., ყადაღის გაუქმება

და სანაცვლოდ გასხვისების აკრძალვის გამოყენება, რითაც სრულიად უზრუნველყოფილი იქნება განმცხადებლის მოთხოვნა;

10.2. გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების – ყადაღის გაუქმება სატრანსპორტო საშუალებაზე – ..., სახელმწიფო ნომერი: ..., გამოწვების ნელი – ..., VIN/შასი – ..., ფერი – ... 3/8, ტექ. პასპორტის №..., გაფორმების თარიღი ..., ვინაიდან სანარმოს ხელი ეშლება თავისუფლად განკარგოს ნივთი სამენარმეო საქმიანობის განხორციელებისას.

11. აღნიშნულ საჩივარზე საარბიტრაჟო მოსარჩელემ წარადგინა მოსაზრება, რომელშიც მან მიუთითა შემდეგი:

11.1. საჩივარში მოცემულია სადაც თანხის არასწორი ოდენობა – 50 417.8 აშშ დოლარი. ამ ოდენობის მოთხოვნა საარბიტრაჟო მოსარჩელეს გააჩნდა 2017 წლის 7 აპრილის მდგომარეობით. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარდგენის მომენტისათვის ჯამური სასარჩელო მოთხოვნა შეადგენს 70 984.2 აშშ დოლარს. ამჟამად სასარჩელო მოთხოვნა კვლავ გაზრდილია დანიშნულების პორტში პონტონის დაბრუნების ხარჯებით, რომელთა გადებაც მოწინააღმდეგე მხარის ვალდებულებას წარმოადგენდა, მაგრამ დაფარულ იქნა განმცხადებლის მიერ. ნებისმიერ შემთხვევაში, მოცემული საქმისნარმოების მიზნებისათვის სასარჩელო მოთხოვნა უზრუნველყოფის თაობაზე განცხადების წარდგენის თარიღისათვის შეადგენს 70 984,2 აშშ დოლარს, შესაბამისად, მოთხოვნასა და უზრუნველყოფას შორის პროპორციულობის განსაზღვრა უნდა განხორციელდეს სწორედ მოთხოვნის ამ ოდენობისათვის;

11.2. განმცხადებლისათვის ცნობილია საარბიტრაჟო მოპასუხის ქონებაზე არსებული სხვადასხვა შინაარსის შეზღუდვების თაობაზე, კერძოდ, საგადასახადო მოთხოვნებზე, ასევე სასამართლოსა და აღმასრულებლის იმ ყადალებზე, რომლებიც საზოგადოების ქონებაზე რეგისტრირებულია 2013 წლიდან სხვადასხვა მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად ან საზოგადოების წინააღმდეგ მიმდინარე იძულებითი აღსრულების გამო. უფრო მეტიც, მოპოვებული ინფორმაციით, მოწინააღმდეგე მხარე 2017 წლის 2 ივნისიდან ირიცხება მოვალეთა რეესტრში მის წინააღმდეგ მიმდინარე სააღსრულებო საქმე №...-სთან დაკავშირებით. ყოველივე აღნიშნული ადასტურებს, რომ მოწინააღმდეგე მხარე არა მარტო ვერ ემსახურება მიმდინარე საოპერაციო ვალდებულებებს, არამედ უკვე შეზღუდულია საკუთარი ქონებრივი აქტივების გამოყენებაშიც. ნებისმიერი შემოსავლის მიღების შემთხვევაში, დიდი აღბათობით, სახსრები უაქცეპტოდ ჩამოიწერება საგადასახადო ვალდებულებებისა და სხვა წინა რიგის ვალდებულებათა შესასრულებლად. ასეთ

პირობებში შეუძლებელია გონივრული ვარაუდი, რომ მოწინააღმდეგები მხარე მომავალში შეძლებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულებას და, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება შესაძლებელი იქნება უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოყენების გარეშე;

11.3. სარჩელის დაკამაყოფილების შესახებ სასამართლოს ვარაუდთან დაკავშირებით საარბიტრაჟო მოსარჩელემ განმარტა, რომ მხარეთა შორის დავის საგანია არსებული ხელშეკრულების დარღვევით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება და, დავის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სარჩელი დიდი აღბათობით დაკამაყოფილდება, რადგან უდავოდ არის დადასტურებული საარბიტრაჟო მოპასუხის მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებათა არაერთჯერადი დარღვევა;

11.4. საჩივარს არ ახლავს რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება, რომ მოწინააღმდეგები მხარემ საარბიტრაჟო კომისაში წარადგინა შესაგებელი. პირიქით, დავის განმხილველი არბიტრაჟის ცნობის თანახმად, 2017 წლის 16 აგვისტოს მდგომარეობით, მოწინააღმდეგები მხარე საერთოდ იგნორირებას უკეთებდა საარბიტრაჟო პროცესს;

11.5. ქონების გასხვისების ფორმალური შეზღუდვით მხარეს რჩება უფლება გამოიყენოს აღნიშნული ქონება სხვა მოთხოვნების უზრუნველსაყოფად (დააგირაოს ან იპოთეკით დატვირთოს) ან გადასცეს სხვა პირს სარგებლობის უფლებით. ყოველივე ეს კი ზრდის ამ ნივთების გაუფასურების ან ლირებულების შემცირების რისკს. ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევაში ასეთი რისკი გამორიცხულია, რაც არ უზღდუდავს მხარეს აღნიშნული ქონებით სარგებლობის უფლებას;

11.6. უზრუნველყოფის ღონისძიებებსა და სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულობის საკითხთან დაკავშირებით, განმცხადებელმა მიუთითა, რომ მისთვის ობიექტურად უცნობია ყადაღადადებულ ნივთებთან დაკავშირებულ ვალდებულებათა ჯამი. გონივრული ვარაუდის დონეზე შეირჩა სამი ისეთი ნივთი, რომლებზეც მოწინააღმდეგები მხარეს არ ერიცხებოდა იპოთეკა/ყადაღა და რომელთა რეალიზაციის შედეგად, წინა ვალდებულების დაფარვის შემდგომ, შესაძლებელი იქნებოდა დარჩენილიყო გარკვეული თანხა განმცხადებლის დავალიანების დასაფარად. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნები კი ვერ ადასტურებს, რომ დასკვნებით გათვალისწინებული ლირებულების ქონება საკმარისი იქნება საარბიტრაჟო მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების სრულად დასაკმაყოფილებლად. ამისთვის, მხარეს უნდა წარმოედგინა იმ ვალდებულებათა ოდენობის დამადას-

ტურებელი დოკუმენტები, რომლებიც ექვემდებარება გამოქვითვას ექსპერტიზაში მითითებული ქონების ღირებულებებიდან. ასეთ შემთხვევაში მართლაც შესაძლებელი იქნებოდა უზრუნველყოფის მოცულობის კორექტირება გადაანგარიშების საფუძველზე. სხვა შემთხვევაში კი, არაპროპორციულობაზე მითითებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაში ცვლილების შეტანის საფუძველი არ არსებობს.

12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 ნოემბრის განჩინებით, საარბიტრაჟო მოპასუხის საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 9 ოქტომბრის განჩინება და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.

13. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

13.1. საარბიტრაჟო კომისიაში წარდგენილია საარბიტრაჟო სარჩელი მოპასუხის წინააღმდეგ თანხის – 70 984,2 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით;

13.2. საარბიტრაჟო სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული საარბიტრაჟო კომისიის მიერ და შესაბამისი შეტყობინება გაეგზავნა მოპასუხე მხარეს.

14. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორი სასარჩელო მოთხოვნის თანაზომიერ უზრუნველყოფის ღონისძიებად მიიჩნევს მხოლოდ მოპასუხის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვას, ხოლო მოძრავ წივთებზე უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას ითხოვს. ამასთან, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ მოწინააღმდეგე მხარის სახელზე რიცხული უძრავი ქონების საბაზო ღირებულება მიახლოებით 46 125 აშშ დოლარს შეადგენს. იმ ვითარებაში, როდესაც განმცხადებლის სასარჩელო მოთხოვნა 70984,2 აშშ დოლარია, 46125 აშშ დოლარად შეფასებულ უძრავ ქონებაზე სამართლებრივი შეზღუდვის დაწესება სარჩელის უზრუნველსაყოფად არ არის საკმარისი და სარჩელის ღირებულების თანაზომიერი.

სამოტივაციო ნაწილი:

15. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საჩივრის საფუძვლიანობის ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ოქტომბრისა და ამავე სასამართლოს 2017 წლის 22 ნოემბრის გან-

ჩინებები იმ ნაწილში, რომლითაც ყადაღა დაედო საჩივრის ავტო-რის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას და აეკრძალოს მას აღნიშ-ნული ქონების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა, დანარ-ჩენ ნაწილში ქუთასის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებები დარჩეს უცვლელი.

16. საჩივრის ავტორის მოთხოვნების არსებით განხილვამდე, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოება-ზე, რომ ქუთასის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებუ-ლი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მიზნად ისახავს სა-არბიტრაჟო მოსარჩელის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ არ-სებულ საარბიტრაჟო კომისიაში წარდგენილი სარჩელის უზრუნ-ველყოფას.

17. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამონმოს, ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს უწყებ-რივად და აქვს თუ არა მას მოცემულ საქმეზე საერთაშორისო კომ-პეტენცია.

18. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ საარ-ბიტრაჟო კომისიაში წარდგენილია საარბიტრაჟო მოსარჩელის სარ-ჩელი მონინააღმდეგე მხარის წინააღმდეგ თანხის დაკისრების მოთხოვნით. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ისიც, რომ სარ-ჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში საარბიტრაჟო კომისიის მიერ და შესაბამისი შეტყობინება გაეგზავნა საარბიტრაჟო მოპასუხეს.

19. საქმის მასალებით ირკვევა, რომ საარბიტრაჟო კომისიის კომპეტენცია დასტურდება საარბიტრაჟო შეთანხმებით, რომელიც გათვალისწინებულია მხარეთა შორის გაფორმებული, მსხვილგა-ბარიტიანი ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ 2016 წლის 1 ივნისის ხელშეკრულების 36-ე პუნქტით, კერძოდ, აღ-ნიშული პუნქტის თანახმად, ნებისმიერი დავა წარმოშობილი წი-ნამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით ექვემ-დებარება გადაცემას განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვე-ტად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საზ-ღვაო საარბიტრაჟო კომისიაში, კომისიის რეგლამენტის შესაბამი-სად.

20. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველ-ყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასა-მართლოს. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებ-ში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარ-ჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. სასამარ-

თლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

21. ზემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხში უფლებამოსილი სასამართლოს (თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს) მიერ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის დებულებები გამოიყენება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა საარბიტრაჟო განხილვა საქართველოს ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს. ამასთან, ორივე შემთხვევაში, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის სამართლი ან სამართლებრივი სისტემა აირჩიეს მხარეებმა მათ შორის წარმოშობილი დავის მოსაწესრიგებლად (სუსგ №ას-538-511-2013; 2013 წლის 3 ივლისი).

22. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოში საჩივარი წარმოდგენილია სწორედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად და განხილვის საგანია სააპელაციო სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების კანონიერება.

23. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისთვის გათვალისწინებული წესების დაცვით, ხოლო 411-ე მუხლით დადგენილია, რომ საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

24. საჩივრის ავტორი ითხოვს:

24.1. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლას, კერძოდ, უძრავ ნივთსა (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდე-

ბარე ქალაქ თბილისში, ..., საკადასტრო კოდით: ...) და მსუბუქ ავტომობილზე – ..., სახელმწიფო ნომრით: ..., ყადაღის გაუქმებასა და მის ნაცვლად გასხვისების აკრძალვას;

24.2. გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების – ყადაღის გაუქმებას სატრანსპორტო საშუალებაზე – ..., სახელმწიფო ნომერი: ..., გამოშვების ნომერი – ..., VIN/მასი – ..., ფერი – ... 3/8, ტექ. პასპორტის №..., გაფორმების თარიღი

25. საკასაციო სასამართლო სრულიად ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც საარბიტრაჟო მოპასუხეს უარი ეთვება სატრანსპორტო საშუალებაზე ... ყადაღის გაუქმების თაობაზე და მიუთითებს შემდეგ გარემობებზე:

25.1. საქმის მასალებში არსებული საარბიტრაჟო კომისიის მიერ გაცემული 2017 წლის 16 აგვისტოს ცნობის თანახმად, საარბიტრაჟო მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა შეადგენს 50417,80 აშშ დოლარს.

25.2. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასაქონლო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ... მდებარე, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (615 კვ.მ.) საბაზრო ღირებულება 2017 წლის 6 ნოემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 46125 აშშ დოლარს, რაც შესაბამისი გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 121 235 ლარს;

25.3. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №... დასკვნის თანახმად, 2014 წელს დამზადებული, მაღალი გამავლობის ..., სახელმწიფო ნომრით: ..., საიდენტიფიკაციო ნომრით – ..., საბაზრო ღირებულება 2017 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 72 000 ლარით. საჩივრის ავტორი დაზუსტებულ მოთხოვნაში უთითებს, რომ ზემოაღნიშნული თანხა დაახლოებით 28000 აშშ დოლარს შეადგენს.

25.4. საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რის მიხედვითაც, შესაძლებელი იქნებოდა სატრანსპორტო საშუალების – ... საბაზრო ღირებულების დადგენა.

26. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საარბიტრაჟო სასარჩელო მოთხოვნის ღირებულება შეადგენს 50417,80 აშშ დოლარს, რომლის უზრუნველსაყოფად სააპელაციო სასამართლოს განჩინებებით ყადაღა არის დადებული დაახლოებით 74125 აშშ დოლარის ღირებულების მქონე უძრავ და მოძრავ ქონებაზე და, ასევე, სატრანსპორტო საშუალებაზე – ..., რომლის საბაზრო ღირებულება საკასაციო სასამართლოსთვის უცნობია.

27. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მომავალში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება შესაძლოა ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაპროლდეს. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ სამოქალაქო პროცესი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის ორივე მხარეს – მოსარჩელესა და მოპასუხეს, შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის შეფასება უნდა მოხდეს როგორც მოსარჩელის, ისე – მოპასუხის პოზიციიდან. ამგვარი შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი, კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის (სარჩელის საგნის) პროპრიციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამიბა არ უნდა იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამართლებს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს. ამიტომ სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საკითხის გადაწყვეტის დროს ყოველთვის უნდა შეაფასოს, სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ შერჩეული ღონისძიება არის თუ არა შესაბამისობაში მოსარჩელის მოთხოვნასთან, რომლის უზრუნველყოფასაც იგი ემსახურება.

28. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში განთავსებული უძრავი ნივთის (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მდებარე ქალაქ თბილისში, ..., საკადასტრო კოდით: ...) ამონანერი საჯარო რეესტრიდან, რომლიდანაც დასტურდება, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ (ბრძანების საფუძველზე გამოცემული აქტი ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, 05.06.2017 №..., 31.05.2017) და ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 5 სექტემბრის №331უზრ/14 და №330 უზრ/14 განჩინებების საფუძველზე ნივთზე რეგისტრირებულია ყადაღა. აღმასრულებელ შორენ ხამპურიდის მიერ საარბიტრაჟო მოპასუხე ასევე რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში.

29. საქმეში წარმოდგენილი სსიპ საქართველოს შინაგან საქმე-თა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ 2017 წლის 4 ოქ-ტომბერს გაცემული სატრანსპორტო საშუალების სამართლებრ-ვი მდგომარეობის შესახებ ცნობით დასტურდება, რომ სატრან-სპორტო საშუალებაზე ... კერძო აღმასრულებელ შ. ხ-ს მიერ გაცე-მული დოკუმენტით A....../2017 რეგისტრირებულია ყადაღა; ფი-ნანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ელექტრონული ბაზის მონაცემებით ირიცხება საგადასახადო გირავნობა/იპოთე-კა და ყადაღა.

30. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს დავის გადაწყვეტისათვის მინშენელო-ბის მქონე იმ არსებით გარემოებებზე, რომ საჩივრის ავტორის სა-კუთრებაში არსებულ ზემოთ მიუთიერებულ უძრავ-მოძრავ ქონება-ზე რეგისტრირებული საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით და ყადაღით უზრუნველყოფილი მოთხოვნების ოდენობა და, ასევე, საჩივრის ავტორის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო სა-შუალების – ... საბაზრო ღირებულება სასამართლოსთვის უცნო-ბია. შესაბამისად, საკასაციო პალატას, საქმეში არსებული მასა-ლების ანალიზის საფუძველზე, არ აქვს შესაძლებლობა სასარჩე-ლო მოთხოვნა ზუსტად შეუფარდოს უზრუნველყოფილი უძრავ-მოძრავი ქონების საერთო ღირებულებას.

31. საკასაციო სასამართლო მიუთიერებს ასევე იმ გარემოება-ზეც, რომ ფულადი მოთხოვნის არსებობისას, ქონების ღირებუ-ლება უნდა აღემატებოდეს ფულად მოთხოვნას, რათა არიდებულ იქნეს უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართ ფორმალური მიდ-გომა. სააუქციონო წესების გათვალისწინებით, როდესაც ქონება აუქციონზე დაბალ ფასში, კერძოდ, განახევრებულ, გამეოთხედე-ბულ ან ნულოვანი შეთავაზების პირობებში გადის, მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა სწორედ იმას გულისხმობს, რომ ადეკვატური და პროპორციული ღონისძიება იქნეს გამოყენებუ-ლი სარჩელის უზრუნველყოფის სახით (სუსგ №ას-972-936-2016, 2016 წლის 16 დეკემბერი).

32. ზემოაღნიშნული დასაბუთებით, საკასაციო პალატა მიიჩ-ნევს, რომ ყადაღის გაუქმება სატრანსპორტო საშუალებაზე ... არ არის მართებული და ამ ნაწილში საპელაციო სასამართლოს გან-ჩინებები უნდა დარჩეს უცვლელი.

33. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს ასევე წარმო-ადგენს სააპელაციო პალატის განჩინების კანონიერება, რომლი-თაც არ დაკმაყოფილდა მხარის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველ-ყოფის ერთი სახის ღონისძიების მეორეთი შეცვლის შესახებ, კერ-ძოდ, საჩივრის ავტორის მეორე მოთხოვნა ეხება უძრავ ნივთსა და

ავტომანქანაზე ... ყადალის გაუქმებასა და მის ნაცვლად გასხვისების აკრძალვის გამოყენებას.

34. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა.

35. საქმის განხილვის მოცემულ ეტაპზე საკასაციო სასამართლო ამონმებს რამდენად საფუძვლიანია საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის თაობაზე, ხომ არ შეუძლის ხელს მოთხოვნილი ცვლილების განხორციელება მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას ან მისი განუხორციელებლობით მიადგება თუ არა ზიანი მხარის კანონიერ ინტერესებს.

36. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საჩივრის ავტორი თავის მოთხოვნას ასაბუთებს იმით, რომ მას აღნიშნული ღონისძიების გამოყენებით ხელი ეშლება სამეწარმეო საქმიანობაში.

37. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოძრავ ქონებაზე ყადალის დადება ნიშნავს მოვალის ქონების აღნერას, მესაკუთრი-სათვის ქონების განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, მასზე ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადების – აკრძალვის გამოცხადებას ან/და ქონების შესანახვად გადაცემას, ხოლო ამავე კანონის 63¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უძრავ ქონებაზე ყადალის დადება ნიშნავს ქონების აღნერას და მესაკუთრისათვის მისი განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვების, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების – აკრძალვას.

38. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპრიეტულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

39. ამასთანავე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის შესაძლებლობა გამოიყენება ისეთ დროს, როდესაც მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს, რომ ამგვარი ცვლილების განხორციელებით საშიშროება არ დაემუქრება არც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას და არც მოწინააღმდეგე მხარის კანონიერ ინტერესებს.

40. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტო-

რის მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში უზრუნველყოფის ღონისძიების ცვლილება გამართლებულია და მოძრავ ქონებაზე – ავტომანქანაზე ... მხოლოდ გასხვისების აკრძალვის გამოყენება უზრუნველყოფს საარბიტრაჟო სარჩელს, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიება, ყადალისგან განსხვავებით, იძლევა მოცემული მოძრავი წიგთის უფლებრივი დატვირთვისა (დაგირავების) და სარგებლობაში გადაცემის შესაძლებლობას, რაც, საკასაციო პალატის მოსაზრებით, გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

41. იგივე შეიძლება ითქვას უძრავ ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების – ყადალის შეცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ, სამომავლოდ საარბიტრაჟო მოსარჩელის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში თანხის ამოსალებად საარბიტრაჟო მოპასუხის ქონებაზე აღსრულების მიქცევისაგან თავის არიდების მიზნით არსებობს რეალური საფრთხე, რომ უფლებრივად (იპოთეკით) დაიტვირთოს უძრავი ქონება, თუმცა, განსხვავებით მოძრავი წიგთისგან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, უძრავი წიგთის სარგებლობაში გადაცემით, მასზე იჯარის ან ქირავნობის ხელშეეკრულების დადებით, გადაწყვეტილების აღსრულების შანსი არ შემცირდება.

42. ამრიგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის მოთხოვნა უძრავ ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების – ყადალის შეცვლასთან დაკავშირებით ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, საარბიტრაჟო მოპასუხის საკუთრების უფლების გაუმართლებლად შეზღუდვის თავიდან აცილების მიზნით, გაუქმდეს ყადალა და მესაკუთრეს აეკრძალოს უძრავი ქონების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ოქტომბრისა და ამავე სასამართლოს 2017 წლის 22 ნოემბრის განჩინები დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე, 197¹-ე, 198-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. სს „ჰ-ის“ საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-

ქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ოქტომბრისა და ამავე სასამართლოს 2017 წლის 22 ნოემბრის განჩინებები იმ ნაწილში, რომლითაც ყადაღა დაედო სს „ჰ-ის“ სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთს (დაზუსტებული ფართობით: 615.00 კვ.მ. საკადასტრო კოდი: ..., მისამართი: ქ. თბილისი, ...);

3. აეკრძალოს სს „ჰ-ის“ მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთის (დაზუსტებული ფართობით: 615.00 კვ.მ. საკადასტრო კოდი: ..., მისამართი: ქ. თბილისი, ...) გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა;

4. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ოქტომბრისა და ამავე სასამართლოს 2017 წლის 22 ნოემბრის განჩინებები დარჩეს უცვლელი;

5. საკადასტრო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფა

განჩინება საძართვალოს სახელით

№ას-157-157-2018

30 მარტი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ე. გასიტაშვილი,

ჰ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. ჟ-ასა და ი. გ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაქმაყოფილდა, მოპასუხებს: ნ. გ-ლ-ზ-ს, ვ. ნ-ვს, მ. ი-ს ბ. ყ-ს, თ. ყ-ნ-დ-ეს, ს. კ-ს, მ. დ-ეს, ე. პ-ეს, თ. დ-ს, რ. თ-ეს, ი. მ-ს, მ. ქ-ეს, ი. გ-ს, ს. ი-ს, გ. ც-ს, ნ. გ-ს, რ. გ-ს, გ. ბ-ს, ი. კ-ეს, ა. ა-ს, თ. ლ-ას, ნ. ბ-ს, ნ. ბ-ეს, თ. ს-ს, ე. ს-ს, თ. ს-ს, გ. მ-ს, ი. მ-ეს, თ. დ-ს, თ. ს-ნ-ტ-ს, ი. ს-ს, მ. მ-ს, ა. კ-ს, მ. მ-ს, გ. მ-ს, მ. ლ-სა

და ე. მ-ეს, მოსარჩელე ი. ჟ-ს სასარგებლოდ, დაეკისრათ 102 650 აშშ დოლარის, 10 900 ევროსა და 113 550 აშშ დოლარის გადახდა;

2. ამავე სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით ი. ჟ-სა და ი. გ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხებს: მ. ჩ-ს, ი. მ-ს, მ. რ-სა და ა. ვ-ს მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრათ 102 650 აშშ დოლარის, 10 900 ევროსა და 113 550 აშშ დოლარის გადახდა;

3. ხსენებული გადაწყვეტილებები მხარეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს;

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივნისის განჩინებით საქმეები გაერთიანდა ერთ წარმოებად;

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 და 28 ნოემბრის განჩინებებით ი. გ-სა და ი. ჟ-ას განცხადებები დაკმაყოფილდა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო მოპასუხეთა კუთვნილ უძრავ ქონებას. სააპელაციო სასამართლოს ხსენებულ განჩინებებზე საჩივრები წარადგინეს ი. მ-მა, ვ. ნ-მა, ე. ს-მა, თ. ს-მა, თ. ტ-მა, თ. ს-მა, გ. ც-მა, ე. პ-ემ, თ. ლ-მ, ა. ჰ-მა, ნ. ბ-მა, ო. კ-მა, ს. კ-მა, ი. ქ-მა, ა. ა-მა, თ. დ-მა, მ. ქ-ემ, რ. გ-მა, ნ. გ-მა, გ. მ-მა, ს. ი-მა, ი. გ-მა, ი. ს-მა, ი. მ-მა, ა. ვ-მა და მ. რ-მა;

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განჩინებით მოპასუხეთა საჩივრები არ დაკმაყოფილდა საქმე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის შესაბამისად, გამოეგზავნა საქართველოს უზენა-ეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, გასაჩივრებული განჩინებების დასაბუთებულობას, შეისწავლა მოპასუხეთა საჩივრების საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამზ:

2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. 420-ე მუხლი, თავის მხრივ მითითებითი ნორმაა და საპროცესო შედეგის განსაზღვრის სამართლებრივ საფუძვლად მიიჩნევს ამავე კოდექსის 410-ე-412-ე მუხლებს. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსაზილეველ შემთხვევაში, სახეზე გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ შეცვლისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობები,

კერძოდ:

2.1. მოცემული დავის საგანს ფულადი ვალდებულების შესრულება წარმოადგენს და მოსარჩელები მოთხოვნას ამყარებენ 2009 წლის 28 იანვარს, ერთი მხრივ, ი. ჟ-ას, ხ. ა-ესა და, მეორე მხრივ, ინდივიდუალური ბინათმენებლობის ამხანაგობა „ა. ჩ-ს“ შორის 3 თვის ვადით დადებულ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზე იბა „ა. ჩ-მ“ ი. ჟ-გან ისესხა 85 000 აშშ დოლარი და 10 000 ევრო, ხოლო, ხ. ა-ისაგან – 95 000 აშშ დოლარი (2014 წლის 10 ივლისს დადებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე ხ. ა-ემ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნა დაუთმო ი. გ-ას). სესხისათვის ყოველთვიურად გათვალისწინებული იყო 3%-იანი სარგებლი, ამასთან, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დადგინდა პირგასამტებლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გასესხებული თანხის 0.3%-ის ოდენობით. იბა „ა. ჩ-მ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, ხოლო, ამხანაგობის წევრებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს 2009 წლის 28 იანვარს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ბათილად იქნა ცნობილი სადაცო ხელშეკრულება იპოთეკის ნაწილში. სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის საფუძველზე, მოსარჩელები მოითხოვენ სესხად გაცემული თანხის ამსანაგობის წევრებისათვის სოლიდარულად დაკისრებას;

2.2. უდავოა, რომ მოპასუხედ დასახელებული პირები წარმოადგენენ ბმა „ა. ჩ-ს“ წევრებს;

2.3. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, სესხი უზრუნველყოფილი არა სანივთო საშუალებით, ამასთანავე, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლის კანონიერებაც სააპელაციო წესით იხილება, სარჩელი, როგორც სესხის ძირი თანხის, ისე – სარგებლისა და შემცირებული პირგასამტებლოს ნაწილში საფუძვლიანადა მიჩნეული;

3. სარჩელის უზრუნველყოფის საფუძვლად მოსარჩელები ძირითადად მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ სოლიდარულად ვალდებულ პირთა ნაწილმა, ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდების მიზნით გაასხვისა ინდივიდუალური საკუთრების საგნები (უძრავი ქონება) და, თუკი ამგვარი ქმედება გაგრძელდება, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, აღარ იარსებებს აღსრულების საგანი;

4. ამდენად, პალატა ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრი-

სით სარჩელის საფუძვლიანობის, მისი უზრუნველყოფის შესახებ განცხადებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ არსებობს მოსარჩელეთა მოთხოვნის უზრუნველყოფის წინაპირობები. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს შემდეგს:

4.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მართლმსაჯულების რეალური განხორციელების ამოცანას ემსახურება და სასამართლოს მიერ ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი სიკეთით კრედიტორის სარგებლობის ხელშეწყობას ემსახურება, რათა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის, მისი ინტერესი მოვალის არაკეთილსინდისიერების გამო არ შეიძლახოს, ხოლო მართლმსაჯულება ფორმალურ არ გახდეს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს მოსარჩელის ინტერესების დაცვის ქმედით, თუმცა დროებით ზომას, რომელიც ემყარება განცხადებაში მითითებული გარემოებების, ასევე, სარჩელის საფუძვლიანობის ფორმალურ კვლევას, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კუთხით გაკეთებული სასამართლოს დასკვნები საქმის არსებითად განხილვისას ჩამოყალიბებული შედეგის მიმართ გავლენას არ ახდენს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უზრუნველყოფის ინსტიტუტის გამოყენებისას, ბუნებრივია, შეფასების ობიექტი იმ სამომავლო სიკეთის დაცვაა, რომელიც შედეგად მართლმსაჯულების განხორციელებას უნდა მოჰყვეს, თუმცა, ამავდროულად, გასათვალისწინებელია პროპორცია ამ სიკეთესა და მოპასუხის ინტერესის შეზღუდვას შორის, ანუ სასამართლო უნდა მივიდეს დასკვნამდე, რომ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებელი წინაპირობები და ამის პარალელურად მოპასუხისათვის დაწესებული შეზღუდვა უნდა იყოს პროპორციული (ამ საკითხის თაობაზე ფართოდ ქვემოთ იმსჯელებს სასამართლო).

4.2. წინასწარი სამართალწარმოება [სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება] ევროსასამართლოს განმარტებით, რიგ შემთხვევაში, ექცევა კიდევაც ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-6 მუხლით დაცულ სფეროში. საქმეზე – „მიქალეფი მალტის წინააღმდეგ“ (საჩივარი №17056/06) ევროსასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა შემდეგი: იმისათვის, რომ გამოყენებადი იყოს მე-6 მუხლი, მისი „სამოქალაქო“ ნაწილის მხრივ, უნდა არსებობდეს დავა სამოქალაქო უფლების ირგვლივ, რომელიც, თუნდაც სადაცო საფუძვლებზე, აღიარებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით, მიუხედავად იმისა, დაცულია თუ არა იგი კონვენციის მიერ. დავა უნდა იყოს ნამდვილი და სერიოზული; იგი შესაძლებე-

ლია, ეხებოდეს უფლების არა მარტო რეალურ არსებობას, არამედ მის მასშტაბსა და განხორციელების საშუალებასაც; და ბოლოს, სამართალწარმოების შედეგი უნდა იყოს უშუალოდ გადამწყვეტი განსახილველი უფლებისათვის, უფრო უმნიშვნელო კავშირი ან ზოგადი შედეგები არ არის საკმარისი მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის გამოსაყენებლად *inter alia*, *Mennitto v. Italy* [GC], no. 33804/96, § 23, ECHR 2000 X; და *Gulmez v. Turkey*, no. 16330/02, § 28, 20 მაისი 2008). იმ კანონმდებლობის ბუნება, რომელიც აწესრიგებს, თუ როგორ უნდა მოხდეს საკითხის განხილვა (სამოქალაქო, სავაჭრო, ადმინისტრაციული თუ სხვა კანონით), ისევე, როგორც ორგანო, რომელსაც აკისრია განხილვის უფლებამოსილება (საერთო სასამართლო, ადმინისტრაციული ორგანო თუ სხვა) ნაკლები მნიშვნელობისაა (იხ. J.S. and A.S. v. Poland, no. 40732/98, §46, 24 მაისი 2005). წინასწარი სამართალწარმოება, მსგავსად დროებითი ღონისძიებებისა, მაგალითად, შემაკავებელი ორდერი, ჩვეულებრივ არ ითვლება სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განმსაზღვრელად და, შესაბამისად, არ ხვდება ხოლმე მე-6 მუხლის დაცვის ქვეშ (იხ. *inter alia*, *Wiot v. France*, (dec.), no. 43722/98, 15 მარტი 2001; *APIS a.s. v. Slovakia*, (dec.), no. 39794/98, 13 იანვარი 2002; *Verlagsgruppe News GMBH v Austria*, (dec.), no. 62763/00, 16 იანვარი 2003; და *Libert v Belgium*, (dec.), no. 44734/98, 8 ივლისი 2004). აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო მე-6 მუხლს იყენებს მხოლოდ საქმის არსებითი მხარის განხილვისას და არა ამგვარი ღონისძიებების პირველადი მოთხოვნის მომენტიდან (იხ. *Jaffredou v. France* (dec.), no. 39843/98, 15 დეკემბერი 1998, და *Kress v. France* [GC], no. 39594/98, § 90, ECHR, 2001-VI). მიუხედავად აღნიშნულისა, რიგ საქმეებში, სასამართლოს გამოყენებია მე-6 მუხლი წინასწარი სამართალწარმოების დროსაც, კერძოდ კი მათი გადამწყვეტი მნიშვნელობის გამო მონაბივნის სამოქალაქო უფლებების განსაზღვრაზე (იხ. *Aerts v. Belgium*, 30 ივლისი 1998, *Reports 1998-V*, *da Boca v. Belgium*, no. 50615/99, ECHR 2002-IX), მეტიც, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც მე-6 მუხლი არ გამოიყენება წინასწარი სამართალწარმოებისას, გამონაკლისი უნდა გაკეთდეს, როდესაც დროებითი განჩინება გამონაკლისის სახით საჭიროებს განსხვავებულ მიღებომას, რადგანაც მოთხოვნილი ზომა არის რადიკალური, სათანადო ხარისხის არმქონება და თუ აპელაციისას, მისი გაუქმების გარეშე იგი გავლენას იქონიებს მხარეებზე მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში (იხ. *Markass Car Hire Ltd v. Cyprus*, (dec.), no. 51591/99, 23 ოქტომბერი 2001).

5. რაც შეეხება გამოყენებული ღონისძიების სახეს, ამ კუთხით პალატა ნაწილობრივ იზიარებს საჩივარში გამოთქმულ მოსაზრე-

ბეჭს და მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შერჩეული ზომა გარკვეულ დისპროპორციას იწვევს მოსარჩელეთა ინტერესებსა და მოპასუხეთა უფლებებს შორის. ამ თვალსაზრისით პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე:

5.1. საჩივრის ავტორთა არგუმენტი მოთხოვნის მოცულობისა და უზრუნველყოფის საგნის ღირებულების არათანაფარდობის თაობაზე ემყარება მხოლოდ მათ მოსაზრებას, რაიმე მტკიცებულება, რომელიც მოსარჩელეთა მიერ წარდგენილ აუდიტორულ დასკვნებს გააქარწყლებდა, მოპასუხე მხარეს არ წარუდგენია, შესაბამისად, მხოლოდ ეს საკითხი ვერ გახდება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველი, გარდა ამისა, პალატა უარყოფს მოპასუხეთა იმ პოზიციასაც, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების ორჯერ გამოყენების ნინაპირობა არ არსებოდა, რამდენადაც გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში აღსრულება განხორციელდება მოთხოვნის ჯამური ღირებულებით, თავის მხრივ, ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს სხვადასხვა დროს მიმართეს მოსარჩელებმა განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და ბუნებრივია, სასამართლომაც ცალკეული საპროცესო აქტით იმსჯელა ამ განცხადებებზე;

5.2. ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი, რის საფუძველზეც მოპასუხები მოითხოვენ უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას არის ის, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ბათილად იქნა ცნობილი იბა „ა. ჩ.“ სადამფუძნებლო ხელშეკრულება და ამით განსახილველ დავას გამოეცალა საფუძველი. საკასაციო პალატა ამ არგუმენტის წინააღმდეგ ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადამფუძნებლო ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ერთ-ერთი წევრისათვის ქონების დაპრონების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების ბათილდ ცნობის საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე სამართალწარმოების დასრულებამდე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2017 წლის 14 თებერვლის განჩინებით შეაჩერა წინამდებარე საქმის წარმოება, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2017 წლის 25 სექტემბრის განჩინებით გააუქმა რა გასაჩივრებული განჩინება უსაფუძვლობის გამო, განმარტა შემდეგი: „განსახილველ შემთხვევაში ვერ იქნება გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს დასკვნა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განსახილველი საქმის გადასაწყვეტად შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს თბილისის საქალაქო სასა-

მართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 მარტის №2/8777-14 სადაც გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს. საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული №2/8777-14 საქმე ეხება იბა „ა.ჩ-ს“ დაფუძნების შესახებ 2007 წლის 27 ნოემბრის სანოტარო აქტის (რეესტრში რეგისტრაციის № 1-19179) ბათილად ცნობას და ა. ა-ს (რომელიც სააპელაციო სამართლნარმოების ეტაზზე განსახილველ დავაზე ამ განჩინების პირველ პუნქტში დასახელებული მოსარჩელეების ერთ-ერთი მოპასუხება და იმავდროულად საპელაციო საჩივრის ავტორიც) უძრავი ქონების საკუთრებად აღრიცხვას. საკასაციო სასამართლოს მიზნია, რომ სანოტარო აქტის ბათილად ცნობის საფუძველზე პირზე საკუთრების აღრიცხვისა და ფულადი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სასამართლო საქმეებს შორის არ იკვეთება იმგვარი კავშირი, რომ ერთ საქმეზე დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული მნიშვნელობა მიენიჭოს მეორე საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს. იმ დაშვებითაც, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დადგენილია გარკეცული ფაქტები, ეს ვერ შეაფერხებს ფულადი ვალდებულების შესრულებიდან გამომდინარე დავის განხილვას მხარეთა შორის, რადგან თუკი არ დადასტურდება მხარეთა შორის ამ სახელშეკრულებო მოთხოვნების არსებობის საფუძვლიანობა, სასამართლოს კონკრეტული წინაპირობების შემოწმება კონდიქციური სამართლის ნორმებით მოუწევს, რასაც ვერ შეუშლის ხელს კონკრეტულ საქმეზე პირის მიკუთვნებითი მოთხოვნის დროს განხილული და გადაწყვეტილი ფაქტობრივი წინაპირობა ამხანაგობის დაფუძნების შესახებ სანოტარო აქტის ბათილობის შესახებ“.

5.3. საკასაციო პალატა არ იზიარებს საჩივარში გამოთქმულ პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ ქვემდგომმა სასამართლომ თავი აარიდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული მოსალოდნელი ზიანისათვის გარანტიის წარდგენის ფაქტს, რადგანაც საქმის მასალებით პირდაპირ არ დგინდება და ვერც მხარე ადასტურებს სარწმუნოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის წინაპირობების არსებობას.

6. საკასაციო სასამართლო მიუბრუნდება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას მხარეთა ინტერესების პროპორციულობის საკითხს და ამ მხრივ ითვალისწინებს, როგორც დაზუსტებულ საჩივარში, ისე – საქმეში წარმოდგენილ სხვადასხვა მიმართვებსა და საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ შუამდგომლობაში ასახულ გარემოებას სახლების ავარიულობის შესახებ (რაც ასახულია ასევე ფოტომასალაში). სააპელაციო სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ზომად შეარჩია უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმა უზრუნველყოფის ლონისძიების სახის განსაზღვრის თაობაზე, მიუხედავად მხარის მოთხოვნისა, საპოლოოდ, სასამართლოს პრეროგატივაა, რომელიც მან უნდა შეარჩიოს გონივრულობის პრინციპით. ამ შემთხვევაში, შეფასების საგანს წარმოადგენს, როგორც სამომავლოდ მისალები გადაწყვეტილების აღსრულებისათვის შესაბამისი გარანტის შექმნა, ისე – მოწინააღმდეგ მხარის ინტერესების შეძლებისდაგვარად მინიმალურად შეზღუდვა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ჩამონათვალს და ამ ღონისძიებათაგან ყველაზე მკაფიო სწორედ ქონებაზე ყადალის დადებაა, რამდენადაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63¹-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უძრავ ქონებაზე ყადალის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მესაკუთრისათვის მისი განკარვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვების, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების – აკრძალვას. რეგისტრაციას დაქვემდებარებულ ქონებას ყადალა დაედება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვის, ხოლო უძრავ ქონებაში განთავსებულ მოძრავ ნივთებს – ქონების აღწერისა და დაყადალების აქტის საფუძველზე. უძრავ ქონებაზე ყადალის დადება ხდება მოძრავ ქონებაზე ყადალის დადებისათვის დადგნენილი წესით. ყადალის დადების ან გაუქმების აქტი/მიმართვა დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში პალატა მიიჩნევს, რომ როგორც მოსარჩელეთა ინტერესების დაცვის, ისე – მოპასუხეთა უფლებების შეზღუდვის პროპორციულ ზომას წარმოადგენს არა ქონებაზე ყადალის დადება, არამედ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც მოპასუხებს უნდა აეკრძალოთ ყადალადადებული უძრავი ქონებების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

7. გარდა ზემოხსენებულისა, მხარეთა თანასწორობის შენარჩუნების მიზნით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ სასამართლომ ამ კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც განხორიელდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყე-

ნებული ღონისძიების შედეგად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 198-ე, 199-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. მ-ის, ვ. ნ-ის, ე. ს-ის, თ. ს-ის, თ. ტ-ის, თ. ს-ის, გ. ც-ის, ე. პ-ის, თ. ლ-ას, ა. ჰ-ის, ნ. ბ-ის, ო. კ-ის, ს. კ-ის, ი. ქ-ის, ა. ა-ის, თ. დ-ის, მ. ქ-ის, რ. გ-ის, ნ. გ-ის, გ. მ-ის, ს. ი-ის, ი. გ-ის, ი. ს-ის, ი. მ-ის, ა. ვ-ისა და მ. რ-ის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ნოემბრის, 28 ნოემბრისა და 2018 წლის 11 იანვრის განჩინებები და ი. გ-ასა და ი. უ-ას განცხადებები სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

3. მოპასუხებს აეკრძალოთ უძრავი ქონებების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა, კერძოდ:

- ი. მ-ს (პ/№0...) – ს/კ№01.-; ს/კ№01.-;
- ვ. ნ-ს (პ/№0...) – ს/კ№01.-; ს/კ№01.-;
- ე. ს-ის (პ/№E-), თ. ს-ს (პ/№E-), თ. ტ-ს (პ/№E-), თ. ს-სა (პ/№E-) და ი. ს-ს (პ/№E-) – თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ს/კ№01.-; ს/კ№01.-;
- გ. ც-ს (პ/№0...) – ს/კ№01.-;
- ე. პ-ს (პ/№0...) – ს/კ№01.-; ს/კ№01.-;
- ე. პ-სა (პ/№0...) და ე. მ-ს (პ/№0...) – თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ს/კ№01.-; ს/კ№01.-;
- თ. ლ-ს (პ/№0...) – ს/კ№01.-;
- ა. ჰ-ის (პ/№0...), ნ. ბ-ს (პ/№0...), ო. კ-ს (პ/№0...), ს. კ-ს (პ/№0...)
- თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ს/კ№01.-; ს/კ№01.-;
- ი. კ-ს (პ/№0...) – ს/კ№01.-;
- ე. ქ-ს (პ/№5-) – ს/კ№01.-;
- ა. ა-ს (პ/№0...) – ს/კ№01.-;
- თ. დ-ს (პ/№0...) – ს/კ№01.-;
- გ. ქ-ეს (პ/№0...) – ს/კ№01.-; ს/კ№01.-;
- რ. გ-სა (პ/№0...) და ნ. გ-ს (პ/№0...) – თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების – ს/კ№01.-, ასევე, ნ. გ-ესთან ერთად თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ს/კ№01.- და 5/12 წილის;

- გ. მ-ს (პ/№0...) – ს/კ№01.-;
- ს. ი-ს (პ/№0...) – ს/კ№01.-;
- ი. გ-ს (პ/№0...) – ს/კ№01.-;
- ი. მ-ს (პ/№0...) – ს/კ№01.-; ს/კ№01.-;
- ა. ვ-ს (პ/№0...) – ს/კ№01.-; ს/კ№01.-6;
- მ. რ-ს (პ/№0...) – ს/კ№01.- უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

4. განემარტოთ ი. გ-სა და ი. ჟ-ს, რომ თუ სარჩელის უზრუნველ-საყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეებს უარი ეთქვათ სარჩელზე და გადაწ-ყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, მაშინ ის მხარე, რომლის სა-სარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუ-როს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზ-რუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად.

5. საკასაციონ სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-ჩივრდება.